პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.:) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—83
) ღამის მორიგეს 13—38.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის —1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან — 80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ— ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- „სენდეი უორკერ"-ის წერილი ავღანისტანის ფადიშაჰს.
- ჰამბურგში გაიხსნა წითელფრონტელთა კავშირის სრულიად გერმანიის კონფერენცია.
- გადადგა ნიკარაგუას მთავრობა.
- პროფ. გეტჩის წერილი გერმანია - საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შესახებ.
- სპარსეთის მეჯლისის არჩევნები დანიშნულია 22 აპრილისათვის.
- პოლიციის თავდასხმა გაფიცულ მუშებზე ლილოაში (ინდოეთი).
- აფეთქება ჩიკაგოში.

პარასკევი, 30 მარტი 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 74 (2117)

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა
აპრილისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ჩვენი ამოცანები კულტურის ფრონტზე

უკანასკნელი წლები და კიდევ უფრო უკანასკნელი თვეები გვიჩვენებენ საბჭოთა კავშირის მშრომელთა, საბჭოთა საზოგადოებრიობის და პარტიის ყურადღების ზრდას კულტურის საკითხებისადმი. ეს გაძლიერებული ყურადღება სოციალისტური კულტურის ამოცანებისადმი არაფერს გასაკვირალს არ წარმოადგენს. ის სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან დაფუძნებულია კულტურულ ფრონტის უდიდეს მნიშვნელობაზე სოციალისტური აღმშენებლობის წარმატების საქმეში. ჩვენი მატერიალური პოზიციების სიმტკიცე საუკეთესო მასაზრდოებელი ნიადაგია კულტურის ზრდისათვის.

მე-15 ყრილობის მიერ კულტურის ამოცანების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს საერთო ზრდასთან და იმ დადებით ფაქტთან, რომ ჩვენ დაბოლოს, როგორც იქნა, გავნთავისუფლდით ტროცკისტულ - მენშევიკური ჯგუფის თავმომაბეზრებელ ლაყბობისაგან, წარმოადგენს ერთერთ უმნიშვნელოვანეს დირექტივას, რომელიც ნათელს ფენს ჩვენი მომავალი მუშაობის გზას.

ლენინის თეზისი, რომელიც მან დიდი სიძლიერით და დამარწმუნებელი ლოღიკით განავითარა პარტიის მე-11 ყრილობაზე, თეზისი იმის შესახებ, რომ ჩვენ საკმაოდ მოგვეპოვება ეკონომიური ძალები, საკმაოდ მოგვეპოვება აგრეთვე პოლიტიკური ძალები, მაგრამ ჯერ კიდევ გვაკლია კულტურაო,—ეს თეზისი ეხლა, პროლეტარული დიქტატურის არსებობის მე-11 წელს, საუკეთესოდ მტკიცდება, ვინაიდან სოციალისტური, კულტურული მშენებლობის საკითხები ამჟამად გაცილებით უფრო მწვავედ, აქტუალურად და პრაქტიკულად სდგას, ვინემ იდგა მაშინ, 1922 წელს.

არავის, რასაკვირველია, არ შეუძლია უარყოს ის სავსებით უდავო დებულება, რომ სწორედ არა საკმაო კულტურიოსნობა არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტი, რომელიც მრავალ დაბრკოლებებს ჰქმნის ჩვენი ცხოვრების და მუშაობის სხვადასხვა სფეროში და რომლითაც აიხსნება ის ფაქტი, რომ ხანდახან „ჩვენ საქმე გვისხლტება ხელიდან", რომ სახელმწიფო მანქანა ხშირად არ გვემორჩილება, გვეწიკება უკან, ძველისაკენ, აღარ გვიჯერის და რომ ზოგიერთი ჩვენი დირექტივები და საუკეთესო განზრახვები არ ტარდება ცხოვრებაში.

შახტის კონტრ - რევოლიუციონერთა საზიზღარ აფიორას, რომელმაც უდიდესი აღშფოთება გამოიწვია მუშების და გლეხების ფართე ფენებში, განსაზღვრული თვალსაზრისით მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენი კულტურული ზრდის საკითხებთან. რასაკვირველია, შახტის საქმე არის განსაკუთრებული, ის სცილდება ჩვეულებრივ მოვლენის ფარგლებს. მაგრამ ეს საქმეც კი წარმოადგენს იმის მეტად გადამახინჯებულ გამოხატულებას, თუ როგორ შეიძლება პროლეტარიატი „არ იქნეს საქმის კურსში" და როგორ შეუძლიათ მისი მოტყუება კონტრ - რევოლიუციონურ პიროვნებებს, რომლებიც სარგებლობენ მასების და კომუნისტების უცოდინარობით, უკულტურობით და საქმესთან გაუცნობლობით. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ შახტის საქმემ მთელი სიგრძე-სიგანით დასვა კადრების პრობლემა.

ჩვენთვის საჭიროა საკუთარი, პროლეტარიატისადმი ერთგული კადრის მუშაკები მბრძანებელ მწვერვალების მთელს სისტემაში, საკუთარი დირექტორები, ტეხნიკური ხელმძღვანელები, სპეციალისტები, სამეურნეო მუშაკები, აგრონომები, კოოპერატორები, პედაგოგები, მეცნიერები და სხვა. მოკლედ რომ ვსთქვათ, ჩვენ კიდევ უფრო, ვინემ ეხლამდის, გვესაჭიროება საკუთარი პროლეტარული მბრძანებელი აპარატი. ამავე დროს, ჩვენთვის საჭიროა არა უბრალო წითელი კადრის მუშაკები, არამედ აუცილებლად კვალიფიციური კადრის მუშაკები, რომელნიც გაცნობილი იქნებიან საქმესთან. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა მნიშვნელოვან, კიდევ მეტი, გადამწყვეტ როლს თამაშობს განვითარების ეხლანდელ საფეხურზე ხელმძღვანელ და ორგანიზაციულ მუშაობის ხარისხი. საკმარისია მოვიგონოთ, თუ რა მძიმე მატერიალურ ზარალს, მაშასადამე, ზარალს ტემპში, გვაძლევს ჩვენ, მაგალითად, სააშენებლო მუშაობის სიძვირე, რომ აშკარად გვესმოდეს ამ პრობლემის უდიდესი მნიშვნელობა.

და არა მარტო ჩვენი სამეურნეო მუშაობის ვიწრო დარგები, არამედ ჩვენი ცხოვრების უძნელესი, საჭირბოროტო საკითხებიც, როგორც მაგალითად აპარატების მუშებით შევსება, მუშების დაწინაურების განვითარება ფართო მასშტაბით, ბრძოლა ბიუროკრატიზმთან, ადგილებზედ კარგი სასამართლოების და ხელისუფლების კარგი ორგანოების მოწყობა და სხვა, ასე თუ ისე, პირდაპირ თუ არა პირდაპირ, დაკავშირებულია კულტურიოსნობის საკითხთან. აი, რატომ უნდა ჩაითვალოს პირველხარისხოვან ამოცანად კულტურულ ფრონტზე მუშაობის გაძლიერება, კულტურული მუშაობის ყველა სფეროების გამოცოცხლება, დაწყებული მასების წერა-კითხვის ელემენტარულ ცოდნის გავრცელებიდან და გათავებული პროლეტარიატის პირველხარისხოვან სპეციალისტების მუშაობით და სოციალისტური კულტურის უმაღლეს დარგების განვითარებით. ჩვენ ამ საქმეს მოგვარებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოვიყენებთ ყველა ჩვენს შესაძლებლობებს. ხოლო ასეთები ჩვენ მრავლად მოგვეპოვება. არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს ხალხის ქვედა ფენებიდან ნიჭიერ და პატიოსან მუშაკების დაწინაურების ისეთი შესაძლებლობანი, როგორც საბჭოთა კავშირში. და არასდეს ჩვენი უდიდესი ქვეყნის ტერიტორიაზე არ ყოფილა პროლეტარიატის და გლეხობის ისეთი მისწრაფება კულტურისა, ზრდისა და უკეთესი ცხოვრებისაკენ, როგორც ეხლა.

ჩვენ არ გვეშინია აშკარად ვაღიაროთ ჩვენი ჩამორჩენილობა, ხშირად უვიცობა ჩვენი მუშაობის მთელ რიგ სფეროში, მათ შორის კულტურიდარგშიაც. აიღეთ თუ გნებავთ საბჭოთა კავშირში ფართოდ განვითარებულ მწერლობის დარგი. ჩვენს ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლებს კიდევ ბევრი მუშაობა მოუხდებათ თავის თავზე მხატვრულ ფორმის ზედმიწევნით შემუშავებისათვის, მაგრამ მხოლოდ უტვინოს ან ბრმას შეუძლია უარყოს, რომ ჩვენ გადავსდგით დიდი კულტურული ნაბიჯი, რომ ჩვენ სოციალისტური კულტურის უდავო მიღწევები გვაქვს მეცნიერებაში, ხელოვნებაში, თეატრში და მხატვრულ ლიტერატურაში.

უბადრუკი თეთრი ემიგრანტები თავგამოდებით ეძებენ ჩვენში რაიმე ცუდს, დამპალს ბურჟუაზიულს, ძველ კულტურის სფეროში. ამ საცოდავ მეძიებს, რომელთაც მხოლოდ ადამიანური სახე შერჩენიათ, მშვენიერი პასუხი გასცა ამას წინად მაქსიმ გორკიმ, რომლის იუბილეს დღესასწაულობს მთელი პროლეტარული ქვეყანა. პროლეტარიატის ეს გამოჩენილი მხატვარი, რომელიც მიუხედავად მისი ხვეული გზებისა, პროლეტარიატის უდიდეს მწერლად უნდა ჩაითვალოს, მშვენივრად ხედავს და გრძნობს ახალი სოციალისტური კულტურის ძლევამოსილ ზრდას. ამიტომ ანთხევს გესლს ასე გახელებით მის წინაალმდეგ მთელი თეთრი კონტრ-რევოლიუცია, დაწყებული „კირილებიდან" გათავებული ლიბერალებით. ამიტომ არის გორკი მებრძოლი ახალი სოციალისტური კულტურისათვის.

ჩვენი მომავალი ღონისძიებანი კულტურულ ფრონტზე, მხნე ოქტიიზმი და მასთან ერთად ყოველდღიური მუშაობა კიდევ მოიტანს თავის ნაყოფს. მოაზროვნე მტრები და ბატონი ესტეტები საერთაშორისო ბურჟუაზიის ბანაკიდან უკვე ახლავე გაკვირვებული არიან ჩვენი კულტურული მიღწევებით, არიან გაკვირვებული იმით, რომ „ბარბაროსული ქვეყანა", საბჭოთა კავშირი, შეიძლება ერთ და იმავე დროს იყვეს „ზღაპრული ქვეყანაც". მაგრამ მოითმინონ, რაც გვაქვს — ეს კიდევ ცოტაა: პროლეტარიატს გაცილებით უფრო დიდი მიღწევები ექნება, როცა ის გაშლილი ფრონტით გასწევს წინ სოციალისტური კულტურის გზით.

„პრავდა", 29 მარტი.

სამომხმარებლო კოოპერაცია და საპაიო თანხის გადიდების კამპანია

I

კოოპერაციას საზოგადოდ და სამომხმარებლო კოოპერაციას კერძოდ ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენს სახალხო მეურნეობის სისტემაში: ის ჩვენი მეურნეობის სოციალისტური სექტორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ჩვენი პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ხელში სამომხმარებლო კოოპერაცია არის ის მძლავრი იარაღი, რომლის საშუალებით იდევნება ვაჭრობის და მრეწველობის წარმოების გასაღების სფეროდან კაპიტალისტური ელემენტები. ამიტომ ყველასათვის სავსებით გასაგები უნდა იყოს ის მატერიალური დახმარება, რომელსაც უწევდა საბჭოთა სახელმწიფო სამომხმარებლო კოოპერაციას. გარდა კრედიტისა საქონლით და შეღავათებისა მის შეძენაში, საბჭოთა სახელმწიფოს ფულადი სესხი, რომელიც ეძლეოდა სამომხმარებლო კოოპერაციას, საგრძნობლად სჭარბობდა მის საკუთარ თანხებს. უკანასკნელ დრომდე სახელმწიფო სესხისა და საკუთარი თანხების შეფარდება სამომხმარებლო კოოპერაციის ბრუნვაში ქ. თბილისის გამოკლებით, უდრიდა 1:2,1.

„კოოპერაციას უნდა მიეცეს მთელი რიგი ეკონომიური, ფინანსიური და საბანკო პრივილეგიებისა. ასე უნდა დაუჭიროს მხარი მოსახლეობის ორგანიზაციის ახალ პრინციპს ჩვენმა სოციალისტურმა სახელმწიფომ",—ამბობს ლენინი თავის წერილში „კოოპერაციაზე". ლენინის პარტიას და სახელმწიფოს არ შეეძლო არ შეესრულებია მისი ანდერძი კოოპერაციის მიმართაც ისე, როგორც ის ამას ასრულებს სხვა დარგშიაც. საბჭოთა ქვეყნის მუშების და გლეხების აქტიური მონაწილეობის და პროლეტარულ სახელმწიფოს ფართო დახმარების საფუძველზე თვალსაჩინოთ გაიზარდა ჩვენში სამომხმარებლო კოოპერაცია. მთელ საქართველოში 1927 წ. 1 ოქტომბრისათვის სამომხმარებლო კოოპერაციას ყავდა 266.160 წევრი (ეხლა გაცილებით მეტი), რაც შეადგენს მეურნეთა სოფლად და ოჯახთა ქალაქად 50,4%. აქედან ქალაქზე მოდის 131.523 და სოფელზე—134.643 წევრი. საპაიო გადასახადი თითო წევრზე ქალაქად იმავე დროისათვის უდრიდა 4 მან. 10 კაპ. და სოფლად 3 მან. 74 კაპ. (ახლა მეტი). სულ საპაიო და საწევრო აქციების და ქონების ღირებულების მიმატებით საკუთარი თანხა ქ. თბილისის გამოკლებით აღნიშნულ დროისათვის შეადგენდა 4.178.000 მან. სესხი კი—5.592.114 მან.

ჩვენ გადავედით უკვე საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მე-11 წელში საკავშირო მასშტაბით და მე-8 წ. საქართველოში. ამ დროის განმავლობაში ჩვენ არამც თუ შევძელით მთელი მეურნეობის აღდგენა და აყვანა ომის წინა დროინდელ დონემდე, არამედ ორ წელზე მეტია, რაც შევუდექით მრეწველობის რეკონსტრუქციას და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. რამოდენიმე თვის წინეთ, მე-15 პარტყრილობაზე, ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების, ინდუსტრიალიზაციის წარმატების და მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაზრდის საფუძველზე, ჩვენ შევძელით ფართო სამეურნეო სოციალისტური საამშენებლო გეგმის მიღება, რომელშიც შედის, როგორც ძირითადი პრაქტიკული ამოცანა, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მისი კოლექტივიზაციის და „მაშინიზაციის" საფუძველზე.

ჩვენს სოციალისტურ სამეურნეო ზრდასთან დაკავშირებით, რომელიც თავისუფალი იყო და არის ყოველგვარი ყვლეფისაგან, იზრდება მშრომელთა ფართო მასების—მუშების და გლეხების კეთილდღეობა და უმჯობესდება მათი ეკონომიური მდგომარეობა. ფართო სამეურნეო საამშენებლო პროგრამა მიღებული მე-15 პარტყრილობის მიერ, მოითხოვს მის განსახორციელებლად სახელმწიფო საშუალებათა მობილიზაციას. პროლეტარულმა სახელმწიფომ უნდა მოუყაროს თავი ყველა მატერიალურ საშუალებებს, რომელიც ქვეყანას გააჩნია ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის. ამავე საჭიროებისათვის მან უნდა განთავისუფლოს მის მიერ დაბანდებული თანხები, სადაც ეს შესაძლებელი არის. ის საშინაო სესხი—ინდუსტრიალიზაციისა და გლეხის მეურნეობის განმტკიცებისა, რომელსაც მიმართავდა და მიმართავს ჩვენი სახელმწიფო, არის სწორედ მოსახლეობის საშუალებათა მობილიზაცია ზევით დასახელებულ მიზნებისათვის. საპაიო გადასახადის გადიდების კამპანია, რომელსაც ახლა ატარებს ჩვენი პარტია, სწორედ იმ მიზნით არის დაწყებული, რომ სახელმწიფომ შესძლოს სამომხმარებლო კოოპერაციაში დაბანდებული თანხების ნაწილის განთავისუფლება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საჭიროებისათვის. რაოდენობა იმ თანხისა, რომლის ამოღებას შესძლებს სახელმწიფო სამომხმარებლო კოოპერაციის სფეროდან, სავსებით დამოკიდებულია იმ თანხების რაოდენობაზე, რომელსაც მისცემენ მუშები, მოსამსახურეები და გლეხები თავის კოოპერაციას საპაიო გადასახადის გადიდების და განაღდების გზით.

ამიტომ საპაიო გადასახადის გადიდების კამპანიას ეძლევა უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა. მიზანი ამ კამპანიისა ნათელია: ა) სამომხმარებლო კოოპერაციის საკუთარ საშუალებათა გაძლიერება და მისი საკუთარ ფინანსიურ ბაზისზე დაყენება, ბ) მუშებისა და გლეხების საშუალებათა მიზიდვა კოოპერაციაში და მათი წარმართვა სოციალისტური კალაპოტით, გ) სახელმწიფოს მიერ სამომხმარებლო კოოპერაციაში დაბანდებული თანხების ნაწილის განთავისუფლება ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის მიზნებისათვის.

მიზანი მეტად მნიშვნელოვანი და სიმპატიურია. ამიტომ ამ კამპანიას ჩვენმა პარტიამ, კომკავშირმა და ყველა სახელმწიფო, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება. კამპანიის წარმატება ბევრად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეგნებულად შეხვდებიან მუშები და გლეხები ამ კამპანიას; ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, დამოკიდებულია იმაზე, თუ რანაირ საგიტაციო-საპროპაგანდო და კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებას შევძლებთ ჩვენ. აქ მარტო ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები ვერას გახდებიან. საჭიროა კამპანიაში ჩაბმა პარტიის მთელი მასისა, კომკავშირისა, პროფკავშირებისა, საბჭოებისა, ქალთა შორის მომუშავე ორგანოებისა, პოლიტგანათლების დაწესებულებათა, სკოლებისა, კოოპერაციის, მუშების და გლეხების აქტივისა და ყველა საბჭოთა მოწინავე ელემენტებისა. ყველა ამათი მოქმედება მთლიანი ფრონტით და ერთიანი გეგმით პარტიის მტკიცე ხელმძღვანელობის ქვეშ თავდებია სრული წარმატებისა ამ კამპანიაში.

აქ ჩვენ წინდაწინ უნდა გავითვალისწინოთ ის დაბრკოლებანი, რომელნიც გადაგვეღობებიან წინ ამ კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმეში. ასეთ დაბრკოლებათ ჩვენ ვერ მივიღებთ მოსახლეობის ეკონომიურ სისუსტეს, მით უმეტეს, როდესაც მცირე ხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა და ღარიბ გლეხებისათვის გათვალისწინებულია მთელი რიგი შეღავათები.

ასეთ დაბრკოლებათ ჩვენ უნდა ვაღიაროთ შემდეგი: ა) მოსახლეობის, განსაკუთრებით გლეხობის, დაბალი კულტურული დონე, ბ) საზოგადოებრიობის განვითარების სისუსტე, გ) კოოპერატიული შეგნების დაბალი დონე, დ) არა საკმაო შეგნება იმ უფლებათა და მოვალეობათა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან კოოპერაციის წევრობასთან. უნდა ვსთქვათ პირდაპირ, რომ ჩვენ არა გვაქვს, როგორც ამას ამბობდა ლენინი, „ისეთი კულტურიოსნობა გლეხობისა", რომელიც „პირობაა კოოპერაციის მაქსიმუმამდე განვითარებისა", რომ ჩვენ ძლიერ ცოტა გვაქვს ისეთი კოოპერატივი, **„რომელშიაც მართლა მონაწილეობას იღებენ მოსახლეობის ნამდვილი მასსები"**, რომ, **„ჩვენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვაიძულოთ გამოუკლებლივ ყველა—მონაწილეობა მიიღოს კოოპერატიულ ოპერაციაში არა პასიურად, არამედ აქტიურად"**.

ეს გარემოება გვავალებს ჩვენ ამ კამპანიის დროს მიზანში ამოვიღოთ მასების უკულტურობა, მოუმზადებლობა, უცოდინარობა და მთელი აგიტაცია—პროპაგანდის ძალა მივმართოთ ამ უბედურებათა დასაძლევად.

უნდა გადავიტანოთ **„მთელი სიმძიმე საქმისა... კულტურის დანერგვაზე"**, რადგანაც **„ჩვენთვის მართლაც მუშაობის ცენტრს წარმოადგენს მოქმედება კულტურის საქმისათვის"**. (ლენინი).

უნდა დავისახოთ მთავარ ამოცანათ **„კულტურული მუშაობა გლეხობისათვის"**, რადგანაც ამის გარეშე ვერ მივაღწევთ **„კოოპერაციის მაქსიმუმამდე განვითარებას"**. (ლენინი).

უნდა შევიგნოთ კარგად, რომ ჯერ კიდევ ძალაში რჩება ის, რასაც ლენინი ამბობდა მასსების მოუმზადებლობის შესახებ 1923 წ. **„სიმართლე, რომ ვსთქვათ, ჩვენ დაგვრჩენია „მხოლოდ" ერთი რამ: „გავანათლოთ" ჩვენი ხალხი იმდენად, რომ იგი მიხვდეს საყოველთაო მონაწილეობის სარგებლობას კოოპერაციაში და მოაგვაროს იგი. „მხოლოდ" ეს არის საჭირო იმისათვის, რომ სოციალიზმში გადავიდეთ. მაგრამ იმისათვის, რომ სისრულეში მოვიყვანოთ ეს „მხოლოდ", საჭიროა მთელი გადატრიალება, მთელი გზა კულტურული განვითარებისა ხალხის მთელი მასისათვის"**.

მაშ, კულტურული მუშაობა, მასზე სიმძიმის ცენტრის გადატანა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ საპაიო გადასახადის გადიდების და მასთან დაკავშირებული ახალ წევრთა შეძენის კამპანია წარმატებით დავამთავროთ.

როგორი უნდა იქნეს გეგმა და ფორმები ამ კულტურული მუშაობისა, ამაზე შემდეგ.

ს. მამულია.

ჩემბერლენის განცხადება ჩინეთში იარაღის შეტანის შესახებ

გრძელდება ბრძოლა პოლონეთის სეიმსა და პილსუდსკის შორის

სეიმის წრეების აზრით ახალი სეიმი უძლეური იქნება

ბრძოლა ხელისუფლებისათვის იაპონიაში.—ოპოზიციონური პარტიები მოითხოვენ მთავრობის გადადგომას

ჩემბერლენი ჩინეთში იარაღის შეტანის შესახებ

ლონდონი, 28 მარტი. ჩემბერლენმა თემთა პალატაში შეკითხვაზე განაცხადა, რომ ინგლისის ელჩმა პრაღაში ჩეხო-სლოვაკიის მთავრობას წარუდგინა მოთხოვნილება, რომ მან არ დაუშვას იარაღის ექსპორტი ჩინეთში, რაზედაც ბენეშმა უპასუხა, რომ არ არსებობს ყველა ქვეყნებისათვის სავალდებულო სათანადო შეთანხმება. შემდეგ ჩემბერლენმა სთქვა, რომ ინგლისი მზადაა დაამტკიცოს კონვენცია იარაღის ექსპორტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ იარაღის დამამზადებელი ყველა სახელმწიფოები ერთდროულად დაამტკიცებენ კონვენციას. მაგრამ მთელი რიგი ქვეყნების პასუხი ინგლისის წინადადებაზე 1926 წ. მაჩვენებელია იმისა, რომ უახლოეს დროში კონვენციის ერთდროულად რატიფიკაციაზე იმედის დამყარება უსაფუძვლოა. შეკითხვაზე რომელი სახელმწიფოებია კონვენციის რატიფიკაციის წინაალმდეგ, — ჩემბერლენმა არ უპასუხა და მოითხოვა შეკითხვის წერილობითი სახით წარდგენა.

შემდეგ ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ 1 მარტს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა ელჩს გადასცა ნოტა, რომელშიაც საბჭოთა მთავრობას მოუწოდებდა არ შეეტანა იარაღი ჩინეთში. მაგრამ ჩემბერლენმა არაფერი სთქვა იმის შესახებ, თუ რა ხასიათის პასუხი გასცა საბჭოთა მთავრობამ ნოტაზე. (ადს).

ბრძოლა ხელისუფლებისათვის იაპონიაში

ტოკიო, 28 მარტი. წინაალმდეგ გაზეთ „ტოკიო ასახი"-ს ცნობებისა, თითქოს შინაგან საქმეთა მინისტრი სუზუკი აპირებს გადადგომას, მთავრობის წრეებში აღნიშნავენ, რომ გადადგომა ჯერ არ არის გადაწყვეტილი. ოპოზიციონურმა პარტიამ—მინსეიტომ განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს შეიტანოს პარლამენტში წინადადება მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ. სიაკაი მინსატოს პარტიამ (მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები) მოაწყო მასიური მიტინგი, რომელმაც მიიღო რეზოლიუცია მთავრობის გადადგომის შესახებ.

საერთო აზრით, უკანასკნელ დღეებში მთავრობის მდგომარეობა ძლიერ შეირყა, რაც აიხსნება, როგორც ფაშისტური გამოსვლებით, ისე ოპოზიციონურ პარტიის—მინსეიტოს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებით, რომლებიც ამხელს მთავრობის მაქინაციებს საარჩევნო კამპანიის დროს. (ადს).

საბჭოთა კავშირი-გერმანია-პოლონეთი

ბერლინი, 28 მარტი. პროფესორ გეტჩმა ნაციონალისტურ „დერ ტაგ"-ში მოათავსა წერილი, რომელშიაც სწერს: „ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობის ერთგვარი გამწვავება, რაც გამოიწვია შახტის ინციდენტმა, ახლო მომავალში განვლილი იქნება. იმ დროს, როცა ჩვენი ეკონომიური ერთიერთობის გამწვავება საბჭოთა კავშირთან **დროებითი და წარმავალია, პოლონეთი აკეთებს ყველაფერს იმისათვის, რათა დაგვარწმუნოს, რომ მასთან ეკონომიური ურთიერთობის მოწესრიგება შეუძლებელია.** პოლონეთის დეკრეტი, რომელიც ეხება სანაპირო ოლქებში გერმანელების დასახლების საკითხს, ჩვენ შესაძლებლობას გვართმევს განვაგრძოთ პოლონეთთან მოლაპარაკება სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ".

სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერენ

ბურჟუაზიულ უმრავლესობას

ბერლინი, 28 მარტი. მიუხედავათ იმისა, რომ ჰამბურგის ქალაქის საბჭოში არჩევნების შემდეგ შეიქმნა უმრავლესობა კომუნისტებისა და სოციალ-დემოკრატებისაგან, უკანასკნელებმა **უარყვეს კომუნისტების წინადადება მუშათა უმრავლესობის გამოყენების შესახებ და შეადგინეს კოალიციური მთავრობა დემოკრატებთან და გერმანიის სახალხო პარტიასთან ერთად.** ამ სამ პარტიას შორის მიღწეულ შეთანხმების მიხედვით სოციალ-დემოკრატები მთავრობაში ღებულობენ 6 ადგილს, დემოკრატები და სახალხო პარტია სამსამ ადგილს. ჰამბურგის პირველ ბურგომისტრად რჩება დემოკრატი. (ადს).

მექსიკა დათმობაზე მიდის

ნიუ-იორკი, 28 მარტი. როგორც მექსიკიდან იუწყებიან, პრეზიდენტმა კაიესმა შეიტანა ახალი შეზღუდვა კანონში ნავთის წყაროების ნაციონალიზაციის შესახებ. ეს შეზღუდვა წარმოადგენს დათმობას შეერთებულ შტატების მიმართ. კანონის ახალი განმარტება კანონს ართმევს უკუქცევით ძალას და არ შეიძლება იმ ნავთის წყაროების კონფისკაცია, რომლებიც კერძო პირების ხელშია, აგრეთვე უცხოელთა კომპანიებს კანონი ანიჭებს ნავთიანი მიწების მუდმივ ფლობის გარანტიას. ამ უკანასკნელ დროს მექსიკის მთავრობა ცდილობს დააკმაყოფილოს ამერიკის კაპიტალისტების მოთხოვნილება. შეერთებული შტატების პრესა მექსიკის მთავრობის ამ დეკრეტს სთვლის ამერიკის ელჩის **დვაიტ მორროუს** დიდ დიპლომატიურ გამარჯვებად. ფიქრობენ, რომ მორროუ დაიჭერს ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატების სახელმწიფო მდივნის პოსტს.

ნიკარაგუას მთავრობის გადადგომა

ნიუ-იორკი, 28 მარტი. პრეზიდენტ დიაცის მოთხოვნილებით, ნიკარაგუას მთავრობა გადადგა. კრიზისი გამოიწვია მთავრობის უარყოფითმა დამოკიდებულებამ საპრეზიდენტო არჩევნების კონტროლის საკითხისადმი. (ნიკარაგუას პარლამენტის გადაწყვეტილების წინაალმდეგ ჩრ.-ამერ. შეერთებული შტატების მთავრობა ნიკარაგუაში გზავნის 1000 ჯარისკაცს არჩევნების კონტროლის გასაწევად). (ადს).

პილსუდსკი სეიმის წინაალმდეგ

სეიმი უძლეურია

ვარშავა, 28 მარტი. 28 მარტს სეიმში მოხდა სეიმის თავმჯდომარის ამხანაგის და მდივნების არჩევნები. პილსუდსკიმ, რომელსაც ამ თანამდებობებზე არ წამოუყენებია თავისი კანდიდატები, კენჭის ყრის დროს დემონსტრატიულად შეიკავა თავი. სეიმის თავმჯდომარის ამხანაგებათ არჩეული არიან: ერთი გლეხთა კავშირიდან, ერთი ვიზვოლენიედან, ერთი ბუნდიდან, ერთი ნაციონალ-დემოკრატებიდან და ერთიც პოლონეთის სოციალისტურ პარტიიდან. მდივნების არჩევნების დროს პილსუდსკის მომხრეებმა კვლავ თავი შეიკავეს. იმასთან დაკავშირებით, რომ პილსუდსკის მომხრეებმა არ მიიღეს მონაწილეობა კენჭის ყრაში, **სეიმის წრეებში აღნიშნავენ, რომ სეიმი დიდხანს ვერ იარსებებს.**

მთავრობამ სეიმში შეიტანა დროებითი ბიუჯეტი (3 თვით), რომელიც სეიმმა უნდა მიიღოს 1 აპრილამდე. **სეიმის წრეებში ფიქრობენ, რომ დროებითი ბიუჯეტის მიღების შემდეგ სეიმი დათხოვნილი იქნება განუსაზღვრელ დროით.**

28 მარტს, სეიმის სხდომაზე ბუნდის ფრაქციამ შეიტანა სასწრაფო შეკითხვა ტერორის შესახებ, რომელსაც მთავრობა მიმართავდა არჩევნების დროს დასავლეთ უკრაინაში. შეკითხვის სასწრაფოდ განხილვის საჭიროება უარყოფილ იქნა პილსუდსკის მომხრეთა, ნაციონალ - დემოკრატების, ქრისტიან - დემოკრატების და პიასტის ხმებით. პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ფრაქციამ შეიტანა წინადადება პოლიტპატიმართა საერთო ამნისტიის შესახებ. წინადადება გადაცემულია კომისიაში, რასაც სეიმის წრეებში სთვლიან „წინადადების დასამარებათ". (ადს).

სეიმის თავმჯდომარის ამხანაგები

ვარშავა, 29 მარტი. 28 მარტს, სეიმმა აირჩია თავმჯდომარის ხუთი ამხანაგი. „ვიზვოლენიე"-ს ფრაქციიდან არჩეულია **როზნიცკი**, პოლონეთის სოციალისტური პარტიიდან — **მარეკი**, გლეხური კავშირიდან — **დომბოვსკი**, ნაციონალ - დემოკრატებიდან — **ჩატვერტინსკი** და უკრაინის ნაციონალ-დემოკრატიულ პარტიიდან — **ზახაუკევიჩი**. მთავრობის მომხრე დეპუტატებმა არჩევნებში თავი შეიკავეს. (ადს).

ინგლისი და ავღანისტანი

„სენდეი უორკერ"-ის ღია წერილი ავღანისტანის ფადიშაჰს

ლონდონი, 28 მარტი. ინგლისის მუშათა მოძრაობის მემარცხენე ფრთის ორგანო „სენდეი უორკერ" აქვეყნებს ღია წერილს ლონდონში მყოფ ავღანისტანის ფადიშაჰ ამანულასადმი.

გაზეთი მოაგონებს ფადიშაჰს, რომ, თუმცა ამჟამად იმპერიალისტები ლონდონში ელოლიავებიან მას, მაგრამ ეს მათ არ შეუშლის ხელს თავს დაესხან მის ქვეყანას, როცა ისინი ამას საჭიროდ დაინახავენ. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ავღანისტანს შეუძლია წარმატებით გაუწიოს წინაალმდეგობა იმპერიალისტურ ქვეყნებს, რომელთა შორის ყველაზე უფრო ხაშიშია ინგლისი, მხოლოდ ავღანისტანის მუშებისა და გლეხების აქტიური დახმარებით. აღნიშნავს რა ფადიშაჰის დამსახურებას ავღანისტანის კულტურულ განვითარების საქმეში, „სენდეი უორკერ" აცხადებს, რომ ფადიშაჰმა საფუძველი ჩაუყარა ხალხის თავისუფლებას.

„აქ, ინგლისში,—სწერს გაზეთი,—მდგომარეობა სხვანაირია, თქვენ რომ თავისი ეტლით რამოდენიმეთ გასცილდეთ გილდჰოლს, დაინახავთ სიღატაკის ისეთ საშინელ სცენებს, რომლის მსგავსი საეჭვოა რომ ავღანისტანში მოიპოებოდეს. ამისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება იმათ, ვინც გესალმებათ თქვენ აქ და გართობთ ამჟამად.

ჩვენ, როგორც ინგლისის მშრომელი მასების წარმომადგენლები გიცხადებთ, რომ თქვენ არაფერი საერთო არ უნდა გქონდეთ მჩაგვრელთა და ექსპლოატატორთა კლასთან, რომელიც დღეს პოლიტიკური მოსაზრებით გელოლიავებათ თქვენ, ხვალ კი თავის იმპერიალისტურ ზრახვების განსახორციელებლად შეეცდება გაანადგუროს ავღანისტანის თავისუფლება. იმ დიდ მუშაობაში, რომელსაც თქვენ ახორციელებთ, თქვენ იმედი უნდა გქონდეთ არა იმპერიალისტური ინგლისის პრინცების, გენერლების და მინისტრების და არა ინგლისის ჯარების ავღანისტანის საზღვრებთან. თქვენ დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა ეძიოთ თავისუფალ მუშებისა და გლეხების დიად რესპუბლიკაში, რომელიც მდებარეობს თქვენი საზღვრების ჩრდილოეთით". (ადს).

ამანულას საუბარი ჩემბერლენთან

ლონდონი 28 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩემბერლენის საუბარში ავღანისტანის ფადიშაჰთან და ავღანისტანის გარეშე საქმეთა მინისტრის მოადგილესთან აღძრულ იქნა ინგლის-ავღანისტანის ურთიერთობის ყველა საკითხები. (ადს).

ავღანისტანის მისია უარყოფს

ლონდონი, 28 მარტი. ავღანისტანის მისია ლონდონში უარყოფს ხმებს, თითქოს ის გარემოება, რომ ფადიშაჰმა ორშაბათს უარი სთქვა თეატრში წასვლაზე, დაკავშირებული იყვეს პოლიტიკურ მღელვარებასთან ავღანისტანში.

ფადიშაჰის მგზავრობის პირვანდელი პროექტი შეცვლილია. ფიქრობენ, რომ ფადიშაჰი შეერთებულ შტატებს მაგიერ 5 აპრილს ინგლისიდან გაემგზავრება მოსკოვში, პარიზში და ბერლინში გავლით. (ადს).

ვაზირების შეტაკება ინგლისელებთან

ქაბული, 28 მარტი. აქ მიღებულ ცნობების თანახმად, ინგლისის საჰაერო რაზმს, რომელიც ახდენდა გადაფრენას ბანუდან ჩრდილოეთ ვაზირისტანში, შევალის რაიონში ავღანისტანის საზღვრების მახლობლად, აუტეხეს სროლა. დაზიანებული ჰაეროპლანები დაბრუნდენ ბანუში. მდინარე ტაჩის და გუმალის რაიონში გახშირდა ვაზირების თავდასხმა ინგლისელთა ხადარაჯოებზე. ერთ-ერთი ფორტის რაიონში ვაზირებმა ამოსწყვიტეს ავტომობილებით მიმავალ ინგლისელთა ჯგუფი. ვაზირების წინაალმდეგ იგზავნება ინგლისის საჰაერო ექსპედიცია. (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩემბერლენი ნანკინთან მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 28 მარტი. თემთა პალატაში ჩემბერლენმა შეკითხვაზე—შეწყვეტილია თუ არა მოლაპარაკება ნანკინის მთავრობასთან „ნანკინის ინციდენტის" შესახებ, განაცხადა, რომ მოლაპარაკება ჯერ სასურველად არ დამთავრებულა, მაგრამ ის არ ჰკარგავს იმედს, რომ მოლაპარაკება შეთანხმებით დასრულდება (ადს).

ფინ-იუ-სიანი უკან იხევს

პეკინი, 28 მარტი. მუკდენის სამხედრო წრეების ცნობით, ფინ-იუ-სიანის ჯარებმა ვერ მოახერხეს გადასვლა მდინარე ჩჟან-ხეზე ჩჟილის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. მდინარეზე გადასვლის ცდის დროს ფინ-იუ-სიანის ჯარები ძალიან დაზარალდა. იმავე წყაროებიდან იუწყებიან, რომ სუნ-ჩუან-ფანის ჯარებმა შეუტიეს ფინ-იუ-სიანის ჯარებს დასავლეთის მხრით. ფინ-იუ-სიანის ჯარებმა უკან დაიხიეს ისე, რომ ზარალი არ მოსვლიათ.

პროფინტერნის კონგრესი

ბრძოლა ფაშიზმთან

ამხ. მონმუსოს მოხსენება

მოსკოვი, 29 მარტი. პროფინტერნის კონგრესის დილის სხდომაზე 28 მარტს ამხ. მონმუსო გამოვიდა მოხსენებით ფაშიზმთან ბრძოლის შესახებ.

„ამჟამად ადგილი აქვს რეფორმისტულ პროფბიუროკრატიის ფაშიზაციის გაძლიერებულ პროცესს, განაცხადა ამხ. მონმუსომ. უკანასკნელის მონაწილეობა კაპიტალისტურ სახელმწიფო აპარატში, მისი ცდები ხელი შეუშალოს რევოლიუციონურ მუშების კავშირს ფართე მასებთან პროფკავშირებიდან მუშების მასიურ გამორიცხვის და სხვა გამთიშველი და პროვოკაციული ზომების საშუალებით, მისი თანამშრომლობა მწარმოებლებთან და გამცემლობა მუშების მიმართ, რომლებიც იბრძვიან სამუშაო ხელფასის გადიდებისათვის,—ყველაფერი ეს მოწმობს, რომ რეფორმისტული პროფბიუროკრატია ფაშიზმის მთავარი აგენტი ხდება. მისი დახმარების საშუალებით ბურჟუაზიას აქვს შესაძლებლობა მოამზადოს იმპერიალისტური ომი და ომი საბჭოთა კავშირის წინაალმდეგ. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზია ფაშიზაციის გატარებას ახერხებს მხოლოდ რეფორმისტულ ბელადებში და არა რეფორმისტულ მასებში. რეფორმისტულ ბელადებსა და მასებს შორის უფსკრული თანდათან იზრდება.

იმისათვის, რომ წარმატებით ებრძოლონ ფაშიზმს, რევოლიუციონურმა პროფკავშირებმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციონ მუშათა კლასის ყოველდღიურ ბრძოლას, უნდა აწარმოონ აქტიური მუშაობა არაკვალიფიციურ მუშებს შორის და მჭიდრო კავშირი გააბან წარმოებაში ჩაბმულ მუშებთან და უმუშევრებთან. საჭიროა მუშაობა უცხოელ მუშებს შორის, ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოება ფაშისტურ პროფკავშირებში. მხოლოდ ამ გზით შეიძლება მასების დარაზმვა პროფინტერნის გარშემო ფაშიზმის წინაალმდეგ საბრძოლველად".

ამხ. მონმუსოს მოხსენების გარშემო გამართულ კამათის შემდეგ, კონგრესი ერთხმად იღებს ამხ. მონმუსოს მიერ წარმოდგენილ თეზისებს, რომლებიც საბოლოო განხილვისათვის გადაეცა კომისიას. (ადს).

ამხ. გელერის მოხსენება

მოსკოვი, 29 მარტი. პროფინტერნის კონგრესის 29 მარტის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. გელერის მოხსენება პროფმოძრაობის შესახებ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფმოძრაობამ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში ბრძოლა უნდა აწარმოოს როგორც უცხოეთის იმპერიალიზმთან, ისე საკუთარ ბურჟუაზიასთან. პროფინტერნის მომხრეებმა უნდა გააძლიერონ იქ მუშაობა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ პროფმოძრაობის ორგანიზაციულად ჩამოყალიბებას. ლოზუნგი „დასავლეთისა და აღმოსავლეთის პროლეტარებო გაერთიანდით!" უნდა განხორციელდეს ყოველდღიური მუშაობით კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების მუშებს შორის (ადს).

მაქსიმ გორკის იუბილეს გამო

რომი, 28 მარტი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ იტალიაში საბჭოთა კავშირის კონსულს ნეაპოლიტანში დაავალა გადასცეს პირადათ გორკის მისალმება სრულუფლებიან წარმომადგენლის—კურსკისა და სრულუფლებიან წარმომადგენლობის ყველა თანამშრომლების სახელით. (ადს).

პრაღა, 28 მარტი. პარიზის გაზეთების უმრავლესობა წერილებს უძღვნის გორკის იუბილეს. ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა მასარიკმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა გორკის. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ პრაღაში გორკის იუბილეს გამო გამართა დარბაზობა, რომელსაც ხელოვნებისა, ლიტერატურისა და მეცნიერების მრავალი გამოჩენილი წარმომადგენლები დაესწრო. საბჭოთა კავშირის მეგობართა ჩეხო-სლოვაკიის საზოგადოება იუბილესთან დაკავშირებით, აწყობს გორკის საღამოს. (ადს).

წითელფრონტელთა კონფერენცია

ბერლინი, 28 მარტი. გერმანიის წითელფრონტელთა კონფერენციაზე, რომელიც ჰამბურგში გაიხსნა მთავარ საკითხს წარმოადგენდა ამხ. ტელმანის პოლიტიკური მოხსენება.

ტელმანმა აღნიშნა წითელფრონტელთა კავშირის ზრდა და მისი იდეოლოგიური მთლიანობის განმტკიცება. ხაზი გაუსვა რა ბურჟუაზიული ბლოკის შეტევას მუშათა კლასის წინაალმდეგ, ტელმანმა აღნიშნა, რომ **წითელფრონტელთა კავშირის მთავარ ამოცანებს შეადგენს ორგანიზაციის წევრთა რიცხვის გადიდება, კავშირის მუშაობის გაძლიერება მომავალ საპარლამენტო არჩევნებში და გერმანიის მუშათა კლასის ყველა ძალების დარაზმვა იმპერიალიზმის წინაალმდეგ საბჭოთა კავშირის დასაცავად.**

კონფერენციამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ და აირჩია კავშირის აღმასკომი. (ადს).

ძალადობა ფარულად სჯობია

ლონდონი, 28 მარტი. კონსერვატორმა მალონმა თემთა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრს მისცა შეკითხვა—შეუძლია თუ არა მას აღნიშნოს ის საკითხები და აგრეთვე მდგომარეობა იმ მოლაპარაკებისა, რომელიც ინგლისსა და სპარსეთს შორის სწარმოებს, ჩემბერლენმა უპასუხა, რომ ორივე ქვეყნის მთავრობებს შორის გრძელდება მოლაპარაკება, მაგრამ იმ პუნქტების საჯაროდ დასახელება, რომელთა გარშემოც სწარმოებს მოლაპარაკება, არ შეუწყობს ხელს მოლაპარაკების სასურველად დამთავრებას (ადს).

მეორე აფეთქება

ნიუ-იორკი, 28 მარტი. ჩიკაგოში ადგილობრივი რესპუბლიკანური ჯგუფის ორი ბელადის სახლებში აფეთქდა ყუმბარა. აფეთქების დროს არავინ არ დაშავებულა. მიმდინარე წელს ეს უკვე მეოცე აფეთქებაა ჩიკაგოში, სადაც მებრძოლი პოლიტიკური ჯგუფები რომლებიც დაკავშირებული არიან სხვადასხვა საეჭვო ელემენტებთან, მოპირდაპირეთა წინაალმდეგ იყენებენ დაქირავებულ ბანდიტებს. (ადს).

თავდასხმა მუშებზე

ლონდონი, 28 მარტი. ლილოას (აღმოსავლეთ ინდოეთი) რკინის გზის სახელოსნოების ორი ათასი გაფიცული მუშა შეეცადა გაფიცვაში ჩაება აღმოსავლეთ ინდოეთის რკინის გზის სხვა სახელოსნოების მუშებიც. გაფიცულ მუშებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. მოკლულია ორი მუშა და დაჭრილი ერთი.

სპარსეთში

მეჯლისის არჩევნები

თეირანი, 28 მარტი. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა მეჯლისის არჩევნების დანიშვნის შესახებ 22 აპრილიდან. არჩევნების მოსამზადებლად გადადებულია 170.000 თუმანი. (ადს).

ინგლისელების პროვოკაცია

თეირანი, 28 მარტი. ფარსიდან მიღებული ცნობით, ბაღდადიდან ჩამოსულები ამბობენ, რომ ინგლისელები ავრცელებენ მესოპოტამიაში ხმებს, თითქოს ხუზისტანის არაბებს განზრახული აქვთ გაითავისუფლონ თავი „სპარსეთის უღლიდან" და დაიწყონ ბრძოლა ხუზისტანის დამოუკიდებლობისათვის. (ადს).

საბჭოთა ჩითი სპარსეთის სოფელში

თეირანი, 28 მარტი. შირაზიდან მიღებული ცნობით, გლეხობა დიდ ინტერესს იჩენს სპარსეთის ბაზარზე შემოტანილ საბჭოთა ჩითისადმი. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გორკის დღე მოსკოვში

პრესა

მოსკოვი, 29 მარტი. მოსკოვის გაზეთების დღევანდელი ნომრები მიძღვნილია მაქსიმ გორკისადმი. მთელი რიგ რედაქციებმა, გარდა ჩვეულებრივ საიუბილეო მასალისა, მოწინავე წერილებით აღნიშნეს გორკის იუბილე.

პრესაში მოყვანილია უცხოეთის მწერლების გამოძახილი და მისალმებანი მაქსიმ გორკისადმი. ასეთ მწერალთა შორის აღსანიშნავია **სტეფან ცვეიგის, ჟიდის და ვასსერმანის** გამოძახილი მაქსიმ გორკის ლიტერატურულ მოღვაწეობის შესახებ.

კრიტიკოსები და მეცნიერები გორკის შესახებ

მოსკოვი, 29 მარტი. ცნობილ ლიტერატურულ კრიტიკოსის **ფრიჩეს** სიტყვით მაქსიმ გორკი მომავალი ქვეყნის ერთი უძლიერესი მშენებელთაგანია მხატვრული ლიტერატურის ფრონტზე.

სამეცნიერო აკადემიის მუდმივი მდივანი **ოლდენბურგი** გორკისადმი მიძღვნილ თავის წერილში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მაქსიმ გორკი შეუყვარებული იყო და არის მეცნიერებაში, რომ მაქსიმ გორკი მეცნიერთა საუკეთესო მეგობარია.

კრიტიკოსი **ლებედევ-პოლიანსკი** გორკის ახასიათებს, როგორც მწერალ-მეამბოხეს.

ლუნაჩარსკი აღნიშნავს იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მიუძღვის მაქსიმ გორკის რუსეთის ლიტერატურის განვითარების საქმეში და განსაკუთრებულ გავლენას, რომლითაც სარგებლობს გორკი-მწერალი ჩვენს ახალგაზრდობაში.

საერთო შთაბეჭდილება

მოსკოვი, 29 მარტი. საერთო შთაბეჭდილება იმ საზოგადო განწყობილებიდან, რომლის გამოხატულებასაც წარმოადგენს პრესა და მაქსიმ გორკის იუბილეს გამო გამართული მრავალრიცხოვანი საზეიმო კრებები, ისეთია, რომ მაქსიმ გორკი პირველი პროლეტარული მწერალია, რომელსაც წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება, საკუთარი თვალით დარწმუნდეს თუ რა დიდათ აფასებს პროლეტარული ხელისუფლება ხელოვნების მუშაკებს საზოგადოთ და უმთავრესად მათ, რომელნიც თავიანთი მხატვრული შემოქმედებით სოციალისტური შემოქმედების აქტიური და უშუალო მონაწილენი არიან.

ტუაპსე - სოჩისა და ბაქო-ჯულფის რკინის გზის ასაშენებლად

მოსკოვი, 29 მარტი. ამ დღეებში დაამტკიცეს გზათა კომისარიატის ბიუჯეტი. ახალი ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი მომავალ წლისათვის ტრანსპორტის საჭიროებისათვის ითვალისწინებს ერთ მილიარდ ცხრაას ოთხმოცდა ცხრამეტ მილიონ მანეთ ხარჯებს. საგასავლო ნაწილში სხვა წამოწყებებთან და ხარჯებთან ერთად აღნიშნულია ტუაპსე-სოჩი-ადლერისა და ბაქო-ჯულფას რკინის გზის გასაყვანი ხარჯებიც.

ტუაპსე-სოჩი-ადლერის რკინის გზის დასამთავრებლად გადადებულია ოთხი მილიონი მანეთი, ბაქო-ჯულფას რკინის გზის საჭიროებისათვის კი სამი მილიონი მანეთი.

საბჭოთა გერმანიისათვის მებრძოლთა ჩამოსვლა

მოსკოვი, 29 მარტი. დღეს მოსკოვში ჩამოვიდა თორმეტი გერმანელი რევოლიუციონერი, რომელნიც ეხლახან გაანთავისუფლეს გერმანიის ციხებიდან. ჩამოსულთა შორის შვიდი კაცი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბავარიის საბჭოების დაარსება-გამაგრებისათვის ბრძოლაში.

ახლად ჩამოსულ გერმანელ რევოლიუციონერების უმრავლესობას რემედესმა აღმოუჩინა მატერიალური დახმარება, ჩამოსულ ამხანაგების ერთი ნაწილი კი, რომელიც ხანგრძლივი პატიმრობისა და გერმანიის პოლიციის მხეცური მოპყრობის გამო ფიზიკურად დასუსტებულია, გაგზავნილი იქნება დასასვენებლად კურორტებზე.

წიგნის მუშაკთა ტეხნიკუმი

მოსკოვი, 29 მარტი. რუსეთის განათლების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა გახსნას მოსკოვში ამხ. ა. ლუნაჩარსკის სახელობის წიგნის მუშაკთა ტეხნიკუმი. აღნიშნული ტეხნიკუმის დაარსებით სახალხო განათლების კომისარიატი მიზნად ისახავს წიგნის კულტურის განმტკიცებას და წიგნის გავრცელების საქმის რაციონალიზაციისათვის სათანადო მუშაკების მომზადებას.

ღამის ცნობები

„შერიგება“ სეიმთან

ვარშავა, 29 მარტი. მთავრობასთან თანამშრომლობის ბლოკმა დაადგინა მიიღოს მონაწილეობა სეიმის საქმიან მუშაობაში და გაგზავნოს თავისი წევრები სეიმის კომისიაში. სეიმის დღევანდელ სხდომაზე გამოვიდა ვიცე-პრემიერი ბარტელი. კამათში ბარტელის განცხადების გამო გამოვიდენ პოლონეთის სოციალისტური დეპუტატი მარეკი და „უნდოს“ წარმომადგენელი. როცა უნდა ელაპარაკნათ კომუნისტ ვარსკის, მემარცხენე „ხელრობის“ წარმომადგენელ ვოლნიცკის და უკრაინელ რადიკალთა წარმომადგენელს, კამათი შესწყვიტეს. პოლონეთის სოც. პარტიის წარმომადგენელნი სცდილობენ ბარტელის გამოსვლა დაასახიათონ როგორც „მთავრობის შერიგება სეიმთან“ (ადს).

შტრეზემანი ორიენტაციის შეცვლის წინააღმდეგია

ბერლინი, 29 მარტი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, როცა რეიხსტაგში მესამე წაკითხვით იხილავდნენ ბიუჯეტის პროექტს, შტრეზემანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ მიუხედავად ზოგიერთი იმედების გაცრუებისა, მას არა აქვს განზრახვა შესცვალოს საგარეო პოლიტიკის ეხლანდელი კურსი. (ადს).

ბელორუსიის გრომადის პროცესი

ვილნო, 29 მარტი. ბელორუსიის გრომადის პროცესის მე-19 დღეს გრძელდება მოწმეთა დაკითხვა. მოწმე ცესლიუკი, რომელმაც სასამართლო გამოძიებას მიაწოდა „ცნობები“ კომუნისტური ლიტერატურის გავრცელების შესახებ, ეხლა უარყოფს თავის წინანდელ ჩვენებას. როგორც ირკვევა, მან პოლიციის ტერორის ზეგავლენით მისცა წინანდელი ჩვენება. დიდი სკანდალი მოხდა მოწმე სოსარჩიკის—გროდნოს პოლიციის საიდუმლო აგენტის დაკითხვის დროს. მოწმე ბრალდებულ შუშკევიჩს, ბარლიცკის და პოდზუბიკს ახასიათებს, როგორც „თავზე ხელაღებულ კომუნისტებს“. მოწმე აცხადებს, რომ თითქოს „სიკვდილით დასჯის განაჩენი გურინს (პროვოკატორს) გამოუტანა შუშკევიჩმა პოდზუბიკთან ერთად, რომელიც მონაწილეობას იღებდა გურინზე თავდასხმაში ქალაქ გროდნოში“. ბრალდებული პოდზუბიკი წარმოდგება და ყვირის: „უტიფარი სიცრუეა“ თავმჯდომარე პოლიციას უბრძანებს გაიყვანონ პოდზუბიკი სასამართლოს დარბაზიდან. პოდზუბიკი გადის და ყვირის: „ეს პოლიციის ახალი პროვოკაციაა“.

პროცესის მე-20 დღეს დაკითხეს უმთავრესად ოხრანკის აგენტები და პოლიციელები. (ადს).

„მორალის“ სადარაჯოზე

ნიუ-იორკი, 28 მარტი. ნიუ-იორკის შტატის უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა „უერკერ დეილი“-ის (ამერიკის უორკერს პარტიის ორგანო) საქმეზე გამოტანილი განაჩენი და გაზეთი სცნო დამნაშავედ პორნოგრაფიულ ნაწარმოებთა გავრცელებაში. გაზეთმა გამოაქვეყნა სტუდენტ გორდონის პოემა, რომელიც დასცინოდა კაპიტალისტურ წყობილებას და ჩრ.-ამერ. შეერთებულ შტატებს ადარებდა საროსკიპოს. „დეილი უორკერ“-ი დაჯარიმებულია 500 დოლარით. რედაქტორმა დენნიმ სასამართლოს განაჩენით უნდა მოიხადოს სასჯელი სატუსაღოში. პოემის 18 წლის ავტორს მიესაჯა სამი წლით დაპატიმრება.

განაჩენი წყალთა მეურნეობის მუშაკთა საქმეზე

ტაშკენტი, 29 მარტი. 28 მარტს კავშირის უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განაჩენი წყალთა მეურნეობის მუშაკთა საქმეზე. რიკუნოვს და მორის მიუსაჯეს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუხდელად; რისკინს, ტრომბაჩევს, შაროვს, ვერბეცკის, პუგაჩენკოს და შუკაევსკის—თავისუფლების აღკვეთა 5 წლით სასტიკი იზოლიაციით, უფლებების აუხდელად; სირომიატნიკოვს—თავისუფლების აღკვეთა 6 წლით სასტიკი იზოლიაციით, და სამი წლით უფლებების ახდა; ლევჩენკოს—სასტიკი იზოლიაცია ხუთი წლით და უფლებების ახდა 3 წლით; მაკაროვსკის და ხოდიაშევს—სასტიკი იზოლიაცია ორი წლით, უფლებების აუხდელად; ვეტლუგინ-გოლგანს—სასტიკი იზოლიაცია სამი წლით და უფლებების ახდა სამი წლით; მარტინოვს—სასტიკი იზოლიაცია ორი წლით, უფლებების აუხდელად; კრუტობერევს და ჩერნიაევს—სასტიკი იზოლიაცია 1 ნახ. წლით; უფლებების აუხდელად, პავლოვს—სასტიკი იზოლიაცია ერთი წლით. პურიაჩინ-პეტროვი და მანდრიგინი გამართლებულ იქნენ (ადს).

ნახიჩევანის ცაკის სესია

ნახიჩევანი, 29 მარტი. დაიხურა ნახიჩევანის ცაკის მესამე სესია. სესიამ დააკმაყოფილა ცაკის თავმჯდომარის ამხ. ბაბაევის და სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. მუსაევის თხოვნა და განთავისუფლა ისინი მათი თანამდებობიდან. ცაკის თავმჯდომარედ არჩეულია მოადგილე ამხ. რიზაევი, სახკომსაბჭოს თავმჯდომარედ ამხ. მამედხანოვი. (ადს).

აზერბეიჯანის პროფკავშირთა ყრილობა

ბაქო, 29 მარტი. დაიხურა აზერბეიჯანის პროფკავშირთა მე-6 ყრილობა. ყრილობამ მოიწონა აზერბეიჯანის პროფსაბჭოს, აზერბეიჯანის შრომის სახ. კომისარიატის, აზერბეიჯანის სოცდაზღვევის და ეკონომიურ საბჭოს მუშაობა და მიიღო რეზოლუციები ყველა მოხსენებების გარშემო. (ადს).

სახკომსაბჭოს დადგენილება მაქსიმ გორკის იუბილეს შესახებ

მოსკოვი, 29 მარტი. ალექსი მაქსიმესძე პეშკოვის, მაქსიმ გორკის ცხოვრების 60 წლისა და მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლის შესრულების დღეს საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს განსაკუთრებულ დამსახურებას ამ დიდი რევოლიუციონური მწერლისას, რომლის შემოქმედება განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი კავშირის მშრომელი მასების ცხოვრებასთან და მათ ბრძოლასთან მეფისა და კაპიტალისტური რუსეთის წინააღმდეგ. მაქსიმ გორკი მხატვრული სიტყვის მებრძოლთა რიგებში ჩადგა მე-90 წლებში, როცა ლიტერატურაში გაბატონებული იყო ბურჟუაზიული ინტელიგენცია. იგი მოვიდა ჩაგრულ მშრომელთა სამყაროდან და თან მოიტანა მრისხანე პროტესტის გრძნობა ფეოდალურ კაპიტალისტური წყობილების მათი დამონავებისა და ჩაგვრის წინააღმდეგ. თავისი შემოქმედების ცოცხალი სახეებით იგი მუშათა კლასს ამზადებდა პირველი შეტევისათვის ცარიზმისა და კაპიტალის სიმაგრეების წინააღმდეგ, ჩვენი პირველი რევოლიუციისათვის, რომლის უმთავრესი წინამორბედიც იგი თვითონ იყო. მაქსიმ გორკი—არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც რევოლიუციონური მოღვაწე პირადად იღებდა მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობაში. მან არაერთხელ აღმოუჩინა დიდი დახმარება მუშათა კლასს და კომუნისტურ პარტიას და ამჟამადაც განაგრძობს ენტუზიაზმით აღსავსე ბრძოლას მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის მტერთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს ამ აქტით აღნიშნოს ალექსი მაქსიმესძე პეშკოვის უდიდესი დამსახურება მუშათა კლასის პროლეტარული რევოლიუციის წინაშე და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წინაშე.

საბჭ. სოციალისტ. რესპ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ა. ი. რიკოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1928 წ. 29 მარტი.

ეკონომიური კონტრ-რევოლიუციის გარშემო

ამხ. კუიბიშევი შახტის რაიონში აღმოჩენილ შეთქმულების შესახებ

მოსკოვი, 29 მარტი. 28 მარტს კავშირთა სასახლეში შესდგა ქ. მოსკოვის და მოსკოვის გუბერნიის საინჟინერო-ტეხნიკურ მუშაკების კრება 4.000 კაცის მონაწილეობით. კრებაზე მოხსენება გააკეთა ს. მ. უ. საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. **კუიბიშევმა**.

პრეზიდიუმში ირჩევენ ამხ. **რიკოვს, ტომსკის, კუიბიშევს, კრჟიჟანოვსკის**, პროფესორ **ბახს, გუბკინს, ოსადჩის**, ინჟენერ **ალექსანდროვს** და სხვ. ამხ. კუიბიშევის გამოჩენას კრება ხანგრძლივი ტაშით ხვდება.

„ჩვენში,—ამბობს ამხ. კუიბიშევი,—თვითეულ პატიოსან მუშაკს აქვს ფართო ასპარეზი შემოქმედებისა და ნაყოფიერ მუშაობისათვის. ასეთ მომენტში ჩვენ ვხედავთ, რომ დონის ოლქის თვალსაჩინო სპეციალისტებმა საზიზღრად მიჰყიდეს სახალხო მეურნეობის ინტერესები უცხოელ კაპიტალისტებს. მთავრობა და პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ ამ ფაქტის ფართოდ გაშუქებას. გადაწყვეტილია, რომ ეს საქმე გატარდეს ნორმალურ სამოსამართლო ინსტანციებში, რათა ფართო საზოგადოებრიობამ ნათლად დაინახოს მოღალატეთა ხროვის მთელი სისაძაგლე და დარწმუნდეს, რომ მოღალატენი ნამდვილად არიან სასტიკი სასჯელის ღირსნი. მოღალატენი სასტიკად დაისჯებიან, მაგრამ მთავრობამ მიიღო ზომები, რომ არც ერთი პატიოსანი მუშაკი და არც ერთი უდანაშაულო არ დაზარალდეს. მე ვაცხადებ პარტიის სახელით, რომ შახტის საქმე არავითარ გავლენას არ იქონიებს ჩვენს დამოკიდებულებაზე სპეციალისტებთან“.

ამხ. კუიბიშევი აღნიშნავს ახალგაზრდა სპეციალისტების სუსტ გამოყენებას მრეწველობაში და აცხადებს, რომ ძველი სპეციალისტები უნდა შეეცადონ გადასცენ თავისი ცოდნა და გამოცდილება ახალგაზრდა ძალებს.

დასასრულ ამხ. კუიბიშევი გამოსთქვამს რწმენას, რომ შახტის საქმე ვერავითარ განხეთქილებას ვერ შეიტანს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასისა და საინჟინერო-ტეხნიკურ ძალების კავშირში, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მჭიდროდ გააერთიანებს მათ. ამხ. კუიბიშევის ამ განცხადებას კრება ხვდება მქუხარე ტაშით.

—:—

ცნობილ სპეციალისტების გამოსვლის შემდეგ კრებამ **მიიღო რეზოლიუცია, რომელიც იწონებს მთავრობის დამოკიდებულებას სპეციალისტებისადმი და ჰგმობს შახტის რაიონის გამცემლებს**.

გერმანელი კომუნისტები საბჭოთა კავშირში

ნეგორელოე, 28 მარტი. გერმანიიდან ჩამოვიდნენ ბავარიის ყოფილი სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის 11 მოღვაწე, რომელნიც ამნისტიით განთავისუფლა გერმანიის მთავრობამ. გერმანელი ამხანაგები საბჭოთა კავშირში ჩამოვიდნენ რემედასის საკავშირო ცაკის მოწვევით, კავკასიის ერთ-ერთ სანატორიუმში სამკურნალოდ. ბელორუსიის მთავრობის სახელით ჩამოსულ გერმანელ ამხანაგებს მიესალმა ამხ. სტაშევსკი და ბელორუსიის კომპარტიის (ბ) ცკას სახელით ამხ. ოზეროვიჩი.

საპასუხო სიტყვა გერმანელი ამხანაგების სახელით წარმოსთქვა ამხ. კოლენსიშენმა, რომელმაც სთქვა, რომ ჩამოსული გერმანელი კომუნისტებს იმედი აქვთ საბჭოთა კავშირში ნახონ ახალი სამშობლო, და ძალ-ღონის მოკრეფის შემდეგ კვლავ განაგრძონ მუშაობა რევოლიუციის სასარგებლოდ (ადს).

საკავშირო ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოხსენება არაპირდაპირი გადასახადის შესახებ

მოსკოვი, 29 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმის დღის სხდომაზე ამხ. **ლარინმა** გააკეთა მოხსენება არაპირდაპირი გადასახადების შესახებ.

საბიუჯეტო კომისიამ საჭიროდ სცნო აქციზის გადიდება 29.900.000 მანეთით და ამრიგად აქციზის აყვანა 1.415.900.000 მანეთამდე, რისთვისაც უნდა გადიდებულ იქნეს აქციზი ლუდზე, პურის არაყზე, შაქარზე, თამბაქოს და საფეიქრო ნაწარმოებზე. არაყის აქციზის შესახებ კომისიამ საჭიროდ სცნო დაავალოს მთავრობას სპეციალურად დაამუშაოს საკითხი იმის შესახებ, რომ შემოსავალი მაგარ სასმელებიდან თანდათან შეიცვალოს სხვა წყაროებიდან მიღებული შემოსავლით. სათანადო მოხსენება მთავრობამ ერთი წლის ვადაში უნდა წარუდგინოს განსახილველად საბჭოთა კავშირის ცაკის სესიას. კომისიამ სასურველად სცნო მოსახმარებლად გამოშვებული არაყის განაზღვრა 40 მილიონი ვედროთი. ამასთან დაკავშირებით სახკომსაბჭოს დაევალა განიხილოს საკითხი პურის არაყის დამზადების შემდგომი ზრდის შეჩერების შესაძლებლობის შესახებ. კომისიამ საჭიროდ სცნო თანდათან იქნეს შემცირებული აქციზი ჩაიზე. (ადს).

მოსკოვი, 29 მარტი. საბჭოთა კავშირის ცაკის საბიუჯეტო კომისიის პლენუმმა 28 მარტის საღამოს სხდომაზე მოისმინა ამხ. ვეტოშკინის მოხსენება 1927—28 წლის ბიუჯეტის არასაგადასახადო შემოსავლის შესახებ, რის შემდეგ განიხილა არასაგადასახადო შემოსავლის ხარჯთაღრიცხვა. არასაგადასახადო შემოსავალი მიღებულ იქნა 1.301.308.285 მან. რაოდენობით და სახკომსაბჭოს პროექტთან შედარებით გადიდებულ იქნა 128.000 მანეთით. ეს თანხა მიღებულ უნდა იქნას სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილ სახელმწიფო და სავაჭრო წარმოებათა შემოსავლის გადიდებით. (ადს).

ფინანსების მიწოდება ნავთის მრეწველობისათვის

მოსკოვი, 29 მარტი. 1927-28 წლის საწარმოო - საფინანსო გეგმის დამტკიცების დროს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭომ თავის დადგენილებაში, ამ გეგმის დეფექტებს შორის აღნიშნა ის გარემოება, რომ საკმაო არ არის უზრუნველყოფილი ნავთის ამოღების შემდგომი ზრდა. ეს კი ქმნის იმის საფრთხეს, რომ მომავალ წელში შეიქმნება სერიოზული დაბრკოლებები ნავთის პროდუქტების ექსპორტის პროგრამის შესრულებაში. ამის გამო სახკომსაბჭომ ნება დართო საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს გაადიდოს ფინანსების მიწოდება ნავთის მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობისათვის 8 მილიონი მანეთით. აქედან 2,5 მილიონი მანეთი მოხმარდება კაპიტალურ მშენებლობის აღდგენას გეგმის მიხედვით. დანარჩენი თანხიდან „აზნავთისათვის“ გადადებულია 3,5 მილიონი მანეთი. ამრიგად, აზნავთის სამრეწველო საფინანსო გეგმა შესრულებული იქნება უდეფიციტოდ იმ პირობით, თუ შესრულებულ იქნა ნავთის ამოღებისა და გადამუშავების პროგრამა და კაპიტალურ მშენებლობაზე მიმდინარე წელში დაიხარჯა 103.400.000 მანეთი. (ადს).

რას მოველით გორკისაგან

ალექსი მაქსიმეს ძეს 60 წელი შეუსრულდა. მე იგი ვნახე სულ რამოდენიმე წლის წინედ,—მას თითქმის არ აქვს ჭაღარა (მიუხედავად ქრონიკული ავად მყოფობისა), თვალები ნათლად და ყურადღებით გამოიყურება შუბლქვეშ, რომელიც დაღარულია როგორიღაც განსაკუთრებული რუსული ნაოჭებით, ულვაშები დამცინავად არის აბურძგვნილი, მხნე, მკვირცხლი,—და როგორი მკვირცხლი,—სულით არის გამსჭვალული ჩვენი ძვირფასი იუბილიარის მთელი არსება. საერთოდ რომ ვსთქვათ, არც ისე კარგად უნდა იგრძნოს თავი ადამიანმა, რომელსაც ყველა ჩაციებია—ეუბნება „სასიამოვნო“ ახალ ამბავს: „შენ ძმობილო, სამოც წელს გადააბიჯე“-ო. მაგრამ ალექსი მაქსიმეს ძეს ეს სრულიად არ აწუხებს: ღმერთმანი, შეხედულების მიხედვით არავინ არ მიაკუთვნებს მას სამოც წელს, არავის არ მოუბრუნდება ენა უწოდოს მას „პატივცემული მოხუცი“. ისიც კი, რომ გორკის ჰყავს შვილიშვილი, პარადოქსად ან ფაშისტების ფოტოგრაფთა მიერ გამოგონილად გვეჩვენება, იმდენად შეჩვია ყველა გორკის, როგორც ახალგაზრდა ცხოველმყოფელ ძალს.

მე ეხლა არ მინდა ვილაპარაკო გორკის უდიდეს დამსახურებაზე, არც მის მერყეობაზე, არც, განსაკუთრებით, მის მსოფლიო ლიტერატურულ სახელზე. მე მინდა მხოლოდ რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა იმაზე, თუ რას მოვითხოვთ გორკისაგან, გორკისაგან, როგორც უდიდესი პროლეტარული მხატვრისაგან, როგორც ჩვენი მწერლისაგან.

გორკი—კოლექტივისტია, იგი გრძნობს, განიცდის მასას, მისი სიცოცხლის, მის ბრძოლის, მისი შრომის რიტმს, იგი გრძნობს კლასის, ხალხის, ადამიანთა დიდი მასის სუნთქვას. მისი შემოქმედების დასაწყისმა პერიოდმა, რუსეთის ბრწყინვალე ლაცარონების, ჩელკაშების (მათი მხატვრული ძონძებით და „აზრთა დამოუკიდებლობით“) პერიოდმა უკვე დიდი ხანია განვლო, თუმცა ეს პერიოდი გორკის შემოქმედებაში მძლავრ ნაკადად იჭრებოდა „რუსეთის სახელმწიფოს“ დამყაყებულ ჭაობში და უდიდეს რევოლიუციონურ როლს თამაშობდა. გორკი—მხატვარია, რომელიც იცნობს მასას. გორკი—კულტურისა და შრომის მოძღვარია. იგი ამ ქვეყნად ყველაზე უფრო აფასებს და პატივსცემს შრომას.

შეიძლება ითქვას, რომ არავინ არ გრძნობს შრომის ცხოველმყოფელ შემოქმედების მთელ პათოსს ისე, როგორც გორკი, არავინ არ განიცდის შრომის უდიდეს რევოლიუციონურ გარდამქმნელ მნიშვნელობას ისე, როგორც ეს პროლეტარული მწერალი. მისი ოქტომბრის შეცდომებიც ხომ იმით აიხსნებოდა, რომ მხატვარი ხედავდა და მეტად მძლავრად განიცდიდა, ძლიერ გრძნობდა „რევოლიუციის დანახარჯს“, რომელიც მისი ცნობიერების არესათვის ფარავდა იმას, რომ სისხლის ნაკადულებისა, ტანჯვა-კვნესებისა და ნგრევის იქით მოსჩანდა მომავალი შემოქმედებითი შრომის პერსპექტივები.

გორკი—მებრძოლია მეშჩანობის წინააღმდეგ, მას ამ დარგში ძალიან დიდი სტაჟი აქვს.

გორკი ცხოვრების შესანიშნავი დამკვირვებელი და მცოდნეა, ნაცადის თვალისა და მასალის მიმართ ხარბი ხელის პატრონი: მას აქვს დიდი გამოცდილება ცხოვრებისა და მხატვრულ შემოქმედებაში, შეუდარებელი უნარი იმისა, რომ ჩაეჭიდოს ცხოვრებას და „კბილებით ჩაებღაუჭოს მიზანში ამოღებულ საგანს“. მისი ლიტერატურული ტიპები თვით ცხოვრებაა და არა ხელოვნურად შექმნილი სახეები, ბუნებრივი ფერადებია და არა გალესილი საღებავი, ფერუმარილი, სინამდვილეა და არა მყვირალა სიყალბე.

აი, სწორედ ასეთი მწერალი გვესაჭიროება, მეტის-მეტად გვესაჭიროება, ახლა უფრო, ვიდრე როდისმე.

ჩვენში გახურებული სააღმშენებლო ციებ-ცხელებაა. ჩვენი საბჭოთა სკა არა ჩვეულებრივ ფუსფუსშია. მომუშავენი მძიმე საქმეს ეჭიდებიან, შეცდომას და სისულელეს სჩადიან, ისწორებენ შეცდომას, სწავლობენ, ყველაფერს ასხვაფერებენ, რაც მათ გარშემოა, თვითონაც იცვლებიან, ჩვენ კი ფართო სურათი არა გვაქვს ამ დიდი ეპოქისა. ცდა არის, მაგრამ ეს ცდა მოისუსტებს. უფრო ხშირად კი ან ბუზღუნია, ან ასპროცენტიანი აღტაცება, ასპროცენტიანი თუჯის, რკინის, ფოლადის და სხვა ამისთანა პროლეტარული მწერლებისა, რომელთაც არა აქვთ ორგანიული კავშირი და არ გააჩნიათ მრავალფეროვანი ტიპები, ისინი გვაძლევენ მხოლოდ ზომის ასაღებ ხელოვნურ მანეკენებს მორიგი რეზოლიუციების მასშტაბით და იმისთანა მანეკენებს, რომელნიც მექანიკურად არიან „გაერთიანებულნი“ თანახმად „დავალებისა“.

ჩვენი ისტორიის „გმირი“, პირველ ყოვლისა, მასაა. და ვინ გვისახავს ჩვენ რიგიანად ამ მასას ლიტერატურაში? ერთი, ორი და მორჩა. როგორც მხატვრობაში, რაც ძალი და ღონე აქვთ, „ბელადებს“ აცივებიან („იკონოგრაფია“—თუმცა უვარგისი—ჩვენში ყველგან და ყოველნაირად გამრავლდა), ისე ლიტერატურაში „გმირს“, აძლევენ უპირატესობას „ბრბოს“ წინაშე. ესეც უნდა ვსთქვათ: საქმე ის კი არ არის, რომ დავხატოთ უსახო, ცალთვალა „არსება“. „მასა“ არის, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა ფეროვანი ტიპების განსაზღვრული ორგანიული მთლიანობა. კაცმა რომ მასა დახატოს, უნდა მოახერხოს მისი დანახვა, დაკვირვება და ცნობა. ჩვენ ვყვირით: გვიჩვენეთ მასა! გამოხმაურება კი ნაკლებია.

ჩვენში დაწყებული დიდი სააღმშენებლო მუშაობის მიუხედავად არსებობს დეფექტები და ახალი მეშჩანობა, რომელიც ზოგჯერ გულის ამაჩუყებლად წააგავს ძველს მეშჩანობას. განა ცუდი იქნებოდა, რომ გაზი ჩაგვეჭიდა ამ მეშჩანობისათვის, შეგვენჯღლია იგი, ისე შეგვენჯღლია, რომ „მეშჩანინს“ პირის ოფლი მოსვლოდათ, ამავე დროს კი ნამდვილ მკითხველებს არამც თუ გული ასჩვილებოდათ, არამედ, პირიქით, ფაცი ფუცით მკლავები დაეკარწახებიათ, რომ კიდევ უფრო გულმოდგინედ შესდგომოდნენ მუშაობას.

რა ხდება ჩვენში? თუ დაიმკლავებენ, ისე დაიმკლავებენ, რომ ჩამოეცალეთ. „ძაღლების შესახვევი“, „ბრხების შესახვევი“, „ხვრელები“, „როიტშვანეცი“ (ერენბურგის უკანასკნელი რომანი) ისეთ სურნელებას აყენებენ, რომ სუნთქვა გეხუთება. ასეთი უიდეო, მოსაწყენი და თავისი ცალმხრივობით სინამდვილესთან სრულიად შეუფერებელი ლიტერატურული დომხალის ბლაჯვნა სრულიად შეუფერებელი საქმეა. ეს ბრძოლა, შემოქმედება, ლიტერატურა არ არის, ეს არის უნიათობის ნაცოდვილარი მკვდარი ადამიანებისათვის.

კიდევ კარგი, რომ ჩვენ რიგიანი კრიტიკა გაგვაჩნდეს. იგი ჯერ არც კი დაბადებულა. ჩვენ უფრო მეხავანები გვყავს, რომლებიც თითის ერთი-ორი გაკვრაზე ყოველგვარ გადახრას აღმოაჩენენ ხოლმე. მწერლებიც, როგორც არა ერთხელ აღნიშნავს, „ერთმანეთს თვითონვე აკრიტიკებენ“ იმის მაგიერ, რომ, უპირველეს ყოვლისა, თავის საქმე აკეთონ, ე. ი. შეისწავლონ ცხოვრება და დაგვიხატონ იგი.

ჩვენში ბევრი რამ კარგი უკვე იბადება. მაგრამ ჩვენ მაინც შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ლიტერატურული „ჩვენი მიწა-წყალი“ არც დიდია და არც უხვი „მაგრამ იქ წესრიგი მაინც არ არის“.

გორკის შეუძლია თავისი ძალ-ღონით ამოავსოს დიდი ხარვეზი. მას, როგორც ხელოვანს, მოელის ჩვენი საბჭოთა კავშირი, ჩვენი მუშათა კლასი, ჩვენი პარტია, რომელთანაც გორკი დაკავშირებული იყო მრავალი წლის განმავლობაში. აი, რატომ მოველით გორკის მოსვლას: ის ხომ ჩვენში მუშაობისათვის მოდის, დიდ, კარგ, სასახელო მუშაობისათვის.

[illegible]

„პრავდა“, 29 მარტი.

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მორიგი ამოცანები

ამიერ-კავკასიის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პირველმა პლენუმმა, რომელიც შესდგა ამ რამოდენიმე დღის წინად თბილისში, აღნიშნა თავის რეზოლიუციებში, რომ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება იზრდება და მტკიცდება, როგორც რიცხობრივად, ისე სარისხობრივად, მშრომელნი—მუშები და გლეხები—დიდი სიმპატიით ეპყრობიან საზოგადოების საქმიანობას და ეწევიან მის ორგანიზაციებში აქტიურ მუშაობას. ადგილებიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა განაცხადეს, რომ მშრომელ მოსახლეობას ნათლად აქვს შეგნებული საზოგადოების დანიშნულება, მისი მიზნები და ამიტომ ყოველი მშრომელი სცდილობს შეიტანოს თავისი წვლილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცების საქმეში. ამას მოწმობს—დასძინეს ამხანაგებმა—საზოგადოების უჯრედების სწრაფი ზრდა არა მარტო ქალაქებში, არამედ მივარდნილ სოფლებშიაც კი.

საზოგადოების წევრთა რიცხვი ამიერ-კავკასიაში აღწევს 122.000 კაცს. საქართველოზე აქედან მოდის თითქმის 60.000 კაცი, რაც, თუ მივიღებთ მხედველობაში საზოგადოების არსებობის მცირე დროს, წარმოადგენს საკმაო რიცხვს. არ უნდა გავუშვათ მხედველობიდან აგრეთვე ის გარემოებაც, რომ წევრთა რიცხვი იზრდება ყოველ დღიურად.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მორიგ ამოცანას წარმოადგენს საზოგადოების წევრების ჩაბმა აქტიურ მუშაობაში, რომ ამით შენარჩუნებულ იქნენ წევრები. ეს ამოცანა არ არის ადვილი შესასრულებელი და თავის განხორციელებისათვის მოითხოვს გეგმიან მუშაობის წარმოებას. იყო შემთხვევები, როდესაც ორგანიზაციები, რომლებსაც ჰყავდათ რამოდენიმე ასი წევრი იშლებოდნენ, რადგან ხელმძღვანელობა ვერ იჩენდნენ უნარს მათ გამოსაყენებლად პრაქტიკულ საქმიანობაში. ამ მხრივ ქალაქის ორგანიზაციები იმყოფებიან გაცილებით კარგ პირობებში, ვიდრე სოფლის ორგანიზაციები. ქალაქად მოგვეპოვება მრავალი პრაქტიკული დაწესებულებები, სადაც წევრებს შეუძლიათ მოჰკიდონ ხელი ისეთ სამუშაოს, რომელიც აინტერესებს მათ. სოფლად კი საქმე ჯერ-ჯერობით ვერ არის დაყენებული შესაფერ ნიადაგზე. მხოლოდ აქაც ორგანიზაციას შეუძლიან გაშალოს მუშაობა და დააკმაყოფილოს გლეხობის მოთხოვნილება.

თავისთავად ცხადია, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციებმა სამხედრო კუთხესთან და ადგილობრივ ტერნაწილის ერთად, უნდა შეასწავლონ გლეხებს სამხედრო ხელოვნება. სამხედრო ცოდნათა და სხვა წრეების საშუალებით გლეხს უნდა მივცეთ ისეთი ცოდნა, რომელიც საჭიროა ბრძოლისა და თავდაცვის დროს. ამის შესაძლებლობა აქვს ყოველ ორგანიზაციას და ეს განხორციელებულ უნდა იქნეს მათ მიერ.

გლეხობა მიზიდულ უნდა იქნეს ავიაქიმ რაზმებში, სადაც იგი გაეცნობა მომავალ ომის ბუნებას და შეისწავლის ბრძოლის საშუალებას ავიაციასა და ქიმიასთან.

ყველა ამის გარდა ავიაქიმის ორგანიზაციებმა თავისი მუშაობა უნდა მიმართონ გლეხობის მეურნეობის დახმარების ხაზით. ავიაქიმი, შეასწავლის რა გლეხს ბრძოლის და თავდაცვის საშუალებებს, უნდა დაეხმაროს გლეხობას ბრძოლაში ჭირნახულის მავნებლებთან, უნდა შეასწავლოს ხელოვნური სასუქის და სხვა ქიმიური ნივთიერების ხმარება მეურნეობაში.

ავიაქიმის ყოველ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საცდელი მიწა, სადაც იწარმოება ქიმიური ნივთიერების გამოყენება მეურნეობაში. ამით ჩვენ შევძლებთ გლეხობის უაღრესად დაინტერესებას და მის ჩაბმას პრაქტიკულ მუშაობაში.

თავდაცვა-ავიაქიმის ერთ-ერთ მორიგ და ამასთანავე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მუშაობა ქალთა შორის. ქალების პროცენტი ავიაქიმში ძალიან მცირეა.

თავდაცვა-ავიაქიმის პლენუმმა მიაქცია ამ საკითხს ყურადღება და გამოიტანა სათანადო დადგენილება. საჭიროა და აუცილებელი, რომ ქალები დარაზმულ იქნენ საზოგადოების ორგანიზაციების ირგვლივ, საჭიროა მათთვის სათანადო სამუშაოს გამონახვა, მათი ჩაბმა არა მარტო სანიტარულ და პირველდახმარების წრეებში, არამედ სასროლო, სამხედრო ცოდნათა და სასოფლო-სამეურნეო წრეებში. ამით ჩვენ შევძლებთ ქალების დაინტერესებას საზოგადოების მუშაობით, რაც, თავისი მხრივ, გაადიდებს ქალთა რიცხვს საზოგადოების ორგანიზაციებში.

ა. გ.

სხვადასხვა გვარეობის ჯარები ბრძოლაში

ბრძოლაში, როგორი ხასიათისაც არ უნდა იყვეს ის, ღებულობენ მონაწილეობას თითქმის ყველა გვარეობის ჯარები, რადგან ყველა მათგანს აქვს რაიმე ამოცანა და დანიშნულება, რომელიც წარმატებით უნდა იქნეს შესრულებული, რომ მოგებულ იქნეს ბრძოლა.

ბრძოლის დაწყებამდე, როგორც ქვეითი ჯარს, ისე არტილერიას, ავიაციას, ცხენოსნებს ეძლევათ განსაკუთრებული ამოცანები; ბრძოლის დროს ყოველი მათგანი მოქმედებს დამოუკიდებლად, მხოლოდ შეთანხმებით, მჭიდრო კავშირით, რადგან ამოცანა ბრძოლისა ერთია, ყველა გვარეობის ჯარები ემსახურებიან ერთ მიზანს. მაგ., არტილერია, ასრულებს რა მიცემულ ამოცანას, ამასთანავე ეხმარება როგორც ქვეითი ჯარს, ისე სხვა დანარჩენს, აგრეთვე სხვა გვარეობის ჯარებშიაც.

მოპირდაპირენი, როცა უახლოვდებიან ერთი მეორეს, ცდილობენ ჩაიგდონ ხელში წინამდებარე ხელსაყრელი ადგილები, რომლებიც გამოსადეგნი არიან გამაგრებისათვის და შემდეგი შეტევისათვის. ადგილმდებარეობის დაკავების შემდეგ მოსალოდნელია მოპირდაპირეთა მალე შეხვედრა; ამიტომ ნაწილები ემზადებიან ბრძოლისათვის, რისთვისაც ეწყობიან შემდეგნაირად: ქვეითი ჯარი იკავებს სანგრებს, არტილერია თავსდება უკან 2—3 ვერსის მანძილზე, ცხენოსანი ნაწილები ეწყობიან ერთ-ერთ ფრთაზე, ჯავშნოსანი ნაწილები—სადმე ფარულ ადგილას მხოლოდ ისეთი გამოანგარიშებით, რომ შეეძლოთ მოქმედება ყოველი მიმართულებით.

მტრის გამოჩენის დროს პირველად ამოქმედდება არტილერია, რათა აიძულოს მოპირდაპირე დანაწილდეს მცირე ჯგუფებად, დაიშალოს, რაც აძლევს საშუალებას გაგებულ იქნას მისი ძალები. შემდეგ, როცა მტერი თანდათან ახლოვდება, იწყებენ მოქმედებას მსუბუქი და მძიმე ტყვიამფრქვევები და ბოლოს ცეცხლს ხსნიან ავტომატები და თოფები. ამ დროს არტილერია მოქმედებს განუწყვეტლივ.

ბრძოლის დროს არ არიან უმოქმედოდ ცხენოსანი ნაწილები და ჯავშან ავტომობილები. როგორც კი ქვეითი ჯარი გადადის შეტაკებაზე, ცხენოსნები და ავტომობილები შეარჩევენ მოხერხებულ დროს და მოულოდნელად ესხმიან მტერს. ასეთი მოქმედებით ხშირად სწყდება ბრძოლის ბედ-იღბალი.

მტერზე გასამარჯვებლად საჭიროა ყველა ნაწილების ერთსულოვანი და შეთანხმებული მოქმედება; ყველა ნაწილს ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული ბრძოლის ამოცანა, ყველა მებრძოლიც კარგად უნდა იცნობდეს დასახულ მიზანს.

ბრძოლის დროს ქვეითი ჯართან ერთად მოქმედებენ ტანკებიც, იერიშის დროს ტანკები მიდიან წინ, სწმენდენ გზას, არღვევენ და ანადგურებენ მავთულხლართებს და ყოველ დაბრკოლებებს და აძლევენ საშუალებას ქვეითი ჯარს მიუახლოვდეს მოწინააღმდეგის სანგრებს. ეს უზარმაზარი ფოლადის მანქანები ხშირად პანიკურ შიშს იწვევენ მოწინააღმდეგის რიგებში.

საჭიროა ტანკის თვისებების და მისი ნაკლის ცოდნა, რომ მებრძოლნი არ მოიცვას შიშმა მათ გამოჩენის დროს.

ცხენოსან ჯართან ერთად ტანკებს არ შეუძლიათ მოქმედება, რადგან მძიმე და ნელა მავალი ტანკები ვერ მიჰყვებიან ცხენოსნებს, თუმცა ეს უკანასკნელ დროს შემუშავებულია ისეთი ტიპის ტანკი, რომელიც არ ჩამორჩება ცხენოსან ჯარს.

ბრძოლის დროს ცხენოსან და ქვეითი ჯარს დიდ დახმარებას უწევენ ჯავშან-მატარებლები, მხოლოდ მათი ერთად-ერთი ნაკლი მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ მოქმედება იმ რაიონში, სადაც გაყვანილია რკინის გზის ხაზი, რათაც მათი გამოყენება საგრძნობლად განსაზღვრულია.

მ. გ—ლი.

სამხედრო ქრონიკა

წითელი არმიის ახალი სახლი

ქუთაისში გაიხსნა წითელი არმიის სახლი, რომელიც გაუწევს სამსახურს ქუთაისის გარნიზონის წითელ არმიელთა და მეთაურთა შემადგენლობას.

მზადება მორიგ გაწვევისათვის

სამხედრო უწყება შეუდგა მზადებას 1906 წელში დაბადებულთა გაწვევისათვის წითელი ჯარის რიგებში. სასოფლო საბჭოს და აღმასკომებს მიეცათ წინადადება, რათა დაუყოვნებლივ გასცენ მოწმობები, რომლებიც ესაჭიროებათ ჯარში გასაწვევთ თავის ოჯახურ ქონებრივ მდგომარეობის დასამტკიცებლად.

მზადება საზაფხულო კამპანიისათვის

საბჭოთა კავშირის წითელი საზღვაო ფლოტი შეუდგა მზადებას საზაფხულო კამპანიისათვის. ამჟამად მიმდინარეობს გემების შეკეთება, რომელსაც აწარმოებენ თვით წითელი მეზღვაურნი.

მიღება სამხედრო სასწავლებელში

მოკლე ხანში დაიწყება კანდიდატების გადარჩევა სამხედრო სასწავლებლებში გასაგზავნად. სამხედრო უწყების მიერ გამოშვებულ იქნება სპეციალური ლიტერატურა, რომელიც ეხება სკოლაში მიღების პირობებს, გამოცდებს და კანდიდატების გადარჩევას. გამოცდები იწარმოებს 15 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე.

ა.-კ. პერიოდულ გამოცემათა რედაქტორების თათბირი

29 მარტს საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებასთან გაიხსნა ამიერ-კავკასიის პერიოდული ბეჭდვითი სიტყვის რედაქტორების თათბირი.

თათბირმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: მოხსენება ამ.-კავკ. ს.ფ.ს.რ. პერიოდული პრესის მორიგი ამოცანების შესახებ, გაზეთ „ვიშკა“-ს (ბაქო) საინფორმაციო მოხსენება მუშაობის პერსპექტივების შესახებ, ამიერ-კავკ. დეპეშათა სააგენტოს მოხსენება, გაზეთების და ჟურნალების რეპორტაჟის, ლიტერატურული და კრიტიკო-ბიბლიოგრაფიული განყოფილებების შესახებ, ბეჭდვითი სიტყვის საქმეთა კომიტეტის ცნობა.

ამხ. ხუტირინის შესავალი სიტყვის შემდეგ, რომელმაც გახსნა თათბირი, მოსმენილ იქნა ამხ. გიკის მოხსენება ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს მუშაობის შესახებ. მოხსენება ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს მუშაობის შესახებ შეიცავს პერიოდს 1926 წლის აპრილიდან 1928 წლამდე. მუშაობა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ.-კავკ. ბეჭდვითი სიტყვის რედაქტორების პირველ თათბირის (1926 წ.) გადაწყვეტილებათა მიხედვით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის ინფორმაცია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა თვისობრივად და რიცხობრივად. ა.-კ. დეპეშათა სააგენტო აწყობს ახლოაღმოსავლეთის ინფორმაციის საქმეს, გაუმჯობესებულია საერთო-საკავშირო და საზღვარგარეთის ინფორმაციის ხარისხი. მოწყობილია ა.-კ. დეპ. სააგენტოს ცენტრალური ბიულეტენი, რომელიც ადგილობრივ გაზეთებს აწვდის ქალაქის ინფორმაციას. მთელ რიგ დაწესებულებებს ა.-კ. დეპ. სააგენტო ემსახურება მონოპოლიურად. შემდეგ მომხსენებელი შეეხო საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს და ა.-კ. დეპ. სააგენტოს ურთიერთობას და აღნიშნა, რომ ეს ურთიერთობა არ არის მოწესრიგებული, არ არსებობს ხელშეკრულება მათ შორის.

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტო მოითხოვს, რომ მას მიეცეს შესაძლებლობა უშუალოდ მიაწოდოს ინფორმაცია ამ.-კავკ. პრესას. პრაქტიკულად ეს გამოიწვევდა ინფორმაციის ფასის გადიდებას და არ გააუმჯობესებდა გაზეთებისათვის ამ ინფორმაციის მიწოდების საქმეს. გაზეთების თვალსაზრისით შექმნილი მდგომარეობის შესახებ უკანასკნელ ხანებში საკმაოდ ნათლად გამოირკვა. გაზეთები ემხრობიან იმ აზრს, რომ საბჭოთა კავშირის სააგენტოს ინფორმაციის გავრცელების უფლება ამიერ-კავკასიაში მიენიჭოს ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: **ტრინიჩმა** (თურქული „კომუნისტი“), **რახმანმა** („რაბოჩაია პრავდა“), **ტაგიევმა** („ენი კენდი“), **აბაევმა** („ხურზარინი“), **კიკნაძემ** („კომუნისტი“), **ვარტანიანმა, ანჩარსკიმ** („კრასნი ვოინი“), **ზაკიროვმა, აღნიაშვილმა და ხუტირინმა**.

კამათში აღნიშნულ იქნა ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს მუშაობის გაუმჯობესება როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ. კამათის ძირითადი მომენტი იყო ამ.-კავკ. და საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოების ურთიერთობის საკითხი. ამ საკითხს შეეხნენ თითქმის ყველა ორატორები; და მათ აღნიშნეს, რომ აუცილებელია ამ ურთიერთობის სასწრაფოდ მოგვარება და ხსენებულ სააგენტოს შორის ხელშეკრულების დადება იმ საფუძველზე, რომ ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს მიენიჭოს საბჭ. კავშირის დეპ. სააგენტოს ინფორმაციის გავრცელების მონოპოლიური უფლება ამიერ-კავკასიაში. ილაპარაკეს აგრეთვე იმის შესახებ, რომ ამ.-კავკ. დეპ. სააგენტო უნდა შეეცადოს ინფორმაციაზე ხელის მოწერის ფასის ერთგვარ დაკლებას, განსაკუთრებით მცირე შეძლების გაზეთებისათვის. ამიერ-კავკასიის ინფორმაციაში აუცილებელია ფართოდ იქნას გაშუქებული წითელი არმიის ცხოვრება და მუშაობა გასამხედროების დარგში. აუცილებელია აგრეთვე ახლოაღმოსავლეთის ინფორმაციის გაძლიერება.

ამხ. გიკმა თავის უკანასკნელ სიტყვაში სთქვა, რომ თათბირის რეზოლიუციამ უნდა აღნიშნოს ამიერ-კავკასიის ყველა გაზეთების გარკვეული შეხედულება საბჭ. კავშ. დეპ. სააგენტოს და ამ.-კავკ. დეპ. სააგენტოს ურთიერთობის საკითხის შესახებ. ინფორმაციაზე ხელის მოწერის ფასის დაკლების საკითხი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ იმის შემდეგ, როცა ხელშეკრულება დაიდება ამ.-კავკ. დეპ. სააგენტოს და საბჭ. კავ. დეპ. სააგენტოს შორის.

მოხსენების გამო რეზოლიუციის შემუშავება მიენდო კომისიას 5 ამხანაგის შემადგენლობით.

საგაზაფხულო თესვის კამპანია

ამ დღეებში მიღებული იქნება 64 ვაგონი სათესლე სიმინდი

ღარიბ მეურნეობებისათვის კრედიტების მ საწოდებლად ა-კ. სას.-სამ. ბანკმა გადასდო 106.375 მანეთი

თესვის კამპანია და კოლექტიური მეურნეობანი

საკავშირო მთავრობა თავის მიმართვაში მთელი კავშირის გლეხებისა და გლეხ ქალების მიმართ, მოუწოდებს მათ ხელი შეუწყონ საგაზაფხულო თესვის კამპანიის სათანადოდ ჩატარებას. მოწოდებას განსაკუთრებით უნდა გამოეხმაურონ კოლექტიურ მეურნეობაში გაერთიანებული გლეხები. სოფლად კოლექტივი არის გლეხობის მოწინავე რაზმი, რომელიც თავისი შეგნებით და მუშაობით მაგალითს უჩვენებს ახლო მოსახლე გლეხობას. კოლექტივებმა უნდა დაამუშაონ თესვის კამპანიის საკითხები და კამპანია უნდა ჩაატარონ ახლო მახლო სოფლებში ნათესების სივრცის და ნაყოფიერების გასაზრდელად. აგრეთვე დახმარება უნდა აღმოუჩინონ სოფლის ღატაკ გლეხობას და ქვრივობლებს მანქანა-იარაღებით და რჩევა-დარიგებით. ვინ უნდა დაიხმარონ კოლექტივებმა ამ საქმეში? ცხადია, ადგილობრივი რაიონის და მაზრის აგრონომიული ძალები. მათი საშუალებით გლეხობას უნდა განუმარტოთ თესვის კამპანიასთან დაკავშირებული ღონისძიებანი.

უნდა იქნენ მოწვეული კოლექტივების წევრთა საერთო კრება და მოსმენილი მოხსენება, რის შემდეგ აგრონომის მიერ შემოწმდება კოლექტიური მეურნეობის სამეურნეო გეგმა განსაკუთრებით თესვის მხრივ. მიმდინარე საგაზაფხულო თესვის კამპანიამ საგრძნობლად უნდა გაზარდოს დათესილი მოედანი გასულ წლებთან შედარებით. ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ინტერესები. თუ ჩვენ მრეწველობას სოფლის მეურნეობამ არ მიაწოდა მისთვის საჭირო ნედლი მასალა, ცხადია, რომ მას არ შეუძლია შეასრულოს ის ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს ხელოსნობის გადამუშავების საქმეში.

მთავრობა დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეობებს. ყველა მსხვილი მანქანა-იარაღები ეძლევა მხოლოდ კოლექტიურად შეკავშირებულ სოფლის მეურნეობებს. კოლმეურნეობებს ეძლევათ სესხი მეურნეობის აღსადგენად და ახალ ტექნიკურ კულტურათა შემოსაღებად. მათ ეძლევათ საწამლი მასალა, მელიორატიული მუშაობისათვის სესხი, კიდ მთელი რიგი შეღავათები.

ყველა ეს დახმარება კოლექტიურმა მეურნეობებმა მიზანშეწონილად უნდა გამოიყენონ როგორც თავის მეურნეობათა განსავითარებლად, ისე მთელი სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად. არც ერთი დესეტინა ვარგისი მიწა გამოუყენებლად. რაც შეიძლება კულტურულად გამოყენება ჩვენი მიწების, ძვირფასი კულტურების გავრცელება, სოფლის მეურნეობის კოლექტიურ ნიადაგზე გადაყვანა—ასეთი უნდა იყოს ჩვენი ლოზუნგები თესვის კამპანიის დროს.

ვლ. ცაგარელი.

კრედიტები ღარიბ მეურნეობებს

106.375 მანეთი, რომელიც გადასდო საქართველოს სასოფ.-სამ. ბანკმა, წრევანდელ საგაზაფხულო თესვის კამპანიის პერიოდში ღარიბ გლეხებისათვის თანხების მისაწოდებლად, განაწილებულია შემდეგნაირად:

აფხაზეთს—7.870 მან., აჭარისტანს—3.510 მან., სამხრეთ-ოსეთს—3.300 მან. და საკუთრივ საქართველოს—91.695 მანეთი.

საქართველოსათვის გაცემული 91.695 მანეთი მაზრების მიხედვით ნაწილდება ასე: ახალქალაქის მაზრა—3.190 მ., ახალციხის—2.130 მ., ბორჩალოს—2.130 მ., გორის—6.380 მ., დუშეთის—4.260 მ., სიღნაღის—5.320 მ., თელავის—3.830 მან., თბილისის—4.260 მ., ზუგდიდის—4.360 მ., ქუთაისის—14.890 მ., ლეჩხუმის—5.320 მ., რაჭის—5.340 მ., ოზურგეთის—370 მ., სენაკის—7.340 მ., შორაპნის—11.380 მან. და ზემო-სვანეთის—20.015 მანეთი.

თანხის განაწილება გლეხებზე იწარმოებს საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით. სესხი ეცემა იმ გლეხებს, რომლებიც განთავისუფლებული არიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან.

თესვის კამპანია შორაპნის მაზრაში

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატმა, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის რწმუნებულისაგან შორაპნის მაზრის ამხ. გ. შარიქაძისაგან მიიღო პირველი ცნობა შორაპნის მაზრაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

ცნობიდან სჩანს, რომ სამაზრო აღმასკომთან თესვის კამპანიის ჩასატარებლად შექმნილია განსაკუთრებული კომისია. არჩევისთანავე კომისია დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. მან მოიწვია აგრონომების და სამეურნეო მუშაკების თათბირი.

თათბირზე გამოირკვა, რომ თესვის კამპანიის პერიოდში მაზრის უზრუნველსაყოფად საჭიროა 20 ვაგონი სათესლე სიმინდი. ამასთანავე გამოირკვა, რომ წრევანდელ ხანგრძლივი ზამთრისა და დიდი თოვლის გამო მაზრაში საგრძნობლად დაზარალდა მუშა-საქონელი. მაზრაში ფურაჟის დიდი კრიზისია.

თათბირმა სამეურნეო მუშაკებს დაავალა პირველ რიგში 20 ვაგონი სათესლე სიმინდის და ფურაჟის შეძენა.

სიმინდი განაწილდება კოლექტიურ და ღარიბ მეურნეობებს.

მიქცეული აქვს ყურადღება გლეხობის მუშა-საქონლით მომარაგებას. ამ მიზნით მუშა-საქონლის შესაძენად გამოყოფილია საჭირო კრედიტი.

მაზრაში არსებულ ყველა აგრონომიულ პუნქტებს დავალებული აქვთ მათ განკარგულებაში არსებულ ყველა სასოფ.-სამ. იარაღ-მანქანების შეზადება და წესრიგში მოყვანა. მათვე დავალებული აქვთ გლეხობისათვის ყოველგვარი აგრონომიული დახმარების აღმოჩენა.

ამხ. შარიქაძე იტყობინება, რომ თესვის კამპანია შორაპნის მაზრაში ვითარდება ნელის ტემპით, იმის გამო, რომ ამ კამპანიისათვის გაცემულ კრედიტებს თავის დროზე არ იძლევიან; იგვიანებს აგრეთვე სათესი მასალა.

ადგილებზე

მინდვრის მუშაობა დაიწყო

ახალსენაკი, 28 მარტი. თბილი, მზიანი ამინდის დადგომისთანავე გლეხობა შეუდგა მინდვრის მუშაობას. თესენ ბოსტნებს, მშრალ ადგილებში კი უკვე დაწყებულია ხვნა (ადს).

კომკავშირი და თესვის კამპანია

ცხინვალი, 28 მარტი. კომკავშირი ენერგიულ მონაწილეობას ღებულობს გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებაში. კომკავშირი, გლეხკომებთან ერთად, კისრულობს სამხრეთ-ოსეთის ყველა საფონდო და საზოგადოებრივ მიწების დახვნას და დათესვას (ადს).

გორის მაზრაში

გორის მაზრაში შემოდგომაზე დაუთესავი დარჩა 6000 დესეტინა მიწა, რომელიც დათესილი იქნება გაზაფხულზე.

გაზაფხულზე გორის მაზრაში სულ დათესილი იქნება: პური—7.000 დეს., სიმინდი 18.000 დესეტინაზე. ადგილობრივ დამზადებულ თესლების გარდა საჭიროა 52.000 ფუთი თესლეული.

აგრეთვე საქონლის საკვების დიდი ნაკლებობაა მთელს მაზრაში.

გორის მაზრაში თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად დაარსებულია საგანგებო სამეული, ხოლო რაიონებში დანიშნულია რწმუნებულები.

სოფლებში კამპანიის ჩატარება დავალებული აქვთ თემსაბჭოებთან არსებულ სასოფლო-სამეურნეო კომისიებს. მთელს მაზრაში შეკეთებული იქნა ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები და შედგენილი იქნა სიები იმ ღარიბ გლეხების, რომელთაც არა აქვთ თესლი და საშუალება მიწების დასამუშავებლად. ასეთებს გაეწევათ ყოველმხრივი დახმარება.

მაზრაში არის 21 ტრაქტორი და სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გამქირავებელი 8 პუნქტი, რომლებიც მომარაგებულია საჭირო მანქანა-იარაღებით. პუნქტებიდან მანქანები პირველ რიგში მიეცემათ კოლმეურნეობებს და ულარიბეს გლეხთა ამხანაგობებს შეღავათიან პირობებში. ამ ჟამად მთელ მაზრაში თოვლი ძევს. თესვა დაიწყება დაახლოებით 2-3 კვირის შემდეგ.

64 ვაგონი სათესლე სიმინდი

საქ. მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის ცნობით, საკავშირო ვაჭრობის კომისარიატიდან ამ დღეებში მიღებული იქნება 64 ვაგონი სათესლე სიმინდი საქართველოს საჭიროებისათვის.

საქონლის საკვები

გაზაფხულის თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ცეკავშირმა ახლად მიღებული საქონლის საკვები ავტონომიურ რესპუბლიკების და მაზრებს შორის განაწილა შემდეგნაირად:

თბილისის მაზრას—55 ვაგონი თივა და 27 ვაგონი ჩალა; გორის მაზრას—20 ვაგონი თივა და 4 ვაგონი ჩალა, შორაპნის მაზრას—25 ვაგონი თივა და 13 ვაგონი ჩალა; ქუთაისის მაზრას—35 ვაგონი თივა და 6 ვაგონი ჩალა; ოზურგეთის მაზრას—39 ვაგონი თივა და 3 ვაგონი ჩალა; ზუგდიდის მაზრას—9 ვაგონი თივა და 1 ვაგონი ჩალა; სენაკის მაზრას—7 ვაგონი თივა და 1 ვაგონი ჩალა; აჭარისტანს—11 ვაგონი თივა და 6 ვაგონი ჩალა; თელავის მაზრას—9 ვაგონი თივა; ახალციხის მაზრას—7 ვაგონი თივა და 8 ვაგონი ჩალა; ფოთის რაიონს—2 ვაგონი თივა; სამხრეთ-ოსეთს—2 ვაგონი თივა; დუშეთის მაზრას—7 ვაგონი თივა და 4 ვაგონი ჩალა; ბორჩალოს მაზრას—4 ვაგონი თივა და 10 ვაგონი ჩალა.

საჭიროა საქონლის საკვები

სომხეთის მიწათ-მოქმედების სახ. კომისარი ამხ. ერზინკიანი დეპეშით ატყობინებს ამიერ-კავკასიაში საგაზაფხულო თესვის კამპანიის რწმუნებულს, რომ სომხეთის დაზარალებული რაიონებისათვის სასწრაფოდ საჭიროა 50,000 ფუთი ჩალა.

პარტიული ცხოვრება

დეპეშები

წითელი არმიის პარტშემადგენლობა

მოსკოვი, 29 მარტი. წითელი არმიის პარტუჯრედების თათბირზე მუშურ-გლეხურ წითელი არმიის პოლიტიკურ სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ამხ. სლავინმა მოხსენებაში პარტუჯრედების მორიგ ამოცანების შესახებ აღნიშნა, რომ სამი წლის განმავლობაში პირველ საარმიო თათბირის შემდეგ პარტორგანიზაციები წითელ არმიაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1925 წლის 1 იანვრისათვის არმიაში ითვლებოდა 57,687 პარტიის წევრი, 1928 წლის 1 იანვრისათვის—81,921. მეთაურთა შემადგენლობაში სამი წლის წინად პარტიის წევრები შეადგენდენ 39 პროცენტს, ეხლა—48,7 პროცენტს. ამას უნდა დაემატოს 4. 5 პროც. კომკავშირელები. ამხ. სლავინმა აღნიშნა, რომ მთავარი ამოცანებია: ბრძოლა კულტურისათვის და ბრძოლა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ. საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას შინაპარტიული მუშაობა, უფრო მაღალ დონეზე იქნეს დაყენებული მეთაურთა შემადგენლობის პოლიტიკური აღზრდა და განვითარებულ იქნას მეთაურთა შემადგენლობაში თვითმოქმედების კოლექტიური ფორმები. (ადს).

პარტიის ისტორიის შესწავლა

მოსკოვი, 29 მარტი. პარტიისის სხდომაზე ამხ. საველიევმა გააკეთა მოხსენება ბოლშევიკური პარტიის და რევოლიუციის ისტორიის შესწავლის შესახებ ოქტომბრის შემდგომ პერიოდში (ახალ ეკონომიურ პოლიტიკამდე). მოხსენების გამო მიღებულია შემდეგი დადგენილება:

„აქტუალურად იქნეს ცნობილი საკითხი პარტიისა და რევოლიუციის ისტორიის შესწავლის შესახებ ოქტომბრის შემდგომ პერიოდში (ახალ ეკონომიურ პოლიტიკამდე), პარტიული და ისტორიული აზროვნების ყურადღება მიპყრობილ იქნას ამ საკითხის შესწავლის [illegible] საჭიროებაზე, დაევალოს ისტპარტს წამოაყენოს ის ძირითადი საკითხები, რომლებიც ეხება ამ პერიოდს და დაამუშაოს სათანადო ღონისძიებები ამ ეპოქის დოკუმენტების შეკრებისა და შენახვისათვის“.

ლენინური კომკავშირის საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 29 მარტი. ლენინური კომკავშირის ცკამ დაადგინა ლენინური კომკავშირის მე-8 საკავშირო ყრილობა გაიხსნას 5 მაისს.

ანტისააღდგომო მუშაობა

მოსკოვი, 29 მარტი. აღდგომის მოახლოებას გამო ლენინური კომკავშირის ცკამ წინადადება მისცა ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს გააძლიერონ ანტირელიგიური ანტისააღდგომო მუშაობა.

საქ. კომპარტიის ორგანიზაციებში

ქალიშვილთა შორის მუშაობა

(ახალქალაქის მაზ.)

მუშაობა ქალიშვილებს შორის. საქ. კომპ. (ბ) ახალქალაქის სამაზრო კომიტეტმა მიიღო მთელი რიგი ზომები ქალიშვილებს შორის, განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობის ქალიშვილებს შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

სამაზრო კომიტეტმა აღნიშნა, რომ ადგილებზე ცხოვრებაში არ ატარებენ უმაღლეს ორგანოების დადგენილებას მცირეწლოვანთა გათხოვების აკრძალვის შესახებ, და აუცილებლად სცნო სათანადო ორგანოების წინაშე დასვას საკითხი იმის შესახებ, რომ გაძლიერდეს მეთვალყურეობა და იმ პირთა პასუხისგებაში მიცემა, რომლებიც გაათხოვებენ მცირეწლოვან ქალიშვილებს.

სამაზრო კომიტეტმა სპეციალური კომისია გამოჰყო ყოფა-ცხოვრების პირობების შესასწავლად და ეროვნულ უმცირესობის ქალთა შორის მუშაობის ფორმების გამოსამუშავებლად.

ამასთან ერთად, სამაზრო კომიტეტმა დაადგინა მარტის დასასრულს მოიწვიოს ქალიშვილთა ორგანიზაციების სამაზრო თათბირი.

აგიტპროპ კომისიების თათბირი

(ბორჩალო)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ბორჩალოს სამაზრო კომიტეტმა დაადგინა მარტის დასასრულს მოიწვიოს ყველა უჯრედების აგიტპროპკომისიების პირველი სამაზრო თათბირი, რომლის დღის წესრიგში დასმული იქნება შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებანი ადგილებიდან, 2) აგიტპროპკავშირების მუშაობის მეთოდები.

ოქტომბრის გაწვეულებთან მუშაობა
(არსენალის რაიონი)

რაიკომმა დაადგინა მოახდინოს ოქტომბრის გაწვეულთა პოლიტსკოლების გამოკვლევა. ამასთან ერთად რაიკომმა წინადადება მისცა უჯრედებს, რათა აწარმოონ პოლიტსკოლებში მეცადინეობაზე დასწრეთა სწორი აღრიცხვა და პარტიული სასჯელის სათანადო ზომები მიიღონ იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც მეცადინეობაზე არ დადიან.

„როზა ლიუქსემბურგის“ უჯრედში
(არსენალის რაიონი)

რაიკომმა, მოისმინა რა როზა ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ფაბრიკის უჯრედის მდივანის მოხსენება და გამომკვლევი კომისიის თანამოხსენება, აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები: უჯრედის აქტივობის ზრდა, მისი დაახლოება წარმოების საკითხებთან, ავტორიტეტის ზრდა უპარტიო მუშებს შორის.

რაიკომის მიერ მიღებულ პრაქტიკულ წინადადებებში უჯრედს ეძლევა წინადადება გააძლიეროს ჯგუფების ორგანიზატორთა მუშაობის ხელმძღვანელობა, გაუწიოს კონტროლი მათ მუშაობას ანგარიშების მოსმენით ბიუროს კრებებზე და ჯგუფების ორგანიზატორთა თათბირების პერიოდულად მოწვევით.

რაიკომმა უჯრედს დაავალა გააძლიეროს საფაბრიკო - საქარხნო ადგილკომების ხელმძღვანელობა. ამასთან ერთად რაიკომმა უჯრედის ყურადღება მიაქცია მასიური მუშაობის გაფართოების საჭიროებაზე. მასიური მუშაობა უნდა გაძლიერდეს შემდეგი საშუალებით: კრებებზე უნდა დაისვას მასებისათვის საინტერესო საკითხები, უნდა დაიწყოს მუშაობა უპარტიო აქტივთან, და სხ.

პოლიტგანათლება კომკავშირში
(ლენინის რაიონის პარტკომი)

პარტიის რაიკომმა აღნიშნა მთელი რიგი მიღწევანი პოლიტგანათლების სისტემაში, რომელსაც ატარებს კომკავშირის რაიკომი.

ახალგ. ლენ. კომკავშირის ქვედა საფეხურის აქტივი ჩაბმულია პოლიტგანათლების ქსელში, შერჩეულია პოლიტსკოლების ხელმძღვანელთა შემადგენლობა, გაუმჯობესებულია მეცადინეობის მეთოდი და ხელმძღვანელთათვის დახმარების აღმოჩენა რაც გამოიხატება შემდეგში: რაიკომი თავის დროზე აწვდის ხელმძღვანელებს მეთოდიურ წერილებს, ეწყობა ექსკურსიები, პოლიტ-ლატარიები, პოლიტსკოლებში სცემენ კედლის გაზეთებს და შემოღებულია პოლიტსწავლების 2 დღე.

რაიკომმა აღნიშნა, რომ აუცილებელია ახალგ. კომკავშირელთა პოლიტსკოლების გამოკვლევით მუშაობის გაძლიერება, უჯრედთა კონტროლის გაძლიერება პოლიტსკოლების მუშაობაზე, სკოლის გარეშე სწავლების გაფართოება, რისთვისაც გამოყოფილ უნდა იქნენ სპეციალური კონსულტანტები.

კომისიების მუშაობა პარტუჯრედებში

(თელავი)

ქალაქის პარტ-უჯრედებში არსებულ კომისიების მუშაობის შესასწავლად თელავის სამაზრკომმა გამოჰყო კომისია. გამოკვლევამ ცხადჰყო შემდეგი:

აღმასკომის და პროფკავშირის უჯრედებთან არსებობენ კომისიები, საორგანიზაციო, კომკავშირის, სააგიტაციო და ქალთა შორის მომუშავე. საერთოდ აღნიშნული კომისიების მუშაობა უკანასკნელ ხანებში გამოცოცხლებულია ხშირ-ხშირად სხდომების მოწვევით და საკითხების მოხერხებულად შერჩევით.

პროფკავშირის უჯრედს ქალთა კომისიის სხდომა ჰქონდა 5-ჯერ, სადაც გაირჩა საკითხები: სადელეგატო კრების ორგანიზატორის მოხსენება, დელეგატ ქალების მიმაგრება სხვადასხვა ორგანიზაციებზე, დაწესებულებების გამგეების გაერთიანებული თათბირის მოწვევა და სხვა საკითხები.

ამავე უჯრედის აგიტ-კომისიას ჰქონდა 4 სხდომა, სადაც დამუშავდა სხვადასხვა საკითხები.

ამ პატარა მიღწევასთან არის მრავალი ნაკლიც. სახელდობრ: ზოგიერთი კომისიების სხდომები არ ეწყობოდა სისტემატიურად, ზოგს კი არც ერთი სხდომა არ ჰქონია. კომისიების ნაწილს არა აქვს სამუშაო გეგმები, უჯრედებში დასმული საკითხები ხშირად წინასწარ არ მუშავდება, სამაზრკომის მიერ არ ეწყობა კომისიების საქალაქო თათბირები, კომისიებს არ გააჩნიათ დებულებები, კომისიის წევრებს შორის არ არის განაწილებული სამუშაოები, კომისიების ანგარიში ისმება მხოლოდ ბიუროზე, უჯრედში კი არ დასმულა.

ყველა ზემოდ აღნიშნული ნაკლი აღნიშნა სამაზრკომის ორგთათბირმა და შეიმუშავა ღონისძიებანი აღნიშნულ დეფექტების გამოსასწორებლად.

ლუარსაბოვი.

კომკავშირში

საჭიროა ენერგიული ხელი

(ხობი, ზუგდ. მ.)

ვერ გაგვიგია, რა ემართება ხობის ა.ლ.კ.კ. მოწაფეთა უჯრედს. ერთ დავიდარაბით ღირს უჯრედის საერთო კრების მოწვევა. მდივანი ამხ. შ. კუჭავა კრების წინ მთელი საათობით თავქუდმოგლეჯილი დარბის, რომ შეკრიბოს წევრები. ზოგი წინა კარებიდან გარბის, ზოგი კიდევ უკანიდან.

ყოველ ოთხშაბათობით შეგიძლიათ ჩვენს სკოლაში იხილოთ ასეთი სურათი. უჯრედის მდივანი დარბის მოწაფეებში და ხმაჩახლეჩილი გაჰყვირის: „კრება იწყება, კრება იწყება, მოიყარეთ თავი ოთახში“-ო. რის ვაი-ვაგლახით იკრიბება ოთხი ხუთი კაცი. იხსნება კრება. თავმჯდომარე იგივე მდივანია. დამსწრენი არავითარ ყურადღებას არ იჩენენ საქმისადმი. ერთი დაფასთან დგას და ხატვით თავს ირთობს, მეორე ფანჯარასთან ატუზულა, თითს ისვრის და მინაზე რაღაც უცნაური ფიგურები გამოჰყავს, მესამე თავმჯდომარის მაგიდაზე მხართეძოთი წამოწოლილა.

თავმჯდომარე დგას და ახალ ენა ამობმულ ბავშვივით რაღაცას ბუტბუტებს. ასეთი კრების მოწყობას ის სჯობია, რომ სრულიად არ იკრიბებოდეს.

თემკომის მდივანმა ყველაფერი იცის, მაგრამ ვერაფერს ამბობს, რადგან ის არაერთხელ გალანძღა შენიშვნის მიცემისათვის უჯრედის ზოგიერთმა უდიერმა წევრმა.

ხობის მოწაფეთა უჯრედი საჭიროებს ენერგიული ხელის ჩარევას. რაც მალე იქნება ეს, მით უკეთესია საქმისათვის.

ხუტყუ.

კონკურსი საბჭოთა საუკეთესო სექციებზე

იყალთოსა და კოჯრის თემსაბჭოს სექციები ძალზე სუსტად მუშაობდენ

ბალდადის თემსაბჭოს სექციებში ამომრჩეველთა აქტივიდან არავინ მუშაობდა

როგორ მუშაობდნენ საბჭოთა სექციები

იყალთოს თემსაბჭო

(წერილი იყალთოდან)

იყალთოს თემსაბჭოსთან ჩამოყალიბებულია სამი სექცია: სასოფლო-სამეურნეო, კულტურულ-განმანათლებელი და სანიტარულ-ჯანმრთელობის.

ამათში ნაწილობრივ მუშაობას აწარმოებდა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სექცია, რაც შეეხება კულტურულ-განმანათლებელ და ჯანმრთელობის სექციებს—მათი მუშაობის სახე არა ჩანს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, ექიმის მიერ რამდენიმე ლექციის ჩატარებას მოსახლეობას შორის და სექციის წევრების მიერ მოსახლეობის გაფრთხილებას სანიტარულ პირობების დაცვის შესახებ.

არც სანიტარულ და არც კულტ-განმანათლებელ სექციის სხდომების ოქმები, ან რაიმე სამოქმედო გეგმა არ მოიპოვება, რაც ამტკიცებს, რომ მათ სხდომები არ ჰქონიათ და მუშაობაც ნაკლებ უწარმოებიათ.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო სექციას, მასში ჩაბმულია საბჭოს 21 წევრი, ამათში 18 გლეხია და ერთი ქალი. სექციას ბიურო არ ჰყავს, მის მუშაობას ხელმძღვანელობს საბჭოს მიერ გამოყოფილი ხელმძღვანელი.

საანგარიშო პერიოდში სექციას ჰქონდა 5 სხდომა, წევრთა დასწრება უდრიდა 67 პროც. სულ განუხილავს 158 საკითხი, მაგრამ ამ საკითხებს ნაკლები დამოკიდებულება აქვთ სასოფლო მეურნეობასთან და თითქმის ყველა კერძო ხასიათისაა, როგორც მაგ. მიწების მიცემა, ზინების დათმობა და სხვა.

მოქმედების ნიშანწყალი თუ ეტყობა ისევ თემსაბჭოს, რომლის სხდომებზე მოისმინეს და გადასწყვიტეს სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხები, როგორც მაგ. გზების შეკეთება, საგზაო ბეგარის ჩატარება, ტყის დაცვა, წყლების გამოყვანა-შეკეთება და სხვა. დადგენილება გზების შეკეთებაზე ნაწილობრივ შესრულებულია. წყაროების გამოყვანა-შეკეთების საქმეში თემის ხელმძღვანელობა მოითხუნტებს. დადგენილება ტყის დაცვის შესახებ შესრულებულია ნაწილობრივ.

თემსაბჭომ ორჯელ მოისმინა ექიმის მოხსენება სანიტარულ პირობების დაცვაზე და სანიტარულ სექციის გამოცოცხლებაზე, მაგრამ ამას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. საბჭოს მოუსმენია აგრეთვე თემკომის და ეპის გამგეობის მოხსენებები.

ამომრჩეველთა მიერ მიცემული ნაკაზი შესრულებულია მხოლოდ 35 პროცენტით. საანგარიშო მოხსენებები ტარდება ამჟამად.

ვ. პ—შვილი.

კოჯორის თემსაბჭო

(წერილი კოჯორიდან)

კოჯორის თემსაბჭოსთან არსებობს ოთხი სექცია: 1) კულტურულ-საგანმანათლებლო, 2) სასოფლო-სამეურნეო, 3) საექიმო-სასანიტარო და 4) საალმშენებლო. ამ სექციებში წევრებად უმრავლესობა გლეხებია, მაგრამ ხელმძღვანელებად გამოყოფილნი არიან ინტელიგენტური ძალები და უნდა ვიფიქროთ, რომ სექციების მუშაობა სათანადო დონეზე უნდა მდგარიყო, მაგრამ ეს ასე როდია. კოჯორის თემში სექციების მუშაობა ძალზე მოიკოჭლებს, არც ერთი მათგანი არ სდგას თავის სიმაღლეზე, რის გამო სოფლად ყოველგვარი მუშაობა მოდუნებულია. კულტ.-საგანმანათლებლო სექციას არავითარი მუშაობა არ უწარმოებია თემის სხვადასხვა სოფლებში, როგორც არის დიდება, კიკეთი და თვით აგ. კოჯორში.

სანიტარულ სექციას თითქმის არაფერი არ გაუკეთებია, მისი მუშაობა მხოლოდ აგარ. კოჯორში სწარმოებდა, ისიც მარტო სექციის ერთი წევრის მიერ.

საალმშენებლო სექციაც ახლო მდგომარეობაშია. დღემდის ამ სექციას არ მოუცია ზომები ს. დიდების სკოლის შენობის დასამთავრებლად, ს. წავკისში კარგა ხანია კოოპერატივის ახალი შენობა დაუხურავია, ხოლო ტაბახმელის სკოლის აგებას და შიდისში წყლის გამოყვანის მოგვარებას აქამდისაც არავის ეშველა.

სასოფლო-სამეურნეო სექცია ნაკლებ [illegible] თავს გლეხობაში აგრონომიული ცოდნის გასავრცელებლად. თემში არსებობს აგრო-პუნქტი, კოლექტიურ მეურნეობებზე და არტელებზე ლაპარაკიც მეტია.

კოჯორის თემსაბჭოს სექციების გამოცოცხლება შესაძლებელია მხოლოდ მათზე ხელმძღვანელობის გაძლიერებით, რასაც ამიერიდან მაინც უნდა მიექცეს ყურადღება.

გ. გ—შვილი.

ბალდადის თემსაბჭო

(ქუთაისის მაზრა)

(წერილი ბალდადიდან)

ამომრჩევლებისათვის საბჭოს ანგარიშის ჩაბარების მიზნით—ბალდადის თემი დაყოფილ იქნა 15 უბნად. ანგარიშის ჩაბარება დაიწყო 4-ს და დამთავრდა 17 მარტს. საანგარიშო კრებებზე ესწრებოდა ამომრჩეველთა 75 პროცენტი. მოხსენებების ირგვლივ იმართებოდა მხურვალე კამათი. ამავე კრებაზე მოხდა ახალ მედის ხაზ. წევ. გაწვევა. სულ მთელ თემში გაწვეულ იქნა 14 დეპუტატი და მათ ნაცვლად აირჩიეს ღარიბი გლეხები, ამას დაკავშირებით ჩატარდა სახალხო მსაჯულების ამორჩევა.

ბალდადის თემსაბჭოსთან არსებობს ხუთი სექცია, რომელშიაც მხოლოდ საბჭოს წევრები მუშაობენ: სასოფლო-სამეურნეო, საალმშენებლო, კულტ-განმანათლებელი, საფინანსო-საგადასახადო, საექიმო-სასანიტარო და სავაჭრო-საკოოპერაციო.

სექციების მუშაობას ხელმძღვანელობენ აღმასკომის წევრები და ზოგს მორიგე [illegible]ტატება.

სასოფლო-სამეურნეო სექციას ჰქონდა ორი სხდომა, რომელზედაც გაირჩა საკითხი. ბიურომ 15 სხდომაზე განიხილა საკითხი.

საგზაო-საალმშენებლო სექციამ 8 სხდომაზე გაარჩია 7 საკითხი. სექციის ბიუროს ჰქონდა 12 სხდომა და განხილულ იქნა საკითხი.

კულტურულ-განმანათლებელ სექციის 8 სხდომაზე გაირჩა 8 საკითხი. ბიუროს ჰქონდა ათი სხდომა და განხილულია [illegible] საკითხი.

საფინანსო-საგადასახადო სექციას გარჩეული აქვს მხოლოდ ერთი საკითხი, ბიუროს კი ხუთი.

საექიმო-სასანიტარო სექციამ ორ სხდომაზე განიხილა 4 საკითხი. ბიუროს ჰქონდა 8 სხდომა და გარჩეული აქვს საკითხი.

სავაჭრო-საკოოპერაციო სექციამ ერთი საკითხი განიხილა, ხოლო ბიურომ [illegible].

სექციის ოქმები საბჭოს და აღმასკომისთვის არ მტკიცდებოდა. სექციების მიერ გამოტანილ დადგენილებებიდან რამდენიმე მიიღო საბჭომ. სექციების მუშაობაში საბჭოს არა წევრები სრულიად არ იყვნენ ჩაბმულნი.

სექციები არ აწარმოებდნენ მუშაობას წინასწარ შედგენილი გეგმით და არ აკეთებდნენ მოხსენებებს საბჭოში. სექციები არ აწარმოებდნენ აგრეთვე სხდომების სწორ ანგარიშს.

საანგარიშო კამპანიასთან დაკავშირებით სექციებს მიეცათ საჭირო მითითებანი [illegible] გამოსასწორებლად.

„ნიკ—ბა".

ლანჩხუთის თემსაბჭო

(წერილი ლანჩხუთიდან)

კულტურული სექცია

ლანჩხუთის საბჭოს კულტურულ-განმანათლებელ სექციაში მუშაობს 18 წევრი, აქედან 4 ქალია, 8 კომკავშირელი და დანარჩენი უპარტიოები. დღემდე სექციას ჰქონდა 10 სხდომა, განხილულ 15 საკითხი. წევრთა დასწრება კრებებზე 70 პროცენტს უდრიდა. სექცია ადგენდა ოთხთვიან სამუშაო გეგმას, მაგრამ მისი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ თავისი მუშაობის შესახებ მოხსენებას არ აკეთებდნენ საბჭოში.

ლანჩხუთის რაიონი დაწინაურებულად ითვლებოდა, აქ კულტურული მოთხოვნილებებიც მეტია. მართალია, კულტურულ დარგში საკმაო მიღწევები გვაქვს, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი და სექციას რომ მეტი თვითმოქმედება გამოეჩინა, შეიძლებოდა მეტის გაკეთება. სექცია უმთავრესად მუშაობდა აღმასკომის მითითებით და არა საკუთარი ინიციატივით.

ლანჩხუთში სამი წელიწადია დაწყებულია თეატრის შენობის აგება, მაგრამ ჯერჯერობით ვერ გამონახეს საშუალება შენობის დასამთავრებლად; ამის გამო წარმოდგენები იმართება [illegible] შენობაში, რომელიც შეკეთებულ იქნა კინო-თეატრისთვის. დრამწრეს არ ჰყავს ხელმძღვანელი, რაც აფერხებს მის მუშაობას.

რაც შეეხება სკოლებს, მჭიდრო მოსახლეობის გამო მოსწავლეთა რიცხვი ბევრია, არ ყოფნის შენობა, რომელშიდაც მოთავსებულიყო ცხრაწლედი და სწავლა მიმდინარეობდა ორ ცვლად. ამ საქმეში სექციამ გამონახა საშუალება სკოლის შენობის გასაფართოებლად; აქვე არსებობს აგრეთვე გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა და ორი შვიდწლედი. სექცია ყურადღებას აქცევდა ხსენებულ სკოლების როგორც სათანადო დონეზე დაყენებას, ისე ადგილობრივ მასწავლებლობის აქტიურად გამოყენებას. დაარსებულ იქნა: [illegible], ავიაქიმის, დრამატიული, ლიტერატურული და სხვა წრეები.

საკლუბო მუშაობაც მოგვარებულია, მხოლოდ მას აქვს ერთი ნაკლი: კლუბში არ აძლევენ შესვლის საშუალებას პროფკავშირის არა წევრებს, რის გამო ადგილობრივი გლეხობა უკმაყოფილებას გამოსთქვამდა. კლუბთან ჩამოყალიბებულია ფიზკულტურისა და სამხედრო წრეები.

სამკითხველოების მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ სექციამ ვერ მიაქცია ჯეროვანი ყურადღება როგორც ჟურნალ-გაზეთების გავრცელებას ახლო სოფლებში, ისე სამკითხველოების თანამედროვე ლიტერატურით მომარაგებას.

მომავალში საჭიროა, სექციის წევრთა მეტი თვითმოქმედება, სექციის დადგენილებების აღმასკომზე დროით გადაცემა ცხოვრებაში გასატარებლად, ჟურნალ-გაზეთებისა და თანამედროვე წიგნების გავრცელება, დაწყებულ თეატრის შენობის დასამთავრებლად ზომების მიღება, დრამწრისთვის ჯამაგირიან ხელმძღვანელის მოწვევა და რადიოს დადგმა-მოწყობა, რითაც ხსენებულ სექციის მუშაობა მტკიცე და ურყევ ნიადაგზე დადგება.

გ. ნ—ძე.

ხენაკის საბჭო

(წერილი ხენაკიდან)

სას.-სამ. საკოოპერაციო სექცია

ხენაკის საბჭოსთან არსებული სასოფლო-სამეურნეო საკოოპერაციო სექციის წევრთა რიცხვი უდრის 18 კაცს. მათ შორის 4 ქალია. სოც. მდგომარეობით მოსამსახურე 6, დიასახლისი 2, გლეხი 10.

სექციის ბიურო

სექციამ პირველ სხდომაზევე აირჩია ბიურო 8 კაცის შემადგენლობით.

სექცია თავის მუშაობას აწარმოებდა გეგმის მიხედვით. გეგმა ხდებოდა სამთვიური.

სამწუხაროდ სექციის ბიუროს მუშაობა ვერ იყო ცოცხალი! სექციის სხდომებს იწვევდა ქალაქის აღმასკომი და არა სექციის ბიურო.

წევრთა აქტივობა

სექციის სხდომა მოწვეული იყო 5-ჯერ, შედგა 2-ჯერ, გაირჩა 8 საკითხი.

წევრთა აქტივობა გამოიხატებოდა შემდეგში: 18 წევრისაგან სხდომას ესწრებოდა 10—13 წევრი. 5 წევრი, სრულიად არ დასწრებია სხდომას და არც უნახავს სექცია.

სექციის საქმიანობა

სექცია მუშაობდა იმ ნაკაზის მიხედვით, რაც მას მისცა ამომრჩეველთა მასსამ. ამ ნაკაზით უნდა შესრულებულიყო შემდეგი:

ქალაქის ბაღის გამშვენიერება. ქალაქში მიწათმოწყობის ჩატარება. ქალაქისათვის პირუტყვის საძოვარი ადგილების გამონახვა და მიჩენა. მებოსტნეობის და მაღალ კულტურის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

კოოპერაციის გამაგრება-გაძლიერებისათვის ზრუნვა.

რა გააკეთა სექციამ?

ქალაქის ბაღის გამშვენიერება და ახალ წესზე აგება დაწყებულია და ბაღი გაიხსნება 1 მაისს. ქალაქში მიწათმოწყობას შეუდგენ. გამოკვლეულ იქნა სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა, ხენაკის სარაიონო ემოხის მუშაობა და [illegible] დაწესებულებათა მუშაობა. ამნაირად ნაწილობრივად ნაკაზი შესრულებულია.

ნაკლი

სექციას ამასთან ერთად აქვს მთელი რიგი ნაკლულოვანებანიც.

სექციის ბიურო უმოქმედო იყო. მან მუშაობაში ვერ ჩააბა სექციის ყველა წევრები. სექციის ბიუროს მხოლოდ ორი სხდომა ჰქონდა. ამასთან ერთად სექციამ ვერ შეასრულა ქ. ხენაკისათვის აგრონომის მოწვევის საკითხი. ვერ მოაწესრიგა ქალაქის პირუტყვისათვის საძოვრის გამონახვის და მიჩენის საქმე.

მებოსტნეობის და მაღალ კულტურათა განვითარების მიზნით ვერ ჩაატარა მოსახლეობაში საჭირო აგრო-პროპაგანდა და ვერ უხელმძღვანელა ამ საქმეს შესაფერისად.

მეხი.

ანგარიში ჩაგვაბარეს

(წერილი ჭიათურიდან)

ამ დღეებში ჭიათურის საბჭოს საექიმო-სანიტარულ სექციის თავმჯდომარემ ექ. ალ. წერეთელმა მოხსენება გაუკეთა სექციის მუშაობა-საქმიანობის შესახებ „ქართული მარგანეც"-ის პერევისის მაღაროების მუშებს. კრებას დაესწრო 150-დე მუშა-მოსამსახურენი, მომხსენებელმა გააცნო მაღაროს მუშებს თუ რა გაუკეთებია წასულ სამუშაო პერიოდში სექციას.

მოხსენების დამთავრების შემდეგ მომხსენებელს მისცეს მრავალი შეკითხვები, რაზედაც დამაკმაყოფილებელი პასუხი იქნა გაცემული მომხსენებლის მიერ, რის შემდეგაც გაიმართა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს მაღაროს მუშებმა, რომლებიც აღნიშნავდნენ სექციის მიღწევებს და მადლობას უხდიდენ სექციას ენერგიული მუშაობისათვის. კამათის შემდეგ მიღებულ რეზოლიუციაში სექციის მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად. კრებამ საბჭოს არაწევრების სექციის მუშაობაში ჩაბმის მიზნით დაავალა სექციას პროფკავშირების საშუალებით მიიზიდოს წარმოებებში მომუშავეთა აქტივი.

გ. პ—ლი.

საქ. ცაკში

ერთდროული დახმარებები, სუბსიდიები და დოტაცია. საქართველოს ცაკის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ თებერვალში ერთდროული დახმარებების, სუბსიდიების და დოტაციის სახით დაარიგა—26.602 მანეთი და 61 კაპ. ამ ანგარიშში არ შედის თანხა, რომელიც ცაკის განყოფილებამ პენსიების სახით თებერვალში დაურიგა დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეებს და შრომის და ომის ინვალიდებს.

თელავის მაზრაში. საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ანგარიშების მიხედვით: თელავის მაზრაში [illegible] გლეხკომებმა მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში (სამ თვეში) ქვრივებს, ობლებს და წითელ-არმიელების ოჯახებს დახმარებით მისცა 687 მანეთი და 37 კაპ. სესხად მისცა ღარიბ გლეხებს მეურნეობაში მოსახმარად 5.403 მანეთი და 47 კაპ. დახმარებით მისცა სხვადასხვა დაწესებულებებს—278 მანეთი და 32 კაპ. დაშრომითი დახმარება აღმოუჩინა 12 ოჯახს, ამჟამად თელავის მაზრაში მოქმედ გლეხკომებს შეძენილი აქვთ 4 ტრაქტორი, 11 გუთანი, 7 სიმინდის სალეწი მანქანა, 2 ხორბლის საანავებელი მანქანა, 1 პურის სალეწი მანქანა და 1 მოძრავი კინო-აპარატი. ნაწილი ამ სამეურნეო იარაღისა, რომლებიც გლეხკომების განკარგულებაშია, თელავის მაზრაში გამოყენებული იქნება საგაზაფხულო თესვის კამპანიისათვის.

ა-კ. საკომსაბჭოში

სასჯელი წვრილ საქარხნო-საფაბრიკო ქურდობისათვის

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაავალა აზერბეიჯანის და სომხეთის სახკომსაბჭოებს წინადადება მისცენ იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატებს ორი კვირის განმავლობაში გამოსცენ ცხრილი სასჯელისა წვრილ საქარხნო-საფაბრიკო ქურდობისათვის; ეს ცხრილი შეფარდებული უნდა იქნეს იმ დადგენილებასთან, რომელიც ამჟამად მოქმედობს ამ საკითხზე ამიერკავკასიაში.

საქართველოს სახკომსაბჭოს დაევალა წინადადება მისცეს იუსტიციის და შრომის სახალხო კომისარიატებს შეავსონ ამ საკითხზე ა. წ. 9 იანვარს გამოცემული დადგენილება; ამისთვის ცხრილში შეტანილი უნდა იქნეს მუხლი, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება სამსახურიდან დათხოვნა წვრილი საქარხნო-საფაბრიკო ქურდობისათვის.

საბავშვო ბაგები წარმოებებთან

ა.-კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა წესები წარმოებების მონაწილეობისა საბავშვო ბაგების შესანახავ ხარჯებში; ეს მონაწილეობა უნდა გამოიხატოს ამა თუ იმ წარმოების ხელფასის ფონდის ერთ მეოთხედ პროცენტში. ეს ანარიცხები გაღებული უნდა იქნეს იმისდამიუხედავად—ბაგები ამ წარმოების ტერიტორიაზე იმყოფება თუ მის გარეთ.

ეს დადგენილება დასამტკიცებლად გადეცა ა.-კ. ცაკს.

ა-კ. რესპუბლიკების ჯანსახკომთა თათბირი

გუშინ, საღამოს დამთავრდა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ჯანსახკომთა თათბირი. უკანასკნელ სხდომაზე თათბირმა მიიღო რეზოლიუციები მოსმენილ მოხსენებათა შესახებ.

ა.-კ. რკ. გზების ჯანმრთელობის განყოფილების მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა და ხარჯთაღრიცხვა თათბირმა დაამტკიცა მცირედის შესწორებით. თათბირმა ამასთანავე საჭიროდ აღიარა, რომ წელს დაწყებულ იქნეს მუშაობა [illegible] რაიონის გასაჯანსაღებლად და იქ მალარიის მოსასპობად. მიღებულია აგრეთვე დადგენილებები რკინისგზელთათვის სხვადასხვა სახის სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად, როგორიცაა ფსიქიატრიული დახმარება, სანატორიუმებში მკურნალობა და სხვა.

რეზოლიუციების მიღებით თათბირის მუშაობა დასრულდა.

თბ. მუშკოოპის რწმუნებულთა კრება

უკანასკნელი სხდომა

29 მარტის საღამოს სხდომაზე კრებამ მოისმინა მოხსენებები სექციებში ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

მუშკოოპის 1927—28 წლის მუშაობის გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. [illegible].

საორგანიზაციო კომისიის მიერ განხილულ საკითხების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. [illegible]შვილი. როგორც მოხსენებიდან გამოირკვა, ნაცვლად აქამდე არსებული რაიონ-ი საბჭოებისა და ბიუროებისა, უნდა დაარსდეს რწმუნებულთა ოპერატიული, საორგანიზაციო და სარევიზიო სექციები.

კრებამ მუშკოოპის 1927—28 წლის მუშაობის გეგმა და დებულება რწმუნებულთა სექციების შესახებ დაამტკიცა.

კრებამ ამასთანავე დაამტკიცა მუშკოოპის გამგეობის მიერ 1926—27 წლის მოგების—266.178 მანეთის განაწილება.

შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია მუშკოოპის გამგეობის 1926—27 წლის საქმიანობის შესახებ.

მიღებულ რეზოლიუციაში კრება გამგეობის მუშაობას აღნიშნულ პერიოდში დამაკმაყოფილებლად სთვლის და იძლევა მთელ რიგ ახალ დირექტივებს მომავალი/საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

დასასრულ მოსმენილ იქნა ამხ. ხანაძის მოხსენება წინანდელ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის შედეგების შესახებ, რის შემდეგაც კრება გადავიდა ახალ მუშკოოპის მმართველი ორგანოების არჩევნებზე.

არჩევნები

მუშკოოპის გამგეობაში არჩეულ იქნენ ერთხმად ამხ. ა. ერისთავი (თავმჯდომარე), ვ. ბოლქვაძე, ძაგანი, მელქიანცი, ავეტისოვი და ფირცხალაიშვილი.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს ამხ. დუდევი (თავმჯდომარე), არუშანი, კორინევი, [illegible]დარიანი და ორლოვა.

შაქრის ჭარხლის პლანტაციების გაშენება

საქართველოში შაქრის ქარხნის აგებისათვის წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად დაარსებულია სპეციალური კომისია ამხ. ვ. ავაქოვის თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიან მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მიწად-მოქმედების კომისარიატმა ჭარხლის [illegible] კომისიის მიერ გამომუშავებულ გეგმის მიხედვით წელს გორის მაზრაში გაფართოებული იქნება ჭარხლის მეურნეობა.

ჭარხლის მეურნეობას ექნება საცდელი ხასიათი.

ჭარხლის საცდელი მეურნეობა იწარმოებს გომი-აგარას რაიონში, ტირიფონის ველზე და სხვა ადგილებში.

მიწად-მოქმედების კომისარიატმა ჭარხლის საცდელი მეურნეობისათვის გორის მაზრაში უკვე გამოჰყო 2.000 დესეტინა მიწა.

შემდეგში ამ სივრცეზე მოსული ჭარხალი საუკეთესოთ დააკმაყოფილებს შაქრის ქარხნის მოთხოვნილებას.

გორის მაზრაში შარშან საცდელად მოყვანილი ჭარხალი საუკეთესო თვისებების აღმოჩნდა. სპეციალური გამოკვლევებით საბოლოოდ გამოირკვა, რომ გორის მაზრის ჭარხალში გაცილებით მეტი რაოდენობით შაქარია, ვიდრე უკრაინის ჭარხალში.

სახ. საგეგმო კომისიამ მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს დაავალა მიიღოს ზომები სპეციალისტ აგრონომების მოსამზადებლად, რომლებიც მომავალში ხელმძღვანელობას გაუწევენ შაქრის ჭარხლის მეურნეობის საქმეს.

არქეოლოგიური აღმოჩენა

საქართველოს მუზეუმის არქეოლოგიურ განყოფილებაში ამ რამდენიმე დღის წინად მიიღეს ცნობა, რომ სოფ. ურბნისში (გორის მახლობლად) ადგილობრივმა გლეხებმა ქვის ტეხის დროს აღმოაჩინეს არქეოლოგიური მნიშვნელობის განძები, რის გამოც სთხოვდენ მუზეუმს გაეგზავნა იქ სპეციალისტი.

მუზეუმმა ადგილობრივ მიავლინა არქეოლოგი გ. ნიორაძე, რომელიც გუშინ დაბრუნდა თბილისში. ურბნისში აღმოჩენილ სიძველეთა შესახებ გ. ნიორაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— ურბნისი საზოგადოთ ცნობილია, როგორც არქეოლოგიური სიძველეთა საინტერესო რაიონი. აქ გარდა უკანასკნელი აღმოჩენისა, სხვა დროს ნაპოვნია მნიშვნელოვანი ობიექტიური ძეგლები. ამ რამდენიმე დღის წინათ ურბნისელ [illegible] შეეროვება. ქვების [illegible] ისინი წააწყდნენ 4 ქურს, რომლებიც [illegible] საუკუნეებს [illegible].

თავისთავად ქურების აღმოჩენა [illegible] ინტერესს არაა, მაგრამ აქ მეორე საინტერესო მოვლენაა. ქურების მახლობლად ამოთხრილი ნიადაგი შედგება 4 სხვადასხვა ფენისაგან. აღნიშნული ფენების გამოკვლევა ჯერ-ჯერობით არ მომხდარა, მაგრამ შეიძლება წინდაწინვე ითქვას, რომ აქ ადგილი ჰქონია რამდენიმე პერიოდის განმავლობაში კულტურის სხვადასხვა დონეზე ცხოვრებას და შემდეგ ეს ცხოვრება გაუნადგურებია ცეცხლს ან სხვა სახის კატასტროფას.

ამ ადგილის დაწვრილებით შესწავლა დაეწყება მომავალ ზაფხულზე.

პროფკავშირები და ანტირელიგიური პროპაგანდა

ანტისააღდგომო პროპაგანდასთან დაკავშირებით საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ კავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებს, სამაზრო პროფბიუროებს, ავტონომიური რესპ. პროფსაბჭოებს მუშათა კლუბების გამგეობებს და საუბნო პროფკავშირებს დაუგზავნა ცირკულიარი, რომელშიაც ნათქვამია:

„აღდგომის" დღესასწაულების მოახლოვების გამო, პროფკავშირებს კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებს ევალებათ გააძლიერონ ანტირელიგიური პროპაგანდა და გამოიყენონ მომავალი დღესასწაულები მასებზე თავიანთი გავლენის გასაძლიერებლად.

მომავალი ანტირელიგიური პროპაგანდა მიზნად ისახავს: რელიგიის უარყოფითი მნიშვნელობის გამოაშკარავებას, რელიგიური ორგანიზაციების გავლენასთან ბრძოლას და აგრეთვე ურწმუნოთა კავშირის გაძლიერებას.

მუშათა კლუბებში, წითელ კუთხეებში, წარმოებებში და დაწესებულებებში უნდა მოეწყოს მოხსენებები, ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები და დისპუტები ანტირელიგიურ თემებზე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დისპუტების საფუძვლიანად მომზადებას, რადგან მათ დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მასების აქტივობის გამოჩენის საქმეში. მოხსენებები, ლექციები, კითხვა-პასუხის საღამოები უნდა ჩატარდეს შემდეგ თემებზე: რელიგია — ბურჟუაზიულ კულტურის სამსახურში, კულტურული რევოლიუცია და „აღდგომის" დღესასწაულები, ახალგაზრდობა, კულტურა და რევოლიუცია, [illegible] დღესასწაულები თუ კულტურული დასვენების დღეები, რელიგია თუ მეცნიერება, სამოთხე ცაზე თუ სოციალიზმი დედამიწაზე, „აღდგომის" დღესასწაულის წარმოშობა, იყო თუ არა ქრისტე.

დისპუტებისათვის შესაძლებელია გამოყენება შემდეგი თემებისა: შესაძლებელია თუ არა კულტურის ზრდა რელიგიის გარეშე, ხელს უწყობს თუ არა რელიგია ქალთა განთავისუფლების საქმეს. ქრისტემ შექმნა ქრისტიანობა, თუ ქრისტიანებმა ქრისტე. შესაძლებელია თუ არა მიცვალებულთა აღდგომა. შესაძლებელია თუ არა სექტანტობის საშუალებით სოციალიზმის განხორციელება. რატომ სწამთ ზოგიერთ მეცნიერებს ღმერთი?

აღნიშნულ ფორმებით მუშაობის გარდა, სააღდგომო დღესასწაულების დროს საჭიროა მოეწყოს სახალხო საღამოები, წარმოდგენები, კინო-დადგმები და სხვ.

გარდა ამისა უნდა მოეწყოს მასიური ექსკურსიები და სეირნობანი ქალაქ გარეთ.

კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით, ურწმუნოთა აქტივისათვის და კულტაქტივისათვის წინასწარ უნდა მოეწყოს საინსტრუქციო მოხსენება შემდეგ თემებზე: „როგორ უნდა ჩავატაროთ კლუბებში და წითელ კუთხეებში ანტირელიგიური კამპანია და როგორ უნდა ვაწარმოოთ ჯგუფური და ინდივიდუალური აგიტაცია? ანტისააღდგომო პროპაგანდა უნდა დაიწყოს ა. წ. 1-ლ აპრილიდან და უნდა დამთავრდეს 1-ლ მაისამდე. კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ ანტირელიგიური პროპაგანდის ჩატარების აღრიცხვა და ყოველგვარი მასალები [illegible] ჩატარების შესახებ გადაგზავნონ საქ. [illegible] პროფსაბჭოს კულტგანყოფილებაში არა უგვიანეს 15 მაისისა.

თათბირი განათლების საკითხებზე

გუშინ, საღამოს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში შესდგა ფართე თათბირი კულტურულ-საგანმანათლებლო და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ.

თათბირს დაესწრნენ საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების, განათლების მუშაკთა, მშენებელთა, გემო-კვების, ფეიქართა, სახალხო კავშირის, ტრანსპორტზე მომუშავეთა, საუბნო პროფკავშირის კულტ-განყოფილების, ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ცეკავშირის, „სოფლის კავშირის", პოლიტგანათლების მთავარმმართველობის, თბილისის პოლიტგანის, მეორე დივიზიის პოლიტ-განყოფილების, საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ კავკასიის სოლქო კომიტეტის საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების, საქ. ახ. ლ. კ. კ. ცეკას, ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ კავშირის, მუშკოოპის, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მუშა-გლეხ-ქალთა განყოფილების, ეროვნულ უმცირესობათა შორის მომუშავე ქვე-განყოფილების და ჯანსახკომის წარმომადგენლები.

კულტურულ-საგანმანათლებლო და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის შესახებ ინფორმაციული მოხსენებით გამოვიდა ამხ. ხ. მამულია.

თათბირის მიზანია ფართედ გააშუქოს ამ დარგში წარმოებულ მუშაობის მდგომარეობა და მომავალი ამოცანები, გამოარკვიოს მუშაობის ფორმები და მეთოდი და აგრეთვე ერთმანეთის შეუთანხმოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობით დაინტერესებულ ორგანიზაციის მოქმედება.

კამათში გამოვიდნენ: ამხ. კაციტაძე, ჩილინგარიძე, ბაქრაძე, ესაიანი, მხითაროვა, ფრანგულიანი და სხ.

ახალი მადნების დამუშავება

მშენებლობის განვითარებასთან ერთად თანდათან ფართოვდება ამ მადნეულობის დამუშავება, რომელიც აუცილებელ საამშენებლო მასალას წარმოადგენს საშინაო მშენებლობისა და მრეწველობისათვის.

ბარიტი

თუ რამდენად გაიზარდა მოთხოვნილება ბარიტზე მოწმობს შემდეგი ციფრი—უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში გასაღებულია—50.000 ფუთი დაფქვილი ბარიტი. შეკვეთების რიცხვი თანდათან იზრდება და ბარიტის ამოღება იმ რაიონებში, სადაც ეხლა სწარმოებს უკვე აღარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ჯერ-ჯერობით ამ მადნის მოპოება და დამუშავება სწარმოებს სოფ. ბოკერანისა და ერჩის რაიონებში (ლეჩხუმის მაზრა). მოთხოვნილების გადიდების გამო გადაწყვეტილია ერთიორად გაფართოებულ იქნეს ამ მადნეულობის მოპოება ჯერ-ჯერობით ამ რაიონებში. და აგრეთვე, გაფართოებულ იქნეს მისი დამუშავება. ამ მიზნით ხელსაწყოების შესაძენად, მუშათა სახლების ასაგებათ საწარმოო რაიონებში და ტრანსპორტის მოსაწყობად გადადებულია 70.000 მანეთი. საწარმოო გეგმით, მიმდინარე წლისთვის მოპოებული და გასაღებული უნდა იქნეს 200.000 ფუთი ბარიტი. ამ შეკვეთების მიხედვით, რომელიც დღემდე მიღებულია, ქართული ბარიტის მომხმარებელთა ორგანიზაციებს წარმოადგენენ: „ლაკო-კრასკა", „ბიმუგოლ", და „კრასტრესტ". საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს გამოანგარიშებით ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულ მშენებლობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად საქართველოში უნდა დამზადდეს 20.000 ტონა ბარიტი.

ოხრა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოიპოვება ოხრის მდიდარი მადნები, მისი წარმოება დღემდე არ დაწყებულა, რადგან მოთხოვნილება მასზე მეტის მეტად განსაზღვრული იყო. ამჟამად უკვე მიღებულია ცნობები ოხრის დიდი საჭიროების შესახებ, რის გამო დაიწყო წინასწარი მუშაობა ოხრის ბუდობების საექსპლოატაციოთ. მიმდინარე წელს განზრახულია დამზადდეს 15—20 ათასი ფუთი.

კაოლინი

განახლდა მუშაობა იმერული კაოლინის ექსპლოატაციის შესაძლებლობის გამოსარკვევად. როგორც გასული წლის ცდებმა დაამტკიცეს, იმერული კაოლინი საუკეთესო ნედლ მასალას წარმოადგენს ფაიფურის მრეწველობისთვის.

მუშათა ცხოვრება

შეუკეთებელ ორთქლმავლების შესახებ

რაც დრო გადის თბილისის საყუდში წარმოება იზრდება, ორთქლმავალთა რიცხვი მატულობს, მუშა-ხელი მრავლდება და მასალაც ჭარბებულია, მაგრამ ორთქლმავლების უმეტესი ნაწილი მაინც შეუკეთებელი გამოდის, თუმცა მოუმატეს ერთი უფროსის თანაშემწე, და ოთხი უფროსი მემანქანე, მაგრამ საქმეს მაინც არა ეშველა რა. ვინაა დამნაშავე ამ საქმეში. რა მიზეზით გამოდის ორთქლმავლები შეუკეთებელი. დამნაშავენი ამ საქმეში არიან ორთქლმავლის მიმღებნი. ზეინკალებს სძინავთ, უფროსი მემანქანეც ხშირად სამორიგეო ოთახში ტახტზე წამოწოლილი და მოსულ მემანქანეებისაგან შეკითხვებითა და პასუხებით იბარებს ორთქლმავალს.

ხშირად ზოგიერთი მემანქანე შესაკეთებელ წიგნაკში სწერს არა იმას, რაც ნამდვილად არის შესაკეთებელი, არამედ იმას, რასაც არ უნდა შეკეთება. ესეც ხელს უშლის ორთქლმავლების შეკეთებას. ეს არის მოვალეობისადმი გულგრილი მოპყრობა და უპასუხისმგებლობა, რასაც ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს.

მომავალში ასეთ მოვლენების თავიდან ასაცილებლად საჭიროა გამონახულ იქნეს ისეთი საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ორთქლმავლებს შეკეთებით.

შემოსვლისთანავე მემანქანემ ორთქლმავალი უნდა გადასცეს მორიგ უფროს მემანქანეს, რომელმაც ზეინკლებთან ერთად საფუძვლიანად უნდა გასინჯოს ორთქლმავლის ყველა ნაწილები და შეამოწმონ მთლიანად ორთქლმავალი. ასეთი მუშაობით ჩვენ შევძლებთ ბოლო მოუღოთ ყოველგვარ დაუდევრობას საყუდში ორთქლმავლების მიღება-გაშვებაში.

ამჟამად არსებულ წესით კი ჩვენ წინ ვერ წავალთ და ის სირბილი, ყვირილი, ჩხუბი, უნდობლობა, უსიამოვნება და აყალ-მაყალი, რომელსაც ადგილი აქვს ორთქლმავლების მიღება-გაშვების დროს, მომავალში გაგრძელდება.

საყუდის ადმინისტრაციამ ანგარიში უნდა გაუწიოს ამ გარემოებას და მიიღოს ზომები ორთქლმავლებისადმი უყურადღებობით მოპყრობის თავიდან ასაცილებლად.

შავსოფლელი.

დააკმაყოფილეთ მოთხოვნილება

(ნავთლუღი)

თბილისის სხვა გარე უბნებთან შედარებით ნავთლუღი მეტად ჩამორჩენილი უბანია. აქ სხვა საკითხებთან ერთად მწვავედ სდგას კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხიც. მართალია არსებობს სამკითხველოები, მაგრამ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის დარგში მაინც ბევრი არაფერი კეთდება. განსაკუთრებით ქვემო ნავთლუღში ე. წ. „მამუკენის სოფელში" სამკითხველო ვერაა უზრუნველყოფილი სათანადო ლიტერატურით და მისი ბინაც მოუწყობელი და უვარგისია. აქ კულტურული მუშაობა დღემდის ფართედ ვერაა გაშლილი. სამკითხველოები წმინდა საბიბლიოთეკო მუშაობას ეწევიან,—ჩვენი აზრით—კი საჭიროა ამ მუშაობასთან ერთად მათ დაეკისროთ რაიონში პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის წარმოებაც, უნდა ჩამოყალიბდეს წრეები და მცხოვრებთა საგრძნობი ნაწილი ჩაებას საწრეო მუშაობაში.

ყველაზე მეტად ნავთლუღის მცხოვრებლებს აწუხებს ქართულ ენაზე წარმოდგენების დადგმის საკითხი. თითქმის ყოველ კვირა აქ იდგმება პიესები და ეწყობა კინო სეანსები წითელ ჯარის „ნავთ-საწყობის" კლუბში, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ესენი უმთავრესად რუსულ და სომხურ ენებზე ეწყობიან. ქართულ ენაზე ასეთების გამართვა—კი იშვიათი ხილია მცხოვრებლებისათვის, ეს მაშინ, როდესაც მცხოვრებთა უმრავლესობა ქართველობაა. წინეთ აქ ავლაბრის მუშათა თეატრის ახალგაზრდათა დასი ადგამდა ქართულ პიესებს ეხლა კი მათაც დაგვივიწყეს.

მცხოვრებლები მოითხოვენ ქართულ პიესების დადგმას. ეს მოთხოვნილება სამართლიანია, რასაც ყურადღება უნდა მიექცეს. საჭიროა ადგილობრივ დრამწრის ჩამოყალიბება, რეგულიარულად ქართულ საღამო-წარმოდგენების მოწყობა, საამისო ძალები საკმაო მოიძებნებიან, მხოლოდ საჭიროა ხელმძღვანელობა და ამ საკითხზე ჯეროვანი ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს.

გოგა.

ტრამვაის საწარმოო თათბირი

ტრამვაის კლუბში შესდგა ტრამვაის საწარმოო თათბირის სხდომა, ტრამვაის ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენება გააკეთა ინჟინერმა ტერ-ხაჩატუროვმა, რომელმაც გააცნო თათბირს, როგორც ტრამვაის სახელისაც, ისე მოძრაობის მდგომარეობა და აღნიშნა, რომ წინათ ტრამვაის საქმიანობა ვერ იყო სასურველ დონეზე დაყენებული. ტექნიკურად იგი ჩამორჩენილი იყო. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ტრამვაის საქმიანობა საგრძნობლად გაუმჯობესდა. თვით წარმოებაშიც დიდი ცვლილებები და გაუმჯობესებები იქნა შეტანილი.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო იმას თუ რა უნდა გაკეთდეს ხუთი წლის განმავლობაში, რა მიღწევები ექნება ტრამვაის წარმოებას ხუთ წლიან გეგმის მიხედვით. როგორ იწარმოებს ახალი პარკების აგება თბილისში, სად და რა გეგმით გაიყვანენ ლიანდაგებს და სხვა.

მომხსენებლის სიტყვით განზრახულია ვაკეში გაყვანილ იქნეს ლიანდაგი, [illegible] ლიანდაგის შეერთება საბურთალოსთან—ნავთლუღში ძველი სასაკლაოსაკენ ლიანდაგის გაგრძელება, [illegible] შენება და სხვა.

ამ საქმეების შესასრულებლად საჭირო თანხა, დირექციას უკვე გადადებული აქვს.

მოხსენების შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. პაჩიკოვმა, გარსიაშვილმა, ინჟინერმა მორქველოვმა, გ. ცაბაძემ და ომაროვმა.

კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ტრამვაის წარმოების ხუთწლიანი გეგმა საწარმოო თათბირმა ერთხმად დაამტკიცა.

მუშკორი ბ.

კედლის გაზეთი „ელმნათი"

24 მარტს, გაზ. „კომუნისტი"-ს მუშკორთა ორგანიზაციასთან არსებულმა კედლის გაზეთის სარეცენზიო ბიურომ, განიხილა ზაჰესის კედლის გაზეთი „ელმნათი"-ს უკანასკნელი 21, 25 და 29 ნომრები.

კედლის გაზეთი, როგორც ფორმატით, ისე თავისი შინაარსით და კარიკატურებით დამაკმაყოფილებელია. უნდა ითქვას, რომ ზაჰესის მუშა-მოსამსახურეთა გაზეთი სხვა წარმოებების კედლის გაზეთთა შორის სანიმუშოა.

გაზეთთან ჩამოყალიბებულია მუშკორთა წრე ოცი კაცის შემადგენლობით, რომელთა შორის სწარმოებს მუშაობა. როგორც ეტყობა სარედაქციო კოლეგიას ამ მხრივ, ესმის თავისი დანიშნულება.

მაგრამ კედლის გაზეთში სჭარბობს საერთაშორისო ხასიათის წერილები, რაც ამახინჯებს კედლის გაზეთის მნიშვნელობას. კედლის გაზეთში მოთავსებული წერილები უნდა ეხებოდეს უმთავრესად ადგილობრივ საკითხებს: მუშათა ყოფა-ცხოვრებას, წარმოების საერთო მუშაობას და სხვა. საჭიროა აგრეთვე კარიკატურების რაც შეიძლება დაპატარავება და მათი გეგმაშეწონილად მოთავსება გაზეთში.

გარდა ამისა, გაზეთში განყოფილებები არ არის თავის რიგზე დალაგებული. საჭიროა მათი გადაჯგუფება. როგორც გამოირკვა, კედლის გაზეთში მოთავსებულ წერილებს ადგილობრივ პარტუჯრედის მიერ ცენზურა უკეთდება. სარეცენზიო ბიურომ ყოვლად დაუშვებლად მიიჩნია კედლის გაზეთზე ასეთი ძალდატანებითი ხელმძღვანელობა. როგორც ეტყობა, ადგილობრივი პასუხისმგებელი ამხანაგები სრულებით არ იცნობენ საქ. კომპარტიის ცეკას დადგენილებებს კედლის გაზეთის ხელმძღვანელობის შესახებ.

სარედაქციო კოლეგია, რომელშიც აუცილებლივ უნდა შედიოდეს პარტიის წევრიც, პასუხისმგებელია გაზეთში მოთავსებულ წერილებზე. თვითეული პარტიის წევრი პასუხისმგებელია უჯრედის წინაშე. უჯრედის ხელმძღვანელობა კედლის გაზეთზე უნდა ხდებოდეს პარტიის ისეთი წევრის საშუალებით რომელიც არჩეულია სარედაქციო კოლეგიაში. სარედაქციო კოლეგიაში მომუშავე პარტიის წევრი მუშკორი პერიოდიულად უნდა აკეთებდეს მოხსენებას უჯრედზე კედლის გაზეთის მუშაობის შესახებ. ასეთი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს უჯრედმა კედლის გაზეთს და მუშკორთა წრეს.

სარეცენზიო ბიურო ურჩევს სარედაქციო კოლეგიას, რათა მუშკორთა კრებებზე აწყობდეს კედლის გაზეთის ძველი ნომრის ლიტერატურულ გასამართლებას. ეს ხელს შეუწყობს მუშკორთა აქტივის წამოყენებას და თვით კედლის გაზეთის შინაარსის გაუმჯობესებასაც.

შან-მანი.

რა ხდება სასადილო „სამეგრელო"-ში

კარგა ხანია თბილისში მოისპო ეგრედწოდებული სამიკიტნოები, რომლებიც გარყვნილების ბუდეს წარმოადგენდენ და სადაც ავარები და ორთაჯალი გარყვნილები იყრიდენ თავს.

სამიკიტნოების მაგიერ დღეს მოწყობილია სასადილოები, სადაც შეუძლია ყველა პატიოსან მშრომელს ისადილოს. ასეა მთელ თბილისში, მაგრამ სასადილო „სამეგრელო",—რომელიც მოთავსებულია პლეხანოვის გამზირზე, და ეკუთვნის ვინმე პატარაიას არ არის ასეთი.

აღნიშნულ სასადილოში, გარდა იმისა, რომ ხარშავენ დამპალ ხორცს, იგი საროსკიპოდაც არის გადაქცეული. აქ ყოველ ღამ თავს იყრიან თბილისის ქუჩის ქალები და ვიღაც საეჭვო პირებთან ერთად აქვთ ერთი ყვირილი და ღრიანცელი. მოქ. პატარაიას ქუჩის ქალები ხარისხებად ჰყავს დაყოფილი. რომელი ხარისხის ქალსაც მოსთხოვს მუშტარი ისეთს მოუყვანს, ოღონდ მოიწვიოს დამკვრელები და დახარჯოს ფულები.

ეს ხდება თბილისის ისეთ მთავარ ქუჩაზე, როგორიცაა პლეხანოვის პროსპექტი. ნუ თუ ასეთი მდგომარეობა უყურადღებოდ უნდა დასტოვოს მილიციამ. დარწმუნებული ვართ, რომ მეცხრე უბნის მილიციის ზოგიერთ თანამშრომლებისათვის ეს ამბავი არ ახალია—ძველია. და ამ ძველ ამბავს ისინი ყურადღებას არ აქცევენ.

საჭიროა ამ გარემოებას დროზე მიაქციოს ყურადღება ქალაქის მილიციის უფროსმა. პატარაიას უნდა ჩამოერთვას აღნიშნული სასადილო და მიცემულ იქნეს პასუხისგებაში, როგორც გარყვნილების ხელისშემწყობი.

ქვეშთბანელი.

სახალხო - სამხატვრო სტუდიას შენობა უნდა

(თბილისის აღმასკომის საყურადღებოდ)

თბილისის სახალხო - სამხატვრო სტუდიამ უკვე დაიმსახურა შესაფერი სახელი და პატივისცემა ფართო მშრომელ მასებს შორის. სტუდია ასრულებს სამი სამხატვრო სასწავლებლის მაგიერობას. იგი ამზადებს მოწაფეებს აკადემიისათვის, იძლევა საკუთარ მხატვრებს და ხელმძღვანელობს ფართო მშრომელ მასებში სამხატვრო-გემოვნების განვითარებას. სტუდიის მოწაფეთა ნამუშევრებმა დიდი ყურადღება მიიქციეს მოსკოვში ისეთი დიდი ხელოვნებისგან, როგორიც სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტი კოგანი, ტუგენ ხოლდი, ლუნაჩარსკი და სხვებია.

მაგრამ ამ სტუდიას დღემდე არა აქვს შესაფერი ბინა და დროებით, თავი შეუფარებია კალინინის ქ. № 9 კერძო სახლში, რომლის პატრონს თბილისში აქვს ორი დიდი შენობა. საჭიროა თბილისის აღმასკომმა გამოიძიოს აღნიშნული სახლის მეპატრონის მდგომარეობა და მიიღოს ზომები სახლის სტუდიაზე გადასაცემად.

დ.

მუშკორთა წერილებიდან

სპეცტანსაცმელს არ ვღებულობთ. კოჯორის ბავშვთა ახალშენების ტექნიკური თანამშრომლები კარგა ხანია არ ღებულობენ სპეცტანსაცმელს. ამის შესახებ რამდენიმეჯერ მიმართეს თანამშრომლებმა ადმინისტრაციას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. როდის დაგვაკმაყოფილებთ სპეცტანსაცმელით?

გარსიაშვილი.

უნაყოფო მუშაობა. (კასპის ცემენტის ქარხანა). კასპის ცემ. ქარხ. ტექნიკოსი მამუკოვი ხშირად აწარმოებს უნაყოფო მუშაობას. ამის წინათ სილოსში ამუშავა მუშები, — დახარჯა ფული და საქმე კი არაფერი გაკეთდა დიდი ყინვების გამო. ადმინისტრაციამ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ მოვლენას.

მუშა ყაზარაშვილი.

მოვაწყვეთ კლუბი. (საპილოსის ქარხანა). საპილოსის ხე-ტყის სახერხ ქარხნის მუშები დიდი ხანია ცდილობდენ კლუბის გახსნას, მაგრამ თანხების უქონლობის გამო კლუბის მოწყობა შეუძლებელი იყო. ამჟამად ქარხნის გამგეობის დახმარებით ყოფილ სასადილოს შენობაში მუშებმა მოაწყვეს კლუბი, იმედია ამით კულტურული მუშაობა გაცხოველდება.

ენი.

დაიცავით სისუფთავე. რიყის ქ. სახ. № 68-ის ეზოში საშინელი სიბინძურეა. სახლის კომენდანტი არავითარ ზომებს არ ღებულობს სისუფთავის დასაცავად. სანიტკომისიამ, [illegible] აღნიშნული ეზო.

ფ. ზაბათავა.

სამშენებლო მასალის ახალი ქარხანა

ამჟამად ქალ. ბათომის რაიონში შენდება სამშენებლო მასალის ახალი ქარხანა. ქარხნის ასაგებ ადგილად ამორჩეულია ბარცხანა, სადაც ბლომად მოიპოვება საჭირო ნედლეული: ქვიშა და ხრეში. ქარხნის მთავარი დანიშნულება იქნება ბეტონის სამშენებლო მასალების—ბეტონის ბრიკეტების, საკანალიზაციო და წყალსადენ მილების, კრამიტის და სხვა სამშენებლო მასალის დამზადება. ქარხნის მოწყობა შედარებით ძალიან იაფი ჯდება, რადგან ქარხნის უმთავრესი მოწყობილობა გადმოტანილ იქნება ბათომის თუჯის ჩამომსხმელ ქარხნიდან. ამ მოწყობილობის ღირებულების გამოკლებით ქარხნის მოწყობაზე დაიხარჯება დაახლოებით 15.000 მანეთამდე. ქარხნის მოწყობის დამთავრება განზრახულია მიმდინარე წლის 1 მაისისათვის. ამ თვიდან შეუდგება ქარხანა მუშაობას. პირველ ხანებში ქარხნის ნაყოფიერება იქნება დღეში 600 ბრიკეტი, 1000 ცალი აგური, 100 ცალი ერთმეტრიანი სხვადასხვა დიამეტრის საკანალიზაციო მილი და 1.000 ცალი სახურავი ფილა.

კედლის გაზეთებზე მუშაობა ჩვენს სკოლებში

კედლის გაზეთი სკოლაში საუკეთესო მაჩვენებელია მოწაფეთა კოლექტივის ორგანიზაციულ ცხოვრებისა. შემოქმედების ეს სახე შეიძლება შეფასდეს როგორც სასკოლო თვითმართველობის ზრდის პროდუქტი. გაზეთი უვითარებს მოწაფეებს უნარს კრიტიკულად მიუდგენ სკოლის და საზოგადოების ცხოვრებას.

გაზეთის თანამშრომლის მახვილი თვალი ყველგან შეიხედავს. ყველაფერში გამოსთქვამს მიუდგომელ სიტყვას. უაღრესად პასიური მოწაფეც კი უკვე ცდება მჭიდროდ ცხოვრებაში და აკვირდება გარემოს მისი გარდაქმნის მიზნით.

შეფასების უნარის გაღვივება და ჯანსაღი კრიტიკა მოწაფეების ისეთ გარდაქმნას იწვევს, რომ ისინი უკვე შემოქმედებით ჰკიდებენ ხელს სასკოლო აღმშენებლობას. გაზეთი მოწაფეთა თვითგანვითარებითი უძლიერეს იმპულსად ხდება. გაზეთის წყალობით ხშირად სკოლის [illegible] მოწაფისაგან უკვე სასკოლო კოლექტივის აქტიური წევრს ვღებულობთ. სასკოლო კედლის გაზეთზე სამწუხაროდ ნაკლები იწერება, რაც ერთგვარი დაუდევრობაა და მალე უნდა გამოსწორდეს.

ლენინი სხვა პრესასთან ერთად კედლის გაზეთს დიდ ყურადღებას აქცევდა. იგი ამბობდა: ყოველნაირი გაზეთი—ჩვეულებრივი იქნება, ცოცხალი, თუ კედლისა,—არის არა მარტო კოლექტიური პროპაგანდისტი და კოლექტიური აგიტატორი, არამედ იგი კოლექტიური ორგანიზატორიც არის.

ჩვენი სკოლა უკვე იძლევა ასეთ ორგანიზატორებს. ზოგან უკვე საკმაო მიღწევებიც გვაქვს. ვეცნობი სკოლის ჟურნალ-გაზეთებს და ვრწმუნდები, რომ მათ თვალსაჩინო როლი უთამაშნიათ მოწაფეთა საზოგადოებრივ და მხატვრულ განვითარების საქმეში. თვალი ხტება სათაურად და ბეჯითად შედგენილ ჟურნალ-გაზეთებით: რამდენი სიყვარულია, ენთუზიაზმი, შემოქმედება.

რაზე არა სწერენ მოწაფენი... აქაა [illegible] ტორტმანი, დიდი იმედების მქადნელი [illegible]. უზადოდ მიმოფანტული [illegible] სილამაზით მოხიბლული. აქაა მოთხრობილი სკოლის მიერ ჩატარებულ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაზე... მახვილი იუმორი უდიდესი სატირიული იარაღი და [illegible] ჩვენი მოწაფენი არ [illegible].

[illegible] პედტექნიკუმში. მოწაფეებს ისეთი დიდი წარმატება ეტყობათ, ისე მძლავრია მათი მხატვრული გზნება, აღარ გინდა თვალი მოაშორო გაზეთებს, ჟურნალებს.. ათვალიერებ შრომის სკოლებს და გგონია, რომ თვით ტექნიკუმში [illegible] გამოუწვევიათ... სომხის ცხრაწლედის შენობა გარედან [illegible] და [illegible], შიგნით, კლასებში ცოცხალ სიმღერად გადაქცეულა. მღერიან შემოქმედებისაგან თვალებ გაბრწყინებული მოწაფენი და მღერიან კედლებიც... მათი სიმღერა ის კედლის გაზეთებია, რომელნიც გაზაფხულის ველების ფერად ხალიჩებსავით აფერადებულან. ვეღარც კი ვითვლი... ყველა ჯგუფს აქვს კედლის გაზეთი მეტსაც ვიტყვი, თვითეულ საგანში თემატიური გაზეთი გვხვდება..

თელავის სხვადასხვა სკოლების კედლის გაზეთებიც მძლავრად მეტყველებენ იმ შემოქმედებითი ცეცხლზე, რომელიც ახალგაზრდობაში ანთია.

სოფლად მძიმე პირობებია. აქ [illegible] თავის გამოდება საჭიროა, რომ ყურადღება მიაპყრო, აღაფრთოვანო ადამიანი, და მაინც აჩარხებენ სოფლებიც. ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის მოწაფეთა ჟურნალებსა ვფურცლავ და შევნატრი მის ავტორებს. ისინი ბედნიერები არიან.. მათში უკვე გამომუშავებულია უძვირფასესი უნარი ცხოვრების აღმშენებლობისა, კოლექტივიზმისა, ესთეტიკისა, ესთეტიურ გემოვნებისა... მათი კედლის გაზეთი ან ჟურნალი მაჩვენებელია იმისა, რომ თუ კოლექტივმა მოინდომა,—უდიდეს დაბრკოლებებს გადალახავს და შემოქმედ შრომაში ჰპოვებს სიტკბოებას.

ასეთივე ხასიათის მუშაობას პირველი საფეხურის სკოლებშიაც ვხედავთ. თუ წინად ბევრ მასწავლებელს ვერ წარმოედგინა, რომ ოთხწლედის მოწაფეებს შეეძლოთ საკუთარი გაზეთი ჰქონოდათ, დღეს აქაც კედლის გაზეთის გამოცემა ჩვეულებრივ მოვლენად არის გადაქცეული და ზოგიერთ სკოლაში დიდ მიღწევებსაც აქვს ადგილი. პირველ ჯგუფსაც კი საკუთარი ჟურნალი და გაზეთი ჰქონდა. ორივე თემატიურია. აი კედლის გაზეთი სათაურით: „ვცდილობთ ძია ლენინს" ვკითხულობ მის ექვს-შვიდ სტრიქონიან წერილებს, სათაურებს... რა ნაზი და გულწრფელი მშვენიერებაა.. ასე მგონია ბავშვების ცრემლები ჯერაც კიდევ ითლის გაზეთის ყვავილებზე.

ასეთივე ხალისით, გატაცებით შედგენილია სხვა ჯგუფის გაზეთებიც.

არ შეიძლება გვერდი აუქციოთ მეოთხე ჯგუფის ჟურნალს და გაზეთს. კედლის გაზეთის მარტო სახელწოდება რადა ღირს. რამდენ რამეს მეტყველებს „ბაია". ეს არის თვალის ჩინიც და გონება მახვილი რებუსიც. ბავშვები ახორციელებენ ილიას ანდერძს, აი რას ნიშნავს ბაია. და ეს ცალიერი [illegible] როდია. გაზეთის ფურცლებიდან ვტყობილობთ, თუ როგორ ახორციელებენ, რა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას ატარებენ.

საკვირველია, ერთი ჯგუფის ბავშვებმა როგორ მოასწრეს ამ შვიდი თვის განმავლობაში კედლის გაზეთის 9 ნომრის და ჟურნალის 6 ნომრის გამოცემა. გაზეთის უკანასკნელი ნომერი მიძღვნილია ქალთა დღისადმი, ბავშვებს ამ დღისათვის აბრეშუმის სახვევი ქარხანა გამოუკვლევიათ. გარდა ამისა, ქარხნის ძველი მუშა-ქალისათვის გამოუკითხავთ, თუ რევოლიუციამდე როგორი იყო ქარხანაში მუშაობის პირობები და როგორია ეხლა. ამავე გაზეთშია საინტერესო ცნობები იმის შესახებ, თუ მოწაფენი ამ დღის აღსანიშნავად რა საზოგადოებრივ სასარგებლო შრომის ჩატარებას აპირებენ.

გაზეთის ერთი ნომერი აბრეშუმის პარკით მშვენივრად მოვარაყებული გაუგზავნიათ ქარხნის მუშებისათვის, მეორე კი მარიამ ორახელაშვილისათვის, შესაფერისი მისალმებით.

არავის ეგონოს, თითქოს მსგავსი მუშაობა მხოლოდ თელავის სკოლებში სწარმოებდეს—ამასვე ვხედავთ ზოგიერთ სოფლის სკოლებშიც.

ამას წინედ ვიყავი კურდღელაურის ოთხწლედში. მიუხედავად იმისა, რომ სკოლის ვიწროობისაგან ბავშვებს სული ეხუთებათ და კლასებში სარდინის თევზებივით არიან ზედიზედ ჩალაგებულნი, მაინც კვლევითი და შემოქმედებითი მუშაობა სჩქეფს.

სიამოვნება განვიცადე მათი კედლის გაზეთის „ვარსკვლავის" და ჟურნალის გადაკითხვით. მე ჯერ ვერ მოვასწარ სხვა სკოლების დათვალიერება, მაგრამ მწამს, რომ არც ისინი ჩამორჩებიან თავიანთ სწორებს.

ამ ორი კვირის წინეთ თელავის განათლების განყოფილების თაოსნობით გაიმართა თელავის სკოლების კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიების თათბირი. მან გამომუშავა მთელი რიგი მითითებებისა, რომლიც უფრო გააშინაარსებს, მხატვრულად დაამშვენებს კედლის გაზეთს და მოწაფეობას მიაწვდის საკითხებზე სწორად, ნათლად და მოკვეთილად აზრის გამოთქმას.

ამავე თათბირმა გადასწყვიტა 25 მარტს თელავში გაიმართოს მაზრის ყველა ტიპის სკოლების კედლის გაზეთების და ჟურნალების გამოფენა: განათლების განყოფილებას ამავე დღეს მოწვეული ჰყავს მაზრის თვითმმართველობათა წარმომადგენლების კონფერენცია. უეჭველია სკოლები ენერგიას შეამატებენ, მობილიზაციას გაუკეთებენ ყველა შემოქმედ ძალებს, რომ მორიგი ნომერი საუკეთესო გამოსცენ. თვითმართველობის წარმომადგენელთა კონფერენცია გამოჰყოფს ჟურნალ-გაზეთების შემფასებელს და საუკეთესო რედკოლეგიას დააჯილდოებს.

ამნაირად რაც დრო გადის, ჩვენი სკოლა მით უფრო და უფრო ინტენსიურ საზოგადოებრივ ცხოვრებას ეწევა.

დ. თურდოსპირელი.

ეკონომიურ საბჭოში

თანხები ქ. თბილისში ასაგები სახლების დასამთავრებლად

სახელმწიფო საგეგმო კომისიის მოხსენების თანახმად, ქ. თბილისში ასაგები იმ საცხოვრებელი სახლების დასამთავრებლად საჭირო სახსარი, რომელთა აშენება 1926-27 წ. დაიწყო და სახსარის უქონლობის გამო ვერ იქნა დამთავრებული, განისაზღვრა 1.150.000 მან., აქედან—საბინაო აღმშენებ. კავშირს 247.000 მან. და თბილისის აღმასკომს—903.100 მან.

საბჭომ საჭიროდ სცნო ეთხოვოს ს. ს. რ. კავშირის „ცეკობანკის" გამგეობას გაიღოს ზემოხსენებული თანხა 1926-27 წელში დაწყებული საცხოვრებელი შენობების დასამთავრებელ სამუშაოთათვის.

ბრძოლა უმუშევრობასთან

შრომის სახ. კომისარიატის მიერ წარმოდგენილი პროექტი 1927-28 წ. მეორე კვარტალში სრ. საქართველოს სოც. დაზღვევის კომიტეტიდან უმუშევრობასთან საბრძოლველად გაღებული თანხის—28.107 მან. განაწილების პროექტი დამტკიცებულ იქნა.

საქც. საზ-ბა „საქ. ჩვარ-ნაკუწი"ს დაარსება

ეკონომიურმა საბჭომ ნება დართო დაარსდეს საქციო საზ-ბა „საქართველოს ჩვარ-ნაკუწი"-ს სახელწოდებით, რომლის ძირითადი კაპიტალი განსაზღვრულია 100.000 მან. რაოდენობით.

კანალიზაციის მოწყობა ქ. ბათომში

ეკონომიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო ქ. ბათომში კანალიზაციის მოწყობა, აჭარისტანის სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი კანალიზაციის მოწყობის პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა, რაც საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან, სმეს-თან და საალმშენებლო-სატექნიკო კომიტეტთან შეთანხმებულია, დამტკიცებულ იქნა 6.700.000 მან. რაოდენობით.

ამასთანავე პირველი რიგის კანალიზაციის მოსაწყობად საჭირო სახსარი განისაზღვრა 4.800.000 მან. რაოდენობით.

აღმშენებლობის ღირებულების 15 პროც. შემცირების შესახებ

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საალმშენებლო-სატექნიკო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი დადგენილებისა—1927-28 წ. აღმშენებლობის ღირებულების 15 პროც. შემცირების შესახებ.

საფთიაქო საქმის რეორგანიზაცია

ეკონომიურმა საბჭომ ა. წ. მარტის 23-ის სხდომაზე განიხილა საკითხი საქართველოში აფთიაქების მართვა-გამგეობისა და მომარაგების რეორგანიზაციის შესახებ. საბჭომ საჭიროდ სცნო აფთიაქების მართვა-გამგეობისა და მომარაგების საქმის რეორგანიზაცია შემდეგ საფუძველზე; უნდა მოხდეს საექიმო-სასანიტარო დაწესებულებათა და აფთიაქების მედიკამენტებითა და სამედიცინო საქონლით მომარაგების საქმის სრული ცენტრალიზაცია რესპუბლიკანური მაშტაბით, ხოლო საფთიაქო ქსელის მმართველობა და სამეურნეო გამგებლობა უნდა დაეკისროს სამაზრო აღმასკომებს (სათანადო ჯანმრთელობის განყოფილების საშუალებით), ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის საერთო ხელმძღვანელობით.

სამაზრო აღმასკომებს, მათთვის საფთიაქო ქსელის გადაცემის შემდეგ უფლება არა აქვთ დამოუკიდებლად, ჯანსახკომის უნებართვოთ, გახსნან ახალი ან დახურონ არსებული აფთიაქები და აგრეთვე გასცენ იგი იჯარით.

საბჭომ საჭიროდ სცნო, რათა „სახმედვაჭრობა" გადაკეთდეს სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათ, რომელიც განახორციელებს სამედიცინო და საფთიაქო საქონლის მომარაგების საქმის ცენტრალიზაციას რესპუბლიკანური მაშტაბით. ხსენებულ საზოგადოებაში აქციონერათ უნდა შევიდეს ყველა სამაზრო აღმასკომი.

სახკომსაბჭოს სარედაქციო-საიურისკონსულტო განყოფილებას დაევალა ჯანსახკომთან ერთად შეიმუშაოს პროექტი დადგენილებისა აფთიაქების სამაზრო აღმასკომებისათვის გადაცემის წესისა და პირობებისა და აგრეთვე აღმასკომების მიერ მედიკამენტების, ინვენტარისა და სხვა ქონების სახმედვაჭრობისაგან გამოყიდვის წესისა და ვადების შესახებ. მასვე დაევალა წარმოუდგინოს ეკონომიურ საბჭოს სათანადო დასკვნა, თუ რამდენად შესაძლებელია ხსენებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება მიმდინარე საბიუჯეტო წელში.

დროის გამომრკვევი ლაბორატორიის მოწყობა

ა.-კ. ზომა-წონის პალატასთან ამას წინათ შემდგარმა თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება თბილისში დროის გამომრკვევი ლაბორატორიის გახსნის სასარგებლოდ. აღნიშნული ლაბორატორიის მოწყობის შესახებ ა.-კ. ზომა-წონის პალატის დირექტორის მოადგილემ ამხ. გუნცაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— თბილისის მოედნებზე და საზოგადოებრივ ადგილებზე არსებული საათები არასოდეს არ იძლევიან სწორ ცნობებს დროის შესახებ. ლაბორატორიის მოწყობა გამოწვეულია სწორედ იმ მოსაზრებით, რომ ჩვენს განკარგულებაში იქნეს ზედმიწევნით სწორი ცნობები დროის შესახებ. ლაბორატორიის მუშაობის სქემა ასეთი იქნება: მოედნებზე და ქუჩებში დადგმული საათები მომართული იქნება ლაბორატორიიდან ავტომატიურად ელექტრონის საშუალებით. განსაზღვრულ საათებში (მუშაობის დაწყების დრო, შუადღე, სამსახურის გათავების საათი და სხ.) ლაბორატორია ქალაქში გამოუშვებს განსაკუთრებულ სიგნალებს. ეს სიგნალები იქნება სინათლისა და ხმოვანების კომბინაცია იმგვარად, რომ ყველა მოქალაქემ გაიგოს ამის შესახებ.

გარდა ამისა ცნობები ზუსტი დროის შესახებ მიეწოდებათ ყველა დაწესებულებებს თბილისში—ტელეფონით და სხვა ქალაქებში რადიოთი.

ლაბორატორიის მოწყობილობათა ნაწილი უკვე შეძენილია, ხოლო დანარჩენი აპარატურის შეძენა განზრახულია გერმანიაში. ლაბორატორიის მოწყობა უნდა დასრულდეს მიმდინარე საანგარიშო წლის ბოლომდე, ხოლო მისი ამუშავება დაიწყება მომავალი საკალენდარო წლიდან.

დროის განსაზღვრისა და გამოანგარიშების მიზნით ლაბორატორიას მუდმივი კავშირი ექნება ნაუენის (გერმანია) და ლენინგრადის დროის გამომრკვევ ლაბორატორიებთან. ცნობების გადაცემა და მიწოდება იწარმოებს რადიოთი.

წყალდიდობის მოლოდინში

თოვლის დნობა

გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობებიდან სჩანს, რომ 28 მარტს თოვლის დნობა მთელ რესპუბლიკაში ინტენსიურად სწარმოებდა. თოვლის დნობის შესახებ ობსერვატორიამ მიიღო ცნობა სვანეთიდანაც. ზემო-სვანეთში, რომელიც მდებარეობს 1450 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, თოვლის სისქემ დაიკლო 45 სანტიმეტრამდე.

ახალქალაქისა და ბორჯომის რაიონში თოვლი ერთბაშად არ დნება, საერთოდ ობსერვატორიის ცნობებიდან სჩანს, რომ თუ თოვლის დნობა ასე გაგრძელდა და არ მოხდა ამინდის უცაბედი ცვლილება, მაშინ მოსალოდნელი არ არის წყალდიდობა.

ბაკურიანის ხეობაში თოვლმა ისე დაიკლო, რომ ზოგგან მიწა სჩანს. ცხრა-წყაროს გადასავალზე თოვლის სიღრმე არ აღემატება 90 სანტიმეტრს, ხოლო ერთი კვირის წინათ თოვლის სისქე უდრიდა 2 მეტრზე მეტს.

აჭარისტანში

ბათომიდან, წყალთა მეურნეობის სამმართველოს ატყობინებენ, რომ თოვლი გადნა ყველა გზებზე და მიმოსვლა დაუბრკოლებლად სწარმოებს. მდინარეებს არ ეტყობათ ადიდება.

მუშაობა დაწყებულია

ლეჩხუმიდან მოსული ცნობებით, იქ ყველგან დაწყებულია მდინარეების ნაპირების გამაგრება.

სამუშაოების დაწყების შესახებ იტყობინებიან აგრეთვე ქუთაისის, თელავის და სიღნაღის მაზრებიდან.

ქუთაისი

ძეგლი განსვენებულ პროფესორს კ. კახიანს

სოფ. როკით-დიდველის მცხოვრებთა საზოგადო კრებამ ერთხმად დაადგინა—ძეგლი აუგოს თავის სასიქადულო შვილს, განსვენებულ პროფესორს კოლია კახიანს. სოფ. როკითში, მდ. ხანისწყალის პირად, ახლად აგებულ ხიდის თავთან.

ჭაობიანი ადგილების ამოშრობა

„მაშველი"-სა და 1 საბჭოთა არხების სამუშაოთა მწარმოებელ ინჟ. ფალკოვიჩმა ტექნიკოსების თანდასწრებით დაათვალიერა ჭაობიანი ადგილები, რომელიც მდებარეობს ხსენებული არხების ქსელში, მათი დაშრობის პროექტებისა და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად. როგორც შედგენილი ცნობებიდან სჩანს, დასახელებულ რაიონში დაჭაობებულია შემდეგი ადგილები:

ა) ფარცხანაყანევის თემში: აღმასკომის კანცელარიიდან სამხრეთით, რკინის გზას ლიანდაგის გადაღმა მდებარე ადგილები, ეგრედწოდებული „გორიკა"; იმავე აღმასკომიდან დასავლეთით, რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ მდებარე ადგილები; ბაზის საზღვარზე მდებარე ადგილები; ახარიაში „სათიბის ლელე"-ს და „მეფის წყარო"-ს ნაპირები; კოპიტნარის სადგურის გარშემო მდებარე ადგილები და სხ.

ბ) მაღლაკის თემში: „მიწაწითელის" და „მეფის წყაროს" გარშემო მდებარე ადგილები; აღმასკომის კანცელარიიდან დასავლეთით, ორი ვერსის მანძილზე, ხონის გზატკეცილის ორივე მხარეზე მდებარე ადგილები და სხ.

თავდასხმა

21 მარტს, საღამოს 8 საათზე, ოსეთის სამხედრო გზატკეცილზე, ნამახვანსა და მექვენას შუა, ონიდან ქუთაისისაკენ მომავალ ინჟინერს ზ. ბიჭაშვილს თავს დაესხა გაძარცვის მიზნით ერთი ბოროტმოქმედი, რომელმაც მაუზერიდან ასტეხა სროლა. ინჟინერმა ბიჭაშვილმა მოასწრო „ლინკოლნიდან" გადახტომა და ბნელში მიმალვა. ბოროტმოქმედმა მეეტლეს წაართვა 70 მანეთამდე ფული და მიიმალა. ერთი საათით წინ, ამავე ბოროტმოქმედს გაუძარცვავს იმავე ადგილზე ერთი მეურმე, ერთი მეეტლე და ორი [illegible]. ნამახვანის თემაღმასკომის მიერ გაწვეულ იქნა ქუთაისიდან სამაზრო მილიცია, რომელმაც ბოროტმოქმედი უკვე დააპატიმრა, რომელიც აღმოჩნდა სოფ. მექვენის მცხოვრები.

წევრთა მიღება ქუთაისის მუშკოოპში

ქუთაისის მუშკოოპის „კოოპერაცია"-ს გამგეობა განცხადებით მოუწოდებს თავის სამოქმედო რაიონის ღარიბ მცხოვრებლებს (გარდა კავშირის წევრებისა), რომელთაც საშუალება არა აქვთ ჩაეწერონ კოოპერაციის წევრად,—განცხადება შეიტანონ მასთან ამჟამად საწევრო-საპაიოს გადაუხდელად წევრად ჩარიცხვის შესახებ. ასეთი განცხადებათა მიღება გაგრძელდება მომავალი აპრილის—5 რიცხვამდე. განცხადებაში გარკვევით უნდა იყოს ნაჩვენები: სახელი, მამის სახელი და გვარი; სწორი მისამართი, ოჯახის შემადგენლობა და ნივთიერი მდგომარეობა,

ქრონიკა

წყალთა მეურნეობის გამოკვლევა

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა რესპუბლიკურ შრომის სახ. კომისარიატებს შეიტანონ თავისი უახლოესი სამუშაოების გეგმაში წყალთა მეურნეობის გამოკვლევა ამიერ-კავკასიაში.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატი ამასთანავე წინადადებას იძლევა ყურადღება მიაქციონ არა მარტო შრომის პირობებს, არამედ საბინაო-სანიტარულ პირობებსა და საექიმო დახმარების საქმესაც.

დამნაშავენი შრომის კანონების დარღვევაში პასუხისგებაში უნდა იქნენ მიცემული.

ამავე დროს რესპუბლიკურ შრომის სახ. კომისარიატებს წინადადება მიეცათ მიიღონ ზომები იმისათვის, რომ წყალთა მეურნეობის საოპერაციო გეგმებში შეტანილი იქნეს შრომის დაცვის ღონისძიებები და თანხები მათ გასატარებლად.

ბამბის ნათესები საქართველოში

ა.-კ. საბამბო კომიტეტის გეგმით, 1927-28 წელში საქართველოში დათესილი იქნება 6.400 დეს. ბამბა. აქედან:

ბორჩალოს მაზრაში—3.000 დეს., დასავლეთ საქართველოში—1.500 დეს., კახეთში—400 დეს. და ყარაიას რაიონში—142 დეს.

საქართველოს მებამბეობის კომიტეტმა უკვე დასდო ხელშეკრულებები ბამბის დათესვაზე ამ რაიონებში. ხელშეკრულებები დადებულია კოოპერაციასთან; ამასთანავე ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია უფრო მეტი სივრცის დათესვა, ვიდრე ეს ნაჩვენებია ა.-კ. საბამბო კომიტეტის გეგმაში.

ასე, მაგალითად, ყარაიას რაიონში ხელშეკრულება დადებულია 1.200 დეს. დათესვაზე, კახეთში—720 დეს., ბორჩალოს რაიონში—200 დეს.

საქ. სამხედრო გზაზე

თოვლის ზვავები მცხეთა-დუშეთის შუა გაწმენდილია. ამგვარად გზა თბილისიდან დუშეთამდე თავისუფალია. დღეიდან იხსნება ავტომიმოსვლა თბილის-დუშეთს შუა.

დუშეთს იქით გზა ჯერ არ არის განთავისუფლებული თოვლისაგან.

თბილისის ალმასკომში

◆ **მეფუტკრეობის განსავითარებლად.** თბ. ალმასკომმა მაზრაში მეფუტკრე გლეხებს უფასოდ დაურიგა 700 სკა.

◆ **დაჯილდოება.** საგარეჯოს და ენაგეთის სას.-სამ. ამხანაგობებს, როგორც სანიმუშო ამხანაგობებს, თბ. ალმასკომმა საჩუქრად მისცა თითო გუთანი.

◆ **მიწათ-მოწყობა.** სადგილ-მამულო განყოფილებას დაევალა თბ. მაზრაში მიწათმოწყობის საქმის გასაძლიერებლად გაადიდოს მიწისმზომელთა რიცხვი.

◆ **ახალი საავადმყოფო.** თბ. ალმასკომი გუნია-კალაში აგებს ახალ საავადმყოფოს.

ქ. მეორე საავადმყოფო ჯანმრთელობის განყოფილებამ გააფართოვა 50 საწოლით.

მიწსახკომში

◆ **მანდარინების პლანტაციები.** აფხაზეთში მანდარინების ახალი პლანტაციების გაშენებლად აფხაზეთის სახ. მამულების ტრესტს გადაეგზავნა 10.000 მანეთი.

◆ **ხეხილის ნამყენები.** გორის მაზრაში არსებულ ხეხილის ყველა სანერგეებიდან დაიწყო გლეხებზე ხეხილის ნერგების გაცემა. ღარიბებს გლეხებს ნერგები ეძლევა უფასოთ.

◆ თბ. ბოტანიკურ ბაღთან მიწსახკომმა მოაწყო თესლეულობის ქიმიურათ შემწამვლელი სადგური. სადგური აგრეთვე ხელმძღვანელობას გაუწევს სარეველა-ბალახებთან ბრძოლის საქმეს.

◆ **აგრო-სადგური.** მიწსახკომი შეუდგა ხაშურში აგრონომიულ სადგურის მოწყობას. სადგურს ექნება სას.-სამ. იარაღ-მანქანების გამქირავებელი ბაზა.

ჯანსახკომში

◆ **სამკურნალო რაზმები.** ჯანსახკომმა დაადგინა წელს რესპუბლიკის მაზრებში გააგზავნოს ვენერო-ფსიქიატრიული, ყურის, სამეანო-გინეკოლოგიური და თვალის სამკურნალო რაზმები.

◆ **უფასო მკურნალობა.** ჯანსახკომმა დაადგინა წელს საქართველოში ჩაატაროს მოსახლეობის მასიური მკურნალობის კამპანია, რომლის დროს ღარიბებს გლეხებს წამალი უფასოთ მიეცემათ.

სახელმწიფო უნივერსიტეტში

◆ **პროფ. პ. მელიქიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად.** პროფ. პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავის აღსანიშნავად ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კლუბში დღეს, საღამოს 6 საათზე შესდგება საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო წრის საჯარო სხდომა. მოგონებებს და მოხსენებებს წაიკითხავენ განსვენებულის თანამშრომლები: დოც. ნ. ციციშვილი, ბექაია, ქრელიშვილი და სხ.

დისპუტი საბჭოთა რეპერტუარზე

საქ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროს ინიციატივით, 8 აპრილს მუშათა ახალ კლუბში შესდგება დისპუტი საბჭოთა რეპერტუარზე.

„საქართველოს ჩაი“

◆ ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად საზოგადოება „საქართველოს ჩაიმ“ დამატებით გადასდო 359.695 მანეთი.

◆ **პური და ფართალი.** საზოგადოება „საქართველოს ჩაიმ“ გადასწყვიტა მიმდინარე წლიდან ჩაის მეურნე გლეხებს მიაწოდოს პური და ფართალი.

სხვადასხვა

◆ კავკასიის არქეოლოგიურმა ინსტიტუტმა გამოსცა საკუთარი ჟურნალი ბიულეტენის სახით. ჟურნალი გამოვა სისტემატიურად.

◆ საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა გადავიდა ყოფ. სამხედრო ტაძრის შენობაში.

◆ საქ. ისტ. და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივ კრებაზე, რომელიც შესდგება დღეს, საღამოს 7 საათზე მუზეუმის აუდიტორიაში, მოხსენებას წაიკითხავს ალ. ნამორაძე.

◆ თბ. ინდუსტრიალურ ტეხნიკუმის შენობაში კვირას, 1 აპრილს, დღის 12 საათზე შესდგება საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოების კრება, რომელზედაც მოხსენებებს წაიკითხავენ: ინჟ. ვ. სარქისოვი—„[illegible] მშენებლობა ა.-კავკასიაში“ და გიდროგეოლოგი გ. მურადიანი—„ნავთის ორგანიული წარმოშობის ახალი გაშუქება“.

ხელოვნების ქრონიკა

„ცხოვრების სიმართლე“

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილების ინიციატივით, კვირას 1-ლ აპრილს საღამოს 6 საათზე ორჯონიკიძის სახ. კლუბში მოხდება კინო სურათ „ცხოვრების სიმართლის“ („სიფილისი“) საჯარო ჩვენება, რის შემდეგაც გაიმართება დისპუტი.

სურათის ჩვენებას დაესწრებიან პროფკავშირების წარმომადგენლები, კლუბის გამგეობის წევრები და მუშები.

◆ **ჟურნ. „მნათობი“-ს თანამშრომელთა ლიტერატურულ წრის კრება.** დღეს, პარასკევს, 30 მარტს, საღამოს 6 საათზე „მნათობი“-ს რედაქციაში შესდგება თანამშრომელთა ლიტერატურული წრის კრება.

უნდა დაესწრონ: ა. აბაშელი; ბობოხიძე, ს. ამაღლობელი; კ. გამსახურდია; ვ. გაფრინდაშვილი; ვ. გაბესკირია; ს. ეული; ი. ვაკელი; ნ. ზომლეთელი; პ. იაშვილი; კ. კალაძე; კ. კაპანელი; ს. კასრაძე; ს. კლდიაშვილი; ი. ლისაშვილი; გ. ლეონიძე; კ. ლორთქიფანიძე; ვ. მალაქიაშვილი; მ. მრევლიშვილი; ლ. მეტრეველი; ი. მაშაშვილი; ი. მოსაშვილი; კ. ნადირაძე; ნაროუშვილი; შ. რადიანი; გ. რობაქიძე; დ. რონდელი; გერ. რუხაძე; ლ. ქიაჩელი; პ. ქიქოძე; ა. ქუთათელი; გ. ქუჩიშვილი; გ. ტაბიძე; ტ. ტაბიძე; ი. ტატიშვილი; ე. პოლუმორდვინოვი; ს. შანშიაშვილი; დ. შენგელაია; ს. ჩიქოვანი; ბ. ჟღენტი; კ. ჭიჭინაძე; მ. ჯავახიშვილი; ვ. ყურული.

◆ ბარსოვას საგასტროლოთ და ბარიტონ ქაშაკაშვილის მონაწილეობით დღეს ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „რიგოლეტო“.

◆ კონსერვატორიის დირექციამ დაადგინა გამოსცეს კონსერვატორიის უკანასკნელი 10 წლის მუშაობის ანგარიში.

„ოლვევა“. მუშათა თეატრში რუსული დრამის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება „ოლვევა“.

◆ **ახალი წიგნი.** გამოვიდა ვალერ დაისელის ლექსების ახალი წიგნი: „გუშინ და ეხლა“.

შემთხვევები

გაუპატიურების განზრახვა

გუშინწინ, ღამით ლევან ხაჩატუროვმა (მცხ. უდელნის ქ., №13) თავის ბინაზე შეიტყუა ევგენია სოლომონის ასული ალშიბაია და მოინდომა მისი გაუპატიურება, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

ხაჩატუროვმა ალშიბაიას ქალს მიაყენა რამდენიმე ჭრილობა.

ლევან ხაჩატუროვი დაპატიმრებულია.

გვამის აღმოჩენის გარშემო

გუშინ ექიმ-ექსპერტებმა მოახდინეს მტკვრის პირას (მილიციის სკოლის მახლობლად) აღმოჩენილ დამხრჩვალი მამაკაცის გვამის განკვეთა. ექსპერტების დასკვნით, გვამს ძალდატანებითი სიკვდილის ნიშნები არ ეტყობა.

უეცარი სიკვდილი

გუშინ, დილით ზიმოსვლის ქ., № 4, ქეიფის დროს უეცრად გარდაიცვალა ნესტორ მაჩაიძე.

8 კაცის დაკარგვა

უკანასკნელ ოთხი დღის განმავლობაში უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: ევდოკია ლიმონოვა, 16 წლისა; გურგენ სიმონის ძე პარტერიანი, 38 წლისა; დავით სიმონის ძე თოდაძე, 18 წლისა; გიორგი ნიკოლოზის ძე ანდრონიკოვი, 23 წლისა; ისიდორე ლუარსაბის ძე შაქარაშვილი, 14 წლისა; ვლადიმერ გიორგის ძე თევდორაშვილი, 15 წლის (თავშესაფარის ქუჩა, № 2); თედორე გიორგის ძე თევდორაშვილი, 13 წლისა და გიორგი ტიხონის ძე ლუკაშოვი, 6 წლისა (მცხ. არმაზის ქ. № 2).

ეტლის დაჯახება

გუშინ, დღისით პუშკინის და მუხრანის ქუჩის კუთხეში ეტლი (№ 5) დაეჯახა ხავა გრიგოლის ასულ ხობულაშვილს (მცხ. მილიციის ჩიხი № 4) და მძიმედ დააშავა. ხობულაშვილის ქალს აღმოუჩინეს სასწრაფო სამედიცინო დახმარება და გადაგზავნეს რესპუბლიკის საავადმყოფოში. მეეტლე დონიშევი დაპატიმრებულია.

ველარ მოასწრეს

ხაჩატურ ხაჩატურიანცის ბინის გაქურდვისათვის მილიციამ დააპატიმრა პეტრე ნიკოლოზის ძე იმენოვი და ავეტი ანტონის ძე ფომენკო.

ქურდობა ალმშენებელ კავშირის კლუბში

უკანასკნელ ხანებში ალმშენებელთა კავშირის კლუბში (საბჭოს ქ., № 38) სისტემატიურად იკარგებოდა წიგნები. კავშირის გამგეობამ ამის შესახებ აცნობა თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომელმაც გამოარკვია, რომ წიგნებს იპარავდა ვიღაც კარაპეტ გასპაროვი. ქურდი დაპატიმრებულია.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით გაქურდეს ფეხსაცმელების სახელოსნო (პუშკინის ქ., № 5); წაიღეს 600 მანეთის საქონელი. გაქურდეს აკაკი ინწკირველის ბინა (პლეხანოვის პროსპექტი № 10); წაიღეს 150 მანეთის ტანსაცმელი. გაქურდეს მიხეილ ალიკოვის ბინა (საბჭოს ქ. № 162); წაიღეს 300 მანეთის საოჯახო ნივთები.

სასამართლო

მთვრალი ვატმანი

— აღარ ჩერდება ეს ვატმანი? დააყენე, კაცო, მე აქ უნდა ჩამოვხტე! ჰყვირის მოქალაქე, რომელიც უკვე საფეხურზე სდგას და გადმოსახტომად არის მომზადებული.

ვაგონი მიდის აჩქარებით. მიატოვა ერთი გასაჩერებელი ადგილი, გასცილდა მეორეს და გაჩერდა იქ, სადაც ჯერ არავის ახსოვს ტრამვაის გასაჩერებელი ადგილი.

— ქმშველო! გამიშვით. უნდა ჩამოვხტე, თორემ, სომხების ბაზრამდე აღარ გაჩერდება ალბად,—გადმოხტა ერთი მგზავრი. გადმოხტა მეორე, მესამე...

— კაცო, რა ჭკუაზეა ეს ვატმანი,—ეკითხებიან კონდუქტორს.

— მეც არ ვიცი, რამ გადარია. მგონი ღვინო უნდა უჯუჯუნებდეს თავში!

ვაგონი წავიდა (ლაპარაკია მე-3-ე ნომერ ტრამვაიზე). ცოტა მანძილი გაიარა და გაჩერდა... გაიარა რამოდენიმე საჟენი და კიდევ გაჩერდა. ერთი გასაჩერებელი ადგილიდან მეორემდე ხუთი „ოსტანოვკა“ გააკეთა.

— ეს, ალბად, წინად გამოტოვებულ გასაჩერებელ ადგილების ხანაცვლოა,—ჩაილაპარაკა ერთმა მგზავრმა.

ვაგონი მივიდა თავისუფლების მოედანთან და დაუხვია სომხის ბაზრისაკენ.

ეხლა ვატმანს აღარავინ უსაყვედურებს გაჩერებლობას. ყოველ ორ საჟენზე ჩერდება. დაიტანჯა ხალხი.

— რა ამბავია, ვის გაუგონია ამდენი გაჩერება, ხალხი მოთმინებიდან გამოდის,—მიმართავს ვატმანს კონდუქტორი.

— სადაც „ხოში“ მომიარს, იქ გავჩერდები! გაჩერე ენა, თორემ ისე გავჩერდები, რომ დაღამებამდე არ მიგიყვან პარკში (ეს ხდება დღის სამ საათზე)—ვატმანი პეტრე ლალიაშვილი ჩამოჯდა და იდაყვებს დააყრდნო თავი.

— მასხარად გვიგდებს ეს ვიღაცაა! მოხსენით ეხლავე—ისმის მგზავრების ხმები.

კონდუქტორმა შეატყო, რომ ვატმანი უზომოდ მთვრალია. რა ჰქნას. მგზავრებმა დემონსტრატიულად მიატოვეს ტრამვაი და გადასხდენ უკანა ვაგონზე.

ეწყინა პეტრეს, როცა მოიხედა და აღარავინ იყო მის ტრამვაიში.

— სად წავიდა ხალხი?—გაკვირვებული კითხულობს ლალიაშვილი.

— პეტრე, შენ ძალიან მთვრალი ხარ. ამხანაგურად გეუბნები: შენ გადმოდი და ჩემს მაგიერ ბილეთები გაჰყიდე, მე ვაგონს წავიყვან...—ემუდარება ვატმანს კონდუქტორი.

— ვის მივყიდო ბილეთი, როცა ვაგონი ცარიელია.

— არა უშავს, შემდეგ ჩამოჯდებიან.

— არა, მე შენ გელაპარაკები, ხალხი სად არის მეთქი!

— უკანა ვაგონზე გადასხდენ—უპასუხებს კონდუქტორი.

— მაშ, იასხდენ სანამ არ მობეზრდებათ... მე ვაგონს არ დავსძრავ, თავზე ხომ ვერ გადამახტება უკანა ვაგონი.

— როგორ იქნება, პეტრე! სირცხვილია. დაგვჭერენ.

გაჩერდა მოძრაობა მთელს ხაზზე. უკან თვალუწვდენელ მატარებლივით ჩამწკრივებულან ვაგონები.

უკანა ვაგონების კონდუქტორები და ვატმანები აღშფოთებით ჰყვირიან: „ჩამოხსენით! გაუშვით! გამოუძახეთ მილიციელს... დირექტორს“...

მოვიდა მილიციელი და წინადადებას აძლევს მთვრალ ვატმანს წაჰყვეს კომისარიატში.

ლალიაშვილმა „შეუკურთხა“ მილიციელს და უკანასკნელი არ მოეშვა. ვატმანმა გაუშალა სილა და თვალებში ჩაანათა მილიციელს. უკანა ვაგონიდან ეს დაინახა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელმა. გადმოხტა ვაგონიდან და საქმეში ჩაერია.

— შენ, ვისი მატრაკვეცა ხარ! თავი ხომ არ მოგძულებია. ვატმანმა დაიკაპიწა მკლავი. მოჰკიდეს ხელი ვატმანს და გადმოსვეს ძირს.

— ვაგონს მაინც არ გაუშვებ! ეს ხომ ჩემს ხელშია,—ვატმანს ხელში უჭირავს ვაგონის სამართავი ინსტრუმენტი.

— წამობრძანდით კომისარიატში,—მიუბრუნდა გალახული მილიციელი.

— მე შენ კარგად „მიგაბრძანებ“ გამიშვი მაგასთან.

ლალიაშვილს უნდა დაითრიოს მილიციელი, მაგრამ შუაში ჩადგება სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი. გამშველებელს სწვდა ვატმანი ყელში და გუდავს. ცალი ხელით რევოლვერიც უნდა აართვას.

ამ დროს ერთ-ერთმა კონდუქტორმა ლალიაშვილს ხელიდან დააძრო ვაგონის სამართავი ინსტრუმენტი, მოახტა ვაგონს და გაუშვა. გაიხსნა მოძრაობა. ვაგონები გაჰყვენ ერთი-მეორეს.

პეტრე ლალიაშვილი კი შერჩა ხელში მილიციელების მთელს ჯგუფს.

ლალიაშვილი დაპატიმრებულია და გასამართლებულ იქნება ახლო მომავალში.

გურ.

ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა ქუთაისში

ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნების საამშენებლო მუშაობის ხელმძღვანელის—ინჟენერ **გაუსმანის** გადმოცემით, ამჟამად ქუთაისის ფაბრიკა-ქარხნების მშენებლობა შემდეგ მდგომარეობაშია:

ბარიტის ქარხანა. ბარიტის ქარხნის მთავარი კორპუსის, ბარიტის სამარაგო საწყობის აგება, წყალსადენის და რკინის გზის ჩიხის გაყვანა საამშენებლო ადგილამდე უკვე დამთავრებულია. გერმანულ ფირმიდან „ფელნერ და ციგლერი“-დან უკვე მიღებულია ქარხნის სამანქანო მოწყობილობა, რომლის აწყობასა და დადგმას ამჟამად აწარმოებს ამავე ფირმის მიერ გამოგზავნილი მონტიორი. ბაღდადის გზატკეცილიდან ქარხნამდე გაყვანილია გზატკეცილის შტო. ქარხნის ამუშავება განზრახულია მიმდინარე წლის ივლისისათვის. ქარხნის აგება ჯდება 500.000 მანეთი. ყოველწლიურად ქარხანა დაამზადებს 400.000 ფუთს ბარიტს.

აბრეშუმის ფაბრიკა. აბრეშუმის ფაბრიკის ამოსახვევ განყოფილების შენობის საძირკველი ჩაყრილია. ამჟამად სწარმოებს კედლების ამართვა და მიმდინარეობს რკინა-ბეტონის სამუშაოები. შენდება აგრეთვე მუშათა სასადილოს შენობა, ფაბრიკის მანქანები და მოწყობილება შეკვეთილი აქვს „მეტალოტრესტს“—მოსკოვში.

კირის ქარხანა მოწამეთაში. მოწამეთის კირის ქარხნის შენობის აგება დამთავრებულია. ღუმელის და ქარხნის სხვა მოწყობილობის დადგმა, რაც 200.000 მანეთი ჯდება, აღებული აქვს უკრაინის სახელმწიფო კანტორას „ტრუდსტროის“. ქარხნის აგება დაჯდება სულ 300.000 მანეთი. ქარხანა ამუშავებულ იქნება მიმდინარე წლის ივლისში. ქარხნის ნაყოფიერება იქნება 1.000.000 ფუთი კირი.

ქურთი-ეზიდები

ცაკის სამდივნომ შეაგროვა საკმაოდ ერცელი მასალა ქურთ-ეზიდების შესახებ. ეს მასალა წარდგენილი იქნება ცაკის პრეზიდიუმში, ქურთ-ეზიდების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ზომების მისაღებათ.

საქართველოში ითვლება სულ 6.000-მდე ქურთი-ეზიდი. ისინი ცხოვრობენ უმთავრესად თბილისში, შემდეგ ახალციხეში და ნაწილობრივ სხვა მაზრებშიაც.

კერძოთ თბილისში ითვლება 3.200 სული. უმეტესი ნაწილი სომხეთიდან არის მოსული, დანარჩენი—ოსმალეთიდან. ეწევიან სამი ხასიათის მუშაობას. მეკურტნეობას, მეეზოვეობას და სანიტრანსპორტს (მენაგვეობას). ამათგან კავშირებში (უფრო არტელებში) არის დარაზმული 790. კავშირის წევრებიდან მცირე წერა-კითხვა იცის მხოლოდ 85 კაცმა, დანარჩენი სრულიად უცოდინარია.

ზოგიერთ მათგანს სოფელთან კავშირი ჯერ არ გაუწყვეტია და ზაფხულობით ისევ უბრუნდებიან სამუშაოდ თავიანთ ოჯახს.

ქურთების შინაური ცხოვრება და ურთიერთი დამოკიდებულება ისევ ძველებურ გვაროვნულ ადათ-წესებზეა აგებული. გვარის უფროსია მათი უმთავრესი ხელმძღვანელი და კანონმდებელი. ეს გვარის უფროსი ყველაზე შეძლებული კაცია და თითქმის ყოველთვის სასულიერო პირიც იგივე არის ხოლმე.

თბილისში მცხოვრები ქურთები 39 გვარს წარმოადგენენ. ყველა გვარს საკუთარი სახელწოდება აქვს, რაც ზოგჯერ უცნაურობას არ არის მოკლებული. მაგალითად: პიკაზი (ისარი), რაში (შავი), იაკნავა (სეხნიები), მამრაშა (შავი ძია), ჩოხრაშა (შავჩოხანი) და სხვანი.

გვარსა და გვარს შუა ჯერ ისევ ძველებურად არის გაბატონებული სისხლის აღება. ქალის გათხოვების წესიც პირველყოფილ ჩვეულებებს არ გასცილებია. მის სათხოვნელად საჭიროა ყალამი (ქრთამი), რაც ზოგჯერ ათას მანეთამდისაც აღწევს. ამის გამო ბევრი ყმაწვილი კაცი იბერება და სიღარიბიდან წელს ველარ აიტანს ხოლმე.

ქურთ-ეზიდებს შორის კულტ.-განმანათლებელი მუშაობა ძალიან სუსტად სწარმოებს. ამ მხრივ თვით მათი კავშირებიც შესამჩნევად მოისუსტებენ. მაგალითად, სანიტრანსპორტის კავშირი თავის შტატზე თვიურად ხარჯავს 3.414 მანეთს, განათლებაზე კი—მხოლოდ 50 მანეთს. განა ეს შესაწყნარებელია?

ქურთი ბავშვებისათვის არსებობს ერთი სკოლა, სადაც სასკოლო ჰასაკის 400 ბავშვიდან დადის მხოლოდ 25 მოსწავლე (1927 წელში კი ყოფილა 39 მოსწავლე).

ბავშვებს საკმაო დახმარება ეძლევათ: პურით, ჩაით, წიგნებით, და ზოგჯერ ტანისამოსითაც. მეორე ჯგუფამდე სწავლა მიმდინარეობს ლაზოს მიერ სომხურ ასოებიდან შემდგარ ალფაბეტზე, შემდეგ კი რუსულად, ქართულს ასწავლიან როგორც სახელმწიფო ენას.

მიუხედავად იმისა, რომ ქურთი ეზიდები როგორც კულტურულად, ისე ნივთიერადაც ძალიან ჩამორჩენილები არიან; მათ შორის არსებობს საკმაო ქონებრივი უთანასწორობა.

თვით არტელებში ბევრი ქურთი-ბობოლები იმყოფება; რომლებიც ოსტატურად ახერხებენ ღარიბ და დაბეჩავებულ მოძმეების ექსპლოატაციას. აქ მოგროვილი ფულით ისინი იძენენ სოფლად ხარ-კამეჩს; ინვენტარს და ეწევიან კულაკურ ცხოვრებას.

ასეთია ერთი თვალის გადავლებით თბილისში მყოფ ქურთ-ეზიდების ყოფა-ცხოვრება.

სამდივნოს მოხსენებაში გათვალისწინებულია აგრეთვე ყველა შესაძლებლობანი და საშუალებანი; რომ ქურთ-ეზიდებს შორის მოეწყოს მუდმივი და ნაყოფიერი მუშაობა როგორც კლასობრივი შეგნების, ისე კულტურულ - განმანათლებლობის მხრივ. ყველა ეს საშუალებანი არ მოითხოვენ განსაკუთრებულ ხარჯებს და ადვილი გასატარებელია ცხოვრებაში.

ავიაქიმში

თავდაცვა-ავიაქიმის პლენუმი

2 აპრილს მოსკოვში გაიხსნება საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პლენუმი. პლენუმზე დასასწრებლად საქართველოდან გაემგზავრნენ საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. აბაშიძე და პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გ. სირაძე.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის ყრილობა

სრულიად საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის პირველი ყრილობა მოწვეული იქნება თბილისში 18 აპრილს.

საცდელი მინდვრები

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ წინადადება მისცა ადგილობრ. ორგანიზაციებს ალმასკომებთან შეთანხმებით გამოჰყონ საცდელი მინდვრები, სადაც იწარმოებს ქიმიურ ნივთიერებათა და ხელოვნურ [illegible] [illegible].

მუშაობა თადარიგის მეთაურთა შორის

თავდაცვა-ავიაქიმი შეუდგა ფართო მუშაობის წარმოებას თადარიგის მეთაურთა შორის. განზრახულია სამხედრო თამაშის მოწყობა, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას თადარიგის მეთაურნი. თბილისის წითელი არმიის სახლში სისტემატიურად იმართება მოხსენებები სამხედრო თემებზე. ამავე სახლის სამხედრო პროპაგანდის კაბინეტში ეწყობა სამხედრო ხასიათის მეცადინეობა.

რკინისგზებზე

მემანქანეების და კონდუქტორების სამუშაო დროის განსაზღვრა

გზათა კომისარიატმა წინადადება მისცა ა.-კ. რკ. გზების გამგეობას მიიღოს გადამჭრელი ზომები მემანქანეებისა და კონდუქტორებისათვის ნორმალური შრომისა და დასვენების საათების დასაწესებლად.

როგორც კომისარიატის ინსტრუქციიდან სჩანს, თითოეული მატარებლის საორთქლმავლო და კონდუქტორთა გუნდები განუწყვეტლივ მუშაობაში უნდა იმყოფებოდენ არა უმეტეს 12 საათისა.

ბრძოლა წყალდიდობასთან

წყალდიდობასთან საბრძოლველად და გზებზე გასამაგრებელ სამუშაოების ჩასატარებლად ტყიბულის კარიერში დამზადებულია 300 კუბ. მეტრი ქვა.

სახლების აშენება

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტმა მიმართა თხოვნით გზის გამგეობას დაუყოვნებლივ შეუდგეს საორთქლმავლო და კონდუქტორთა გუნდების შეცვლის ადგილებში სახლების აშენების გეგმების შედგენას.

ავტოტრანსპორტის გადაცემა

„ზაკავტოპრომტორგი“ ა.-კ. რკ. გზ. გამგეობასთან აწარმოებს მოლაპარაკებას გზის განკარგულებაში არსებულ ავტოტრანსპორტის მისთვის გადაცემის შესახებ.

ჭადრაკი

რკინისგზელთა მასიური ტურნირი

ა. წ. 28 მარტს დამთავრდა რკინისგზელთა მასიური ტურნირი. ტურნირში გამარჯვებულთა მონაწილეობით კვირას, 1 აპრილს, დილის 10 საათზე ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგება ტურნირის ფინალის პირველი ტური, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: შიშოვი, პატაშნიკოვი, ბუკაშოვი, ხოტელაშვილი, სოლტანი, კილასონია რიზაევი, შალუგინი, კაზიშვილი, იაკოვსკი, ტიხონოვი, ალიმბარაშვილი, განდილიანი და კრასნოკუტსკი.

ერთდროული თამაშის სეანსი

დღეს, 30 მარტს, საღამოს 6 საათზე ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში ვ. გოგლიძე ჩაატარებს ჭადრაკის თამაშის ერთდროულ სეანსს დაფათა განუსაზღვრელ რაოდენობაზე. ჯერჯერობით სეანსში მონაწილეობის მისაღებად ჩაწერილია 25 კაცამდე. განზრახულია სეანსი ჩატარდეს 80 დაფაზე. მსურველთ დამატებით ჩაწერა შეუძლიათ სეანსის დაწყებამდე.

საჭადრაკო წრეების ინსტრუქტორთა ტურნირი

საქარ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებასთან არსებულ საჭადრაკო სექციის ინიციატივით, აპრილის შუა რიცხვებში განზრახულია თბილისში მოეწყოს საკლუბო ჭადრაკის წრეების ინსტრუქტორთა ტურნირი.

აღნიშნულ ტურნირში მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე ტალვიკი, გოგლიძე, სოროკინი, აგამალიანი და სხვ.

დიდი საშაშო ტურნირი

თავდება დიდი საშაშო ტურნირი. პირველობის აღების ყველაზე მეტი შანსები აქვს სემერნინს.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 30 მარტი

დღეს, 30 მარტს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 870 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

უახლოესი ამოცანები საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების დარგში—ქართულ ენაზე.

ჯანსახკომის მოხსენება: ბავშვების დაცვის საკითხები—ქართულ ენაზე.

მეცნიერების და ტეხნიკის მიღწევები—რუსულ ენაზე.

საუბარი ბიოლოგიაზე—რუსულ ენაზე.

რა ზიანი მოაქვს რელიგიურ ცრუმორწმუნეობას ჯანმრთელობისათვის—თურქულ ენაზე.

ტეხნიკური კონსულტაცია.

კომკავშირის გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“—ქართულ ენაზე.

ოპერის ტრანსლიაცია.

ობსერვატორიის ცნობები.

ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ფიზკულტურა

მოსკოვის „დინამო“-ს ჩამოსვლა

5 აპრილს თბილისში ჩამოვა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“, რომელიც აქ გამართავს სამ ან ოთხ შეჯიბრს.

ეს გუნდი თბილისში იყო შარშანაც; შარშანდელ შემადგენლობასთან შედარებით, გუნდი წელს გაძლიერებულია რამდენიმე პირველხარისხოვან მოთამაშით. გუნდში შედიან: ჩოლკოვი (მეკარე), სოკოლოვი და პჩელიკოვი (მცველები), სელინი, ნიკიშინი და პახომოვი (შუალები), გრუზინსკი, ბლინკოვი, მასლოვი, ივანოვი და მაკაროვი (თავდამსხმელები).

პირველი შეჯიბრი გაიმართება 6 ან 7 აპრილს „დინამო“-ს სტადიონზე.

ფეხბურთის გაზაფხულის სეზონის გახსნა

ფეხბურთის გაზაფხულის სეზონი გაიხსნება კვირას, 1-ლ აპრილს ლენინის სახელობის სტადიონზე.

ამ დღეს სტადიონზე გაიმართება ფეხბურთელთა გუნდების აღლუმი და შეჯიბრი.

—:—

მოგზაურთა რეგისტრაცია

ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ შეიმუშავა დებულება იმ მოგზაურთა შესახებ, რომელთაც მოგზაურობის დროს გავლა უხდებათ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საზღვრებზე.

თანახმად აღნიშნული დებულებისა, ყველა ჩამოსული მოგზაურები, ფეხით მოსიარულენი და სხვები ვალდებულნი არიან რეგისტრაციაში გატარდენ ფიზკულტურის საბჭოებში და შეავსონ სათანადო ანკეტები მათი ვინაობის, დაბადების და ეროვნების შესახებ. გარდა ამისა, ანკეტაში აღნუსხული უნდა იქნეს მოგზაურთა სოციალური მდგომარეობა, მათი პროფესია, ქალაქიდან ან სოფლიდან სამოგზაუროდ გამოსვლის დრო, სად მიემგზავრება (საბჭოთა კავშირში, აღმოსავლეთ ქვეყნებში თუ სხვაგან), მარტო მოგზაურობს თუ ამხანაგთან ერთად, რამდენი კილომეტრი მანძილი გაიარა და რამდენი აქვს გასავლელი, როდის ჩამოვიდა ქალაქში, როდის გავიდა ქალაქიდან, თავისი განზრახვით მოგზაურობს თუ სხვა რომელიმე ორგანიზაციის ინიციატივით და სხვ.

აღნიშნულ ანკეტის შევსებისა და მოგზაურთა ამოცანების გაგების მიზნით, ამიერ-კავკასიის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო ყველა ფიზკულტურის საბჭოებს ავალებს, შეატყობინონ ადგილობრივ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს (ალმასკომებს, პროფკავშირებს, თავდაცვა-ავიაქიმს, სამხედრო უწყებას, ჯანმრთელობის განყოფილებებს და სხვ.), რომ არავითარი ნივთიერი დახმარება არ აღმოუჩინონ მოგზაურებს ფიზკულტურის საბჭოებში რეგისტრაციაში გატარებამდე.

მოგზაურები ჩამოსვლისთანავე უნდა გამოცხადდენ ფიზკულტურის საბჭოში, სადაც უნდა წარადგინონ საბუთები და განმარტონ მათი მოგზაურობის მიზნები, გატარდენ რეგისტრაციაში და შეავსონ სათანადო ანკეტები. ყველა ამ ვალდებულებათა შესრულების შემდეგ ფიზკულტურის საბჭოებმა და სხვა ორგანიზაციებმა მოგზაურებს ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ და შეძლებისამებრ შეუწყონ ხელი, უფასო ბინის აღმოჩენაში, სადილის უფასოდ მიცემაში და სპეციალური წერილების ან საგაზეთო შენიშვნების ჰონორარის მიღებაში და სხვ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 30 მარტს, თბილისის შრომის ბირჟაში გამოძახებულია შემდეგი უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშაკთა პირველი სექციიდან:** არამ მელიქიანი, ალექსანდრე კურატაშვილი, ელენა ფედოროვა, დიმიტრი მალაფეევი, ალექსანდრა პაპოვა, სვიმონ გასპაროვი, აზოტ გაბრიელიანი, რაფიელ ეპინზონ, მარია ოგანოვა, კლარა გერშკოვიჩი, ილიკო ყვითელაძე, ელენა ზაბეროვსკაია, ზაარუ აბადიანი და ალექსი ბასტაცკი; **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ივანე ლოლუა, ნიკოლოზ კახიანი, მიხეილ სიმონოვი, არშაკ აკოპოვი, ალექსანდრე მაჭარაძე, ივანე ოქროშვილი, გრიგოლ კოტეტიშვილი, გიორგი წივწივაძე, ბორის მიხეილიშვილი, იოსებ ვარდანიშვილი, ალექსანდრე სამადაშვილი, ისაკ მანგოშვილი, ლეონიდე დოლიძე, გრიგოლ ტოლია, ნინა ავალიშვილი, რიფსიმე გაბელაშვილი, ვახტანგ კობიაშვილი, მიხეილ შენგელია, ბარბარე კალმახოვა, ოლღა მაჭარაშვილი-ხოზიაშვილი, სუსანა აბრამიანი, ელისაბედ ჯარახველიძე, პარასკევა კობახიძე, ნინა სვანიძე, ლიუსია გაბლიურიძე, ალექსანდრე ხმალაძე და რაჟდენ ქუჩუხიძე; **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** პავლე კობალიძე, ილია ვაშაკიძე, ნიკოლოზ კიკნაძე, ვასილ ბოჭორიშვილი, ივანე სარქისიანი, ალექსანდრა მაისურიანი, ვარდუი თათიანცი, ქსენია პატარაია, აბაზა გაბრიელიანცი, აპრესიანი ვაგან, გრიგოლ მინასიანცი, ლევან შაჰულაშვილი, ლევან კოდალოვი, დავით ბარნაბიშვილი, ვიქტორ ზელენიკოვი, გერასიმე აბრამოვი, ივანე სიალაპაშვილი, წყლუაშვილი, ალექსანდრე მჭედლიშვილი, დანიელ ზანგაროვი, ივანე ვოდოპიანოვი, სერგო ადამაშვილი, კარაპეტ პალანჯიანი, გუსეინ მამედოვი, გაბრიელ მაგიევი, ანდრონიკ დარჩიანი, პავლე აბულაძე, გლახო ჯეირანაშვილი და ივანე ქემხაძე. **საგარანტიო სექციიდან:** თეოფილე იაკობაშვილი; **მშენებელ მუშათა მეხუთე სექციიდან:** თედორე სტარჩენკო.

თბილისის შრომის ბირჟის მედსექციაში მიღებულია მოთხოვნილება მედპერსონალზე: აგდამის მაზრისათვის (აზერბეიჯანი) საჭიროა 5 მოწყალების და, ჯამაგირი—45 მანეთიდან 50 მანეთამდე თვიურად; ორი ბებია-ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—75-100 მანეთამდე; ერთი კბილის ექიმი—125-140 მან. და ორი ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—75 მან. გზის ხარჯებს აუნაზღაურებს მაზრა.

ზემო აჯაგეთში (განჯის მაზრა) საჭიროა ბებია-ექიმის თანაშემწე, ჯამაგირი—68 მან. კერძო პრაქტიკის ნებართვით.

მეცნიერება და ტეხნიკა

ფონო-ტელეფონი

ამერიკის სატელეფონო სადგურებში ფონოგრაფმა ახალი, უაღრესად საინტერესო გამოყენება ჰპოვა. როცა სადგური აერთებს აბონენტს მოთხოვნილ ნომერთან, ქსელში ავტომატიურად ერთვება ფონოგრაფი, რომელიც ამბობს: „მზად არის“. თუ მოთხოვნილი ნომერი დაკავებულია, ფონოგრაფი ამბობს: „დაკავებულია“. გარდა ამისა ფონოგრაფს შეუძლია წარმოსთქვას შემდეგი ფრაზები: „ტელეფონი დაზიანებულია“, „დაურეკეთ ცნობის ბიუროს“ და სხ. ფონოგრაფის გამოყენების წყალობით, ტელეფონის შემაერთებელ—ქალების შრომა საგრძნობლად ადვილდება, რადგან მათ უხდებათ დღეში ათასჯერ ერთი და იმავე სიტყვის განმეორება. შეცდომით შეერთების შემთხვევები მცირდება ორმაგათ. ნიუ-იორკის სატელეფონო სადგურის დაკვირვებით ფონოგრაფის გამოყენებამ შესაძლებლად [illegible] შრომის ნაყოფიერების გადიდება 50 პროცენტით.

ობობას ქსელის ფაბრიკა

ობობას ქსელმა ფართე გამოყენება ჰპოვა ზოგიერთ ხელსაწყოებში—მიკროსკოპებში, ტელესკოპებში, გეოდეზიურ ხელსაწყოებში და სხვ. ამ ხელსაწყოების დამზადება ახლა ისე გაიზარდა, რომ შეერთებულ შტატებში, [illegible] საჭირო შეიქნა სპეციალური ფაბრიკის გახსნა ობობას ქსელის დასამზადებლად. ამ ფაბრიკაში აშენებენ ისეთი ჯიშის ობობებს, რომლებიც განსაკუთრებით წვრილ ძაფებს იძლევიან, მაგრამ ზოგჯერ ეს ძაფიც იმდენათ სქელი აღმოჩნდება ხოლმე, რომ საჭირო ხდება მისი გაყოფა ოთხ ნაწილად. ამ მუშაობას ასრულებენ სპეციალური მანქანებით, გამადიდებელი შუშის ქვეშ, რომელიც ობობას ძაფის [illegible] ადიდებს ფანქრის სისქემდე. საინტერესოა აღნიშნოს, რომ ობობას ძაფის დასაყოფად სარგებლობენ მხოლოდ და მხოლოდ ქალთა შრომით, რადგან, როგორც ფაბრიკის ადმინისტრაცია აცხადებს, მხოლოდ ქალს შეუძლია ასეთი საფრთხილო და [illegible] მუშაობის შესრულება.

პარტიული კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მესამე რაიკომი იტყობინება, რომ დღეს, 30 მარტს, საღამოს 6 საათზე მესამე რაიკომის შენობაში (მეორე სართული) შესდგება მესამე რაიკომის წარმოებ-დაწესებულებათაგან არჩეულ თბილისის საბჭოს დეპუტატების, [illegible] უჯრედების მდივნების და [illegible] ფაბრიკო ადგილკომების თავმჯდომარეებთან ერთად.

დღის წესრიგშია: თბილისის საბჭოს საანგარიშო კამპანიის შესახებ.

დღეს, 30 მარტს, საღამოს 6 საათზე შესდგება სახ. უნ. აგრონომიულ ფაკულტეტის პარტკოლექტივის და კომკავშირის უჯრედთა ბიუროების გაერთიანებული სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

სხდომაზე დასასწრებლათ აგრეთვე უნდა გამოცხადდენ საგნობრივ კომისიებში გამოყოფილი ამხანაგები (კომპარტიის და კომკავშირის წევრები). სხდომა შესდგება სასოფლო-სამეურნეო მუზეუმში (ჯორჯიაშვილის ქუჩა № 4).

სახ. უნივერსიტეტის ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორის მომუშავე ბიურო იტყობინება, რომ დღეს, 30 მარტს, საღამოს სრულ 7 საათზე გაიხსნება ლენინიზმის წრე. შესავალ ლექციას წაიკითხავს წრის ხელმძღვანელი ამხ. კ. სულაქველიძე.

წრის წევრთა დასწრება სავალდებულოა და უგვიანებლივ.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედის ბიურო-კოლექტივი იტყობინება, რომ დღეს, 30 მარტს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია კომუჯრედის და კომკავშირის გაერთიანებული კრება. დღის წესრიგშია ფრიად საინტერესო საკითხები. დასწრება ყველა წევრისა და კანდიდატებისა სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

თავზარდაცემულნი მეუღლე გულჩინა გაიოზის ას. ხაზარაძისა შვილებით: ეკატერინე, მარიამი, ელენე, ვლადიმერი, კონსტანტინე, გიორგი და ნიკოლოზით, სიძეები ვლადიმერ მდივანი და მიხეილ ჩხენკელი აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ილარიონ ანტონის-ძე ხაზარაძის

უდროოდ დაკარგვას. სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა მოხდება ქუთაისში კვირას, 1 აპრილს, დღის 4 საათზე, (მახარაძის ქუჩა № 32). ნ. 850

მშობლები: მამა და სოლომონ, ძმა ალექსანდრე მეუღლით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 1 აპრილს, ქ. ფოთში გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის ძვირფასი

ეკატერინე ოსიძის

წლის თავის აღსანიშნავათ. 1940

ვლადიმერ (ვალოდია) მათეს-ძე თენიეშვილი დედით, სიდედრით და ცოლისდებით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ კვირას, 1 აპრილს, დღის პირველ საათზე კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება გარდაცვალებული მეუღლის

დარიკო ივანეს ასული თენიეშვილის

სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 854

ქმარი კლიმენტი ასათიანი მამით და დებით, ანა სიმონის ასული და ანტონ თედორეს-ძე გალდავაძეები შვილებით და სიძეებით აუწყებენ, რომ მუდამ დაუვიწყარ საყვარელ კბილის ექიმის

ალექსანდრა (შურა) ანტონის ასული
გალდავაძე-ასათიანის

გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავზე ვიხდით სამოქალაქო პანაშვიდს 1-ლ აპრილს, საღამოს 5 საათზე ქ. ოზურგეთში. 1942

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე გრიგოლ ჯანიაშვილი, შვილით მიშიკოთი, ძმა [illegible] ხაბაზაშვილი მეუღლით პელაგია ხაბაზაშვილი, მამამთილი ზაქარია ჯანიაშვილი, მეუღლით და შვილებით ანა და საშა მაღალდაძეები აცნობებს ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი

სოფიო მიხეილის ასული
ხაბაზაშვილი-ჯანიაშვილისა

სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. გამოსვენება კვირას, 1 აპრილს, დღის 12 საათზე. კოჩუბეევის—ქუჩა № 14. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1935

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები არსენ და სოფიო, ძმები: ივანე, მიხა, სტეფანე, კირილე, შალვა, გრიშა; დები: ლიზა, მარიამი, ზინა; რძლები: მარიამი, შურა შენგელიები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ვალერიან არსენის-ძე შენგელია

რომლის დასაფლავების დღე დანიშნულია 1-ლ აპრილს, სოფელ ხუნჯულოურში კულაშის თემი. ნ. 856

მწუხარებაში მყოფნი შვილები: ნოე, შალვა, ოლია და მარო კუკულაძეები, სიძე [illegible] შარაშიძე მეუღლით პელაგიათი, შვილებით—ჟულიეტათი და კაკოთი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ელპიდი კუკულაძისა

დაკრძალვა ქ. ლანჩხუთში, შაბათს, 31 მარტს. (ე)

სახკინმრეწვის თეატრები: აპოლო, არფასტო, სოლეი, დარბაზი, ოდეონი, პროლეტარი ავლაბარი

მსოფლიო ფილმი
სიცოცხლე სიცოცხლისათვის
რეჟისორი ჯოემაი
მთავარ როლებში: მარჩელა ალბანი, პაულ რიხტერი, პაულ ვეგენერი,
მხატვრული ფილმი **ტყის ნადირი**
პირველად თბილისში დრამა აღმოსავლეთის ცხოვრებიდან **მეორე ცოლი**
ჰარი პილ ტრიუკებიან ფილმში **უთავო მხედარი** 1 და 2 სერია ერთად
ანონსი: მალე რევოლიუციონური ფილმი „ოქტომბერი“ 0—24

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 30 მარტს, მოსკოვის დიდი აკადემიური თეატრის პრემიერის
ვ. ვ. ბარსოვას
მეხუთე გასტროლი
რიგოლეტო
ბარიტონ ვ. ს. ქაშაკაშვილის მონაწილეობით
ანონსი: შაბათს 31 მარტს ბასი ლეონ ისეცკის 1-ლი გასტროლი **ფაუსტი**
ნ. 851

კომუნისტი
დიდი პოლიტიკური გაზეთი
საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტის, თბ. კომიტეტის და საქ. ცაკის ორგანო
გრძელდება ხელის მოწერა 1928 წლისათვის
გაზეთი ეღირება
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებ ის, წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მ.—კ.	4 „	3 „ 85 „
2 „	2 „ — „	5 „	4 „ 80 „
3 „	2 „ 90 „	6 „	5 „ 75 „

დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1 მ. 30 კ.	4 თვით	5 მ. — კ.
2 „	2 „ 60 „	5 „	6 „ 25 „
3 „	3 „ 80 „	6 „	7 „ 55 „

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით.	1 მან. 50 კ.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლარი
3 „	4 „
6 „	8 „

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 34
0—2

ქალაქის ლომბარდის სააუქციონო კამერა
აცხადებს, რომ კვირას 1 აპრილს დღის 12 საათზე სასახლის ქ. 3. სახელმწიფო გადასახადების ასანაზღაურებლათ დანიშნულია
საჯარო ვაჭრობა
გაიყიდება ბუფეტები, კამოდები, სარკეები, 61 ცალი ვენური სკამები, ხალიჩები, სასადილო და სამზარეულოს ჭურჭლეულობა, საგალანტერიო საქონელი და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 853

ქ. ქუთაისის 1 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
პ. ამირანაშვილი

აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში; ცეტკინის (ყოფილის თამარის) ქუჩაზე, სახლი № 12 დანიშნულია ამა 1928 წლ. 13 აპრილს, დილის 10 საათზე, მეორე **საჯარო ვაჭრობა** პეტრე ბეთანოვის ერთი მესამედი ნაწილის უფლების ერთი ორსართულიანი ქვიტკირის და ამაზე მიდგმული ერთსართულიანი ქვიტკირის სახლების, რომლებიც შესდგებიან 13 საცხოვრებელ ოთახისაგან, 3 სამზარეულოსაგან, ორი ხის საკუჭნაოსაგან და სამი განყოფილებიანი ხის სარაისაგან, აგებული მიწაზე ზომით დაახლოვებით 160 ოთხკუთხი საჟ. შეფასებული ოთხი ათას მან. საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან ხოლო სამოქ. საპროც. კოდექს. 318 მუხ. თანახმად შესაძლებელია მისი დაწყება პირველი შემოძლეული თანხიდან, ა. კ. რკინის გზის ქუთაისის 1-ლი რაიონის სატყეო განყოფილების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპრ. კოდ. და 10 პროცენტი შენობის შეფასების საწინდარი. ნ. 850

ქ. ფოთსა და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ
კონტრაგენტ
მგალობლიშვილთან
4—1 „კომუნისტი“ მთავარი კანტორა

მშენებელ ორგანიზაციათა საყურადღებოდ
ამ.-კავკ. რკ. გზ. გამგეობა ყიდის
დაკლებულ ფასებში
წიწვოვან და ფოთლოვან ჯიშების ხე-ტყის 1, 2, და 3 ხარისხის რკინის გზისათვის გამოუსადეგარ სორტიმენტებს: ფიცრები, ლარტყები, სამხერხე თამასები, ზურგვალები, საპარკეტო თამასები, მუხის მანები და სხვა. პირობებისა და ფასების გაგება შეიძლება ა.-კ. რკ. გზის სატყეო განყოფილებაში—თბილისი ამოს ქ. (ყოფ. ქსენიის) № 5. ნ. 841

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის **სამკურნალო**
ხაწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს **საშარდე, სქესობრივ** (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე), **ვენერიულ** (ტრიპერი) ავადმყოფობას, **სიფილისს**, და მის შედეგებს, **კანისა და ქირურგიულ** ავადმყოფობის (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 1½ საათამდე და 4 ნახ. საათ.—საღ. 7 საათამდე. ქალების მიღება ცალკე დილ. 11—12 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 13—7

ექიმი **ს. ი. ანდრეევისა**
ძვლის და ჯირკვლების ტუბერკულიოზი. (კვარც—ლამპარით მკურნალობა) ღებულობს ავადმყოფებს 5—7 ს. ელბაქიძეს დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი), 29, ვერის ხიდთან ტელეფონი 11—78 26—0

მედიც. დოქტორი **გ. ა. ახვერდოვი**
ვენერიული ავადმყოფობანი და სიფილისი.
დილით 9—12 ს., საღამ. 6—8 საათზე, პლეხანოვის პროსპექტი № 7, შესავალი კუთხიდან ნარიყალის ქ. № 1.) 25—11

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ 25—1 ტელ. 12—76

კბილის ექიმი **დ. ს. რიჟინაშვილი**
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უტკივნელოდ ამოღება. ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34, რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა **„სილამაზის ინსტიტუტი“**
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპირის) 19 იღებს დილით 10-დან 2-დე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი შესახვევიდან. 25—9

ექიმი **ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი**
ავადმყოფების მიღება **ფიზიკო-თერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა № 48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის) კორესის ქ. კუთხე. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შესხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9 საათ. საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი კაწონის ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი (პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი **ნ. ტურიაშვილი**
იღებს ავადმყოფებს სამშობიარო და ქალურ სნეულებით ყოველდღე, გარდა კვირისა 3—5 საათ. ბელგიის ქუჩა № 3, მთავარ საავადმყოფოს ახლოს (ყოფილ მიხეილის) 25—1

ქუთაისში
ექ. **დ. ჩეჩელაშვილი**
გადავიდა ახალ ბინაზე ჭაჭაძის ქ. № 4 ცეცხლის ქრობელ რაზმის გვერდით, სადაც იღებს შინა ან ავადმყოფ ბინ. სპეციალ. ექიმობა ფილტვებისა. მიღება დილის 8—12 საათ. 13—

დავკარგე: ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი № 97320 თომა ფარცხალაის სახელზე, ჩ. გ. 1941

დავკარგე მუშკოოპის წიგნაკი მიხეილ ზოსიმეს ძე ნოდიას სახელზე, ჩ. გ. 1939

დავკარგე უვადო პასპორტი ნიკოლოზ არტემის-ძე არუთინოვის სახელზე ჩ. გ. 1936

დავკარგე მეტყევეთა კავშირის წიგნაკი № 15868 კოლია ივანეს-ძე ბალდავაძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 850

დავკარგე: მიწა-ტყის პროფკავშირის წიგნაკი № 25903 და სამხედრო აღრიცხვის ნუსხა ფორმა მე-4 შალვა ტორონჯაძის სახელზე ჩ. გ. 937

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა, კამოს ქ. № 63